ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლიდან

# ლელო 90

11 - 17 ნოემბერი
ორშაბათი-კვირა 2024
№ 046 (16 199) ფასი 1.5 ₾
ელექტრონული ვერსია www.lelo.ge



## პირველად!

ქართული ოქრო ტოკიოს გრან პრიდან!

11



# ...ასეთია სანიოლის ლოგიკა!

## საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ნოემბრის მატჩებისთვის

2



## ...როცა ზოგი კონცენტრაციას კარგავს და ბოლომდე არ იხარჯება...

*ვილი სანიოლის პრესკონფერენცია*

2



7

## ზივზივაძე და შენგელია ნაკრებში გოლებით მოდიან!

## ნოემბრის ტესტებზე პირველი მატჩი წავაგეთ



11

ერთა ლიგა 2024/25. B1 ჯგუფი

საქართველოს ნაკრების სანოემბრო შემადგენლობის ანალიზი




# ...ასეთია სანიოლის ლოგიკა

**საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ვილი სანიოლმა დაასახელა 23-კაციანი შემადგენლობა უკრაინასა (16 ნოემბერი, ბათუმი, 21:00) და ჩეხეთთან (19 ნოემბერი, ოლომოუცი, 23:45) გასამართი ერთა ლიგის B1 ჯგუფის დასკვნითი მატჩებისთვის.**

**დისკვალიფიკაციის გამო, უკრაინასთან საშინაო შეხვედრას გამოტოვებს ლაშა დვალი, რომელიც გუნდთან ერთად ჩეხეთთან მატჩისთვის მოემზადება. ნაკრები მზადებას 11 ნოემბერს, საგურამოში დაიწყებს, მოგვიანებით კი ბათუმში გადაინაცვლებს...**

**სანაკრებო სიას ყოველთვის თან ახლავს დიდი ინტერესი და ფრანგი სპეციალისტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გვინდა, მკითხველს ჩვენი აზრი გავუზიაროთ...**

თავისთავად ცხადია, ეს ორი მატჩი გადამწყვეტი იქნება ჩვენი გუნდისთვის. ამდენად, ნამდვილად არ გვქონდა იმის მოლოდინი, რომ **ვილი სანიოლი** შემადგენლობაში ძირეულ ცვლილებებს განახორციელებდა, მაგრამ სიაში მაინც არის საინტერესო სიახლეები და ახლა აქცენტი სწორედ ამ საიხლეებზე უნდა გავაკეთოთ.

საქართველოს ნაკრებში ბრუნდებიან **საბა ლობჟანიძე, ნიკა კვეკვესკირი** და **ანზორ მექვაბიშვილი**. დავიწყოთ ლობჟანიძით. გვესმის, „ჯვაროსნებში" მის პოზიციაზე დიდი კონკურენციაა და ვერც იმის პირობას დავდებთ, რომ მწვრთნელი ზუსტად ისე შეარჩევს ტაქტიკურ სქემას, რომ „ატლანტას" შემტევი ბოლომდე გამოიყენოს.

ფაქტია, ლობჟანიძე დღესაც უფრო მეტად საკლუბო ფეხბურთელია, ვიდრე სანაკრებო, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი იცვლება და, იმედი გვაქვს, ეს მოცემულობაც შეიცვლება. ისე კი, ვფიქრობთ, ნაკრებში უნდა იყოს ფეხბურთელი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ამერიკულ MLS-ში და მნიშვნელოვანი გოლებიც გააქვს.

სანიოლი ყოველთვის იყენებს (ყოველ შემთხვევაში, იძახებს მაინც) **ანზორ მექვაბიშვილს**, როცა ის ჯანმრთელადაა. ეს დადასტურდა თუნდაც ევროპის გასულ ჩემპიონატზე. მექვაბიშვილი კვლავ მნიშვნელოვან ფეხბურთელად რჩება ნაკრებისთვის და მოსიე ვილის არჩევანშიც არ გვეპარებოდა ეჭვი.

რაც შეეხება **ნიკა კვეკვესკირს**... საქართველოს ნაკრებს ორი გადამწყვეტი თამაში ელის, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მათ შორის, შესაძლოა, ჯგუფი მოვიგოთ, ან, ღმერთმა ნუ ქნას და, ბოლო ადგილზეც კი დავრჩეთ, რაც ქვედა დივიზიონში დაქვეითებას გამოიწვევს...

ასეთ დროს კვეკვესკირის დარი ფეხბურთელი გუნდში მისწრებაა. ის მინდორზე კლასისა და გამოცდილების ნაზავია, გასახდელში კი კარგი მოტივატორი, ავტორიტეტი - კარგი გაგებით. მოკლედ, სანიოლის ამ სამ არჩევანში ლოგიკას ნამდვილად ვპოულობთ.

ახლა იმ ფეხბურთელებზეც დავწეროთ, რომლებიც წინა შეკრების შემდეგ აღარ არიან ქვეყნის პირველ გუნდში. **შოთა ნონიკაშვილსა** და **გიორგი გულიაშვილს** უკვე მიეცათ წინა შეკრებებზე თავის გამოჩენის შანსი. ამჯერად სანიოლმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო მას მერე, რაც საქმეში ნახა გულიაშვილიც და ნონიკაშვილიც. მათ კიდევ არაერთხელ ექნებათ ეროვნულ გუნდში მოხვედრის შანსი.

ცოტა გასაკვირია, რატომ არ არის ნაკრებში **სანდრო ალთუნაშვილი**. ზოგადად, „ვოლფსბერგის" ნახევარმცველს სანიოლისგან მაინცდამაინც დიდ ნდობა არ აქვს. გასაგებია, კლუბში ის ყოველთვის ვერ თამაშობს 90 წუთს, მაგრამ წესით კარგ ფორმაში უნდა იყოს, რაზეც მის მიერ სულ ახლახანს ავსტრიულ ბუნდესლიგაში გატანილი ულამაზესი გოლი მეტყველებს. გასაგებია, როგორც სხვა სათამაშო რგოლებში, ნაკრების საყრდენ ზონაშიც არის კონკურენცია, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ალთუნაშვილი ცოტა მეტ ნდობას იმსახურებს.

რაც შეეხება **საბა გოგლიჩიძის** საკითხს. კარგად გვესმის, რომ საბა ძალიან სჭირდება ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის პლეიოფში, მაგრამ რაც ფეხბურთი არსებობს, არავის შეუცვლია დაუწერელი წესი, რომლის მიხედვითაც მთავარი ყოველთვის ეროვნული გუნდია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკრაინასთან შეხვედრაში ნაკრებს დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება **ლაშა დვალი**. ეს კიდევ უფრო ზრდის გოგლიჩიძის საჭიროებას. სამაგიეროდ, ახალგაზრდულ ნაკრებს დონეცკის „შახტარის" მცველი **ირაკლი აზაროვი** დაეხმარება.

**ალეკო კაკაურიძე**

**მეკარეები** - გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), გიორგი ლორია (ომონია არადიპუ, კვიპროსი), ლუკა გუგეშაშვილი (პანსერაიკოსი, საბერძნეთი)

**მცველები** - გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გიორგი გველესიანი (პერსეპოლისი, ირანი), სოლომონ კვერკველია (დინამო თბ), ლაშა დვალი (აპოელ, კვიპროსი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი (კოპენჰაგენი, დანია), საბა გოგლიჩიძე (ემპოლი, იტალია)

**ნახევარმცველები / თავდასხმელები** - ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), ნიკა კვეკვესკირი (ნირედიჰაზა, უნგრეთი), ანზორ მექვაბიშვილი (კრაიოვა, რუმინეთი), ლევან შენგელია (ოფი, საბერძნეთი), გიორგი წიტაიშვილი (გრანადა, ესპანეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), საბა ლობჟანიძე (ატლანტა იუნაიტედი, აშშ), ზურიკო დავითაშვილი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია), გიორგი მიქაუტაძე (ლიონი, საფრანგეთი).

***P.S.* ოფიციალური ინფორმაციით, „ემპოლის" მცველი საბა გოგლიჩიძე „ლეჩესთან" მატჩში მიღებული ტრავმის გამო ეროვნულ ნაკრებს უახლოეს ორ მატჩში ვერ დაეხმარება.**

***ეს გადაწყდა მას შემდეგ, რაც ნაკრების საექიმო შტაბი თბილისში მყოფი ახალგაზრდა ფეხბურთელის მდგომარეობას გაეცნო. გოგლიჩიძის ნაცვლად, ეროვნულ გუნდს ალექსანდრე კალანდაძე შეუერთდა.***

***თბილისის „დინამოს" ცენტრალური მცველი ვილი სანიოლს ადრეც ჰყავდა გამოძახებული. კალანდაძემ ეროვნული ნაკრების მაისურით ნორვეგიასა (სტუმრად) და შოტლანდიასთან (შინ) საკვალიფიკაციო მატჩებში ითამაშა.***

პრესკონფერენცია

## ვილი სანიოლი

# ...ასეთ დროს ზოგიერთი კონცენტრაციას კარგავს და ბოლომდე არ იხარჯება!

**უკრაინასა და ჩეხეთთან დასკვნითი მატჩის წინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან და ნაკრების გუნდის კურატორთან, ალექსანდერ იაშვილთან ერთად პრესკონფერენცია გამართა:**

**ვილი სანიოლი:** - ბოლო წლები ძირითადად ერთი ტაქტიკური სქემით ვთამაშობთ. ხშირი ცვლილება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ფეხბურთელებმა უნდა იცოდნენ, როგორ უნდა ითამაშონ. სქემაში ცვლილებები თუ იყო, ეს ძირითდად ტრავმებმა გამოიწვია...

ცენტრალური მცველების ასაკიდან გამომდინარე შესაძლო ცვლილებაზე და უნგრეთიდან ილია ბერიაშვილის მიწვევაზე თუ ვფიქრობ? რა თქმა უნდა, ვაცნობიერებთ, რომ დაცვაში ზოგი უკვე ასაკშია. ჩვენ კალანდაძე გამოვცადეთ...

მაგრამ ვითარება მუდმივად იცვლება. მაგალითად, მცირე ხნის წინ გოგლიჩიძეზე არც ვლაპარაკობდით. ახლა კი შანსი აუცილებლად მიეცემა და ერთ მატჩს მაინც დაიწყებს სასტარტო შემადგენლობაში. მე ყოველთვის გუნდის ინტერესებიდან გამოვდივარ. საბა კი იტალიის ჩემპიონატში თამაშობს, მიმაჩნია, რომ ეროვნულ ნაკრებში უნდა იყოს და წარმატებებს ვუსურვებ. შანსები სხვებმაც შეიძლება მიიღონ...

„სენტ ეტიენისა" და „ლიონის" თამაშს რაც შეეხება, ეს საფრანგეთში ისტორიული დაპირისპირებაა. ზურიკომ ძალიან მოუმატა და ეს მახარებს. ხოლო მიქაუტაძემ ბოლოს გაიტანა და გუშინაც ითამაშა. ის კი ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავდაჯერებული იყოს...

ნიკა კვეკვესკირი გუნდის წევრი გახლდათ, მაგრამ ტრავმის გამო ბოლო შეკრებები გამოტოვა. ის ერთ-ერთი გამოცდილი მოთამაშეა და დიდი როლი აქვს არა მხოლოდ მოედანზე, არამედ გასახდელში. ახლა სხვა მოთამაშეები გამოგვაკლდნენ, მაგრამ ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნაკრებში დიდი კონკურენციაა...

რატომ ვითამაშეთ ალბანეთთან შემტევი შემადგენლობით? გეთანხმებით, რომ სათადარიგოებში შემტევების ნაკლებობა იყო, ჩვენმა ტაქტიკამ კი არ გაამართლა. თუმცა, ქულას მაინც ვიმსახურებდით. ნოემბრის მატჩებში უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი ადგილი მაღალი დონის გუნდებს შორისაა. მთავარია, სტაბილურობა შევინარჩუნოთ...

ჯგუფი ძალიან რთულია. გულშემატკივრისთვის წარმატება ძალიან მნიშნელოვანია. თუ დარჩენილ ორ მატჩს მოვიგებთ, პირველ ადგილს დავიკავებთ. უკრაინასა და ალბანეთთან ბევრი მომენტი შევქმენით. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მივაღწიეთ, მნიშვნელოვანი იქნება კონცენტრაციის და გუნდურობის შენარჩუნება. ინდივიდი მოედანზე არაფერია, თუ გუნდისთვის არ თამაშობს.

ზოგადად, გუნდში ძალიან კარგი განწყობაა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა, დიდი წინსვლა იყო. ფეხბურთელებს ამის გადახარშვა სჭირდებათ, რაც იოლი არ არის. ასეთ დროს ზოგიერთი კონცენტრაციას კარგავს და ბოლომდე არ იხარჯება. ეს უნდა ავუხსნათ მოთამაშეებს. კვარაცხელიას კარგი სეზონის შემდეგ ჩავარდნა ჰქონდა. მაგრამ უწყვეტი შრომით შეიძლება წარმატების განვითარება...

რატომ არ გამოვიძახე გულიაშვილი? ოქტომბერში გამოვიძახე და ვნახე, როგორი მოთამაშეა. ბოსნიის ჩემპიონატი მაღალი დონის არ არის. მაგრამ გიორგი ჩვენთვის საინტერესო მოთამაშეა და იმედი მაქვს, ნაკრებს სამომავლოდ აუცილებლად გამოადგება...

როგორ უნდა დავუპირისპირდეთ უკრაინელების ნახევარდაცვას? ჩემი გადმოსახედიდან, უკრაინას ბევრი მომენტები არ შეუქმნია. პრობლემა სხვა რამ იყო, ნაკლებად აგრესიულად ვითამაშეთ, როდესაც სწორედ ამის ხარჯზე მივაღწიეთ ბოლო დროს წარმატებას. ამიტომ ეს უნდა გამოვასწოროთ.

**ალექსანდრე იაშვილი:** - ყველამ ვნახეთ, ევროპის ჩემპიონატზე თამაში ახალგაზრდული თუ ეროვნული ნაკრების დონეზე რამხელა მოვლენაა, გუნდის თამაშში კი გულშემატკივრის როლი ძალიან დიდია. იმედი მაქვს, ამ შეხვედრებზე სტადიონი აუცილებლად შეივსება, წარმატებას ვუსურვებ ორივე ნაკრებს - ეროვნულ გუნდს ერთა ლიგაზე, ხოლო ახალგაზრდულ ნაკრებს - ხორვატიასთან პლეი-ოფში...

რა თქმა უნდა, საფარის მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. „აჭარაბეთ არენის" მდგომარეობას რაც შეეხება, იქ შეგნებულად არ თამაშობდა ბათუმის „დინამო", რომ საფარი უკრაინასთან თამაშისთვის იდეალურ მდგომარეობაში ყოფილიყო...

რაც შეეხება სიგუას მდგომარეობას და არის თუ არა ის 90 წუთის სათამაშოდ მზად? ის ძალიან ნიჭიერი, მნიშვნელოვანი მოთამაშეა და მიხარია, რომ გამოჯანმრთელდა. ეს მთავარია, რადგან ჩვენი ახალგაზრდულისთვის დიდი ძალაა. სათამაშოდ მზად არის.

**სერგო კორძაია**




## მეტოქეები

### უკრაინა

**მეკარეები** - გეორგი ბუშჩანი (დინამო კ), ანატოლი ტრუბინი (ბენფიკა, პორტუგალია), ანდრეი ლუნინი (რეალი, ესპანეთი)

**მცველები** - მიკოლა მატვიენკო, ეფიმ კონოპლია, ვალერი ბონდარი (ყველა - შახტარი), ოლექსანდრ ტიმჩიკი (დინამო კ), ვიტალი მიკოლენკო (ევერტონი, ინგლისი), ილია ზაბარნი (ბორნმუთი, ინგლისი), მაქსიმ ტალოვიეროვი (ლასკ, ავსტრია)

**ნახევარმცველები** - მიკოლა შაპარენკო, ვოლოდიმირ ბრაჟკო (ორივე - დინამო კ), გეორგი სუდაკოვი, დმიტრო კრისკივი, ოლექსანდრ ზუბკოვი (ყველა - შახტარი), ოლექსი გუცულიაკი, ოლექსანდრ ნაზარენკო (ორივე - პოლისია), ივან კალუჟნი (ოლექსანდრია), მიხაილო მუდრიკი (ჩელსი, ინგლისი), ვიქტორ ციგანკოვი (ჟირონა, ესპანეთი), ოლექსანდრ ზინჩენკო (არსენალი, ინგლისი), ეგორ იარმოლიუკი (ბრენტფორდი, ინგლისი)

**თავდამსხმელები** - არტიომ დოვბიკი (რომა, იტალია), რომან იარემჩუკი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ვლადისლავ ვანატი (დინამო კ)

lelo.ge

### ჩეხეთი

**მეკარეები** - მარტინ იედლიჩკა (პლზენი), ანტონინ კინსკი (სლავია), მატეი კოვარჟი (ლევერკუზენი, გერმანია)

**მცველები** - იან ბორილი (სლავია), ვლადიმირ ცუფალი (ვესტ ჰემი, ინგლისი), მილან ჰაველი (პლზენი), ტომაშ ჰოლეში (სლავია), ვაცლავ იემელკა (პლზენი), ლადისლავ კრეიჩი (ჟირონა, ესპანეთი), მარტინ ვიტიკი (სპარტა), დავიდ ზიმა (სლავია)

**ნახევარმცველები** - ვაცლავ ჩერნი (რეინჯერსი, შოტლანდია), ლუკაშ ჩერვი (პლზენი), ლუკაშ კალვახი (პლზენი), ალექს კრალი (ესპანიოლი, ესპანეთი), ონდრეი ლინგრი (სლავია), ლუკაშ პროვოდი (სლავია), ტომაშ სუჩეკი (ვესტ ჰემი, ინგლისი), მატეი შინი (ბანიკი), პაველ შულცი (პლზენი)

**თავდამსხმელები** - ადამ ჰლოჟეკი (ჰოფენჰაიმი), იან კლიმენტი (ოლომოუცი), იან კუხტა (მიდტიულანდი), ვასილ კუშეი (მლადა), ტომაშ ხორი (სლავია)

lelo.ge

საქართველოს XXXVI ჩემპიონატი. ეროვნული ლიგა. XXXII ტური

# სამი მინუს ერთი?

**ამ ტურში ერთმანეთს პირველი ოთხეულის გუნდები შეხვდნენ. ამდენად, ამ მატჩების შედეგებს სატურნირო ცხრილში სერიოზული კორექტივების შეტანა შეეძლო.**

**ასეც მოხდა - „დილა" თბილისში დამარცხდა „იბერიასთან" და დიდი ალბათობით საჩემპიონო რბოლას გამოეთიშა. შესაბამისად, ქართული ტიტულისთვის მთავარი ჯახი ახლა „იბერიასა" და „ტორპედოს" შორის წარიმართება...**

**გაცილებით დიდი დაძაბულობაა ცხრილის ქვედა ნაწილში, სადაც სულ მცირე 4 გუნდია ჩაბმული გადარჩენისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში...**

## იბერია 1999-დილა 3:2

*08.11. თბილისი. დავით პეტრიაშვილი*

**გოლები:** 1:0 გ. კოხრეიძე (44-პენ), 1:1 გ. გაფრინდაშვილი (53. ლომინაძის პასით), 2:1 ო. მამაგეიშვილი (61), 2:2 ბუღრიძე (69), 3:2 ი. ტაბატაძე (75-პენ)

**იბერია (4-2-3-1):** მაკარიძე - კაპანაძე, აგიაკვა, გელაშვილი, ჯინჯოლავა - ტეიდი, ქარდავა - ი. ტაბატაძე (80. ჯგერენაია), ო. მამაგეიშვილი (90+8. აგბალაკა), გ. კოხრეიძე (62. გ. მამაგეიშვილი) - სილა (90+8. სიხარულიძე). **მწვრთნელი:** ლევან კორღალიძე

**დილა (4-2-3-1):** კერესელიძე - გ. გაფრინდაშვილი, ბანდეირა, იცხაკი (80. ნობრეგა), ტიბუე (80. რუხაძე) - ლომინაძე (64. ბუღრიძე), ანდრონიკაშვილი - ვოუტერი, ფარულავა (64. დრამე), კონტე - შ. შეყილაძე (85. სანგარე). **მწვრთნელი:** ფრანსიშკუ კაშტრუ

**გაფრთხილება:** ფარულავა (17), ბანდეირა (37), ი. ტაბატაძე (37), ო. მამაგეიშვილი (45+2), სილა (45+3), ტეიდი (49), ქარდავა (69), რუხაძე (90+3), ნობრეგა (90+4)

**არბიტრი:** გ. ყრუაშვილი

### ფაქტები

*** „იბერიამ" მოიგო ზედიზედ 6 მატჩი.**

*** „იბერიას" არ წაუგია ბოლო 8 მატჩი.**

*** „იბერიას" არ წაუგია ზედიზედ 7 საშინაო მატჩი.**

*** „იბერიამ" პირველი გოლ(ებ)ი გაუშვა ბოლო 4 მატჩში.**

*** „იბერიამ" ბოლო 6 საშინაო მატჩიდან ხუთში 3-3 გოლი გაიტანა.**

*** „დილას" არ მოუგია ბოლო 3 მატჩი.**

*** „დილამ" წააგო ბოლო 2 გასვლითი მატჩი.**

*** „დილა" „იბერიასთან" ბოლო 7 გასვლით მატჩში პირველად დამარცხდა.**

*** „დილასა" და „იბერიას" შორის მიმდინარე სეზონის 4 მატჩში 18 გოლი გავიდა.**

## ტორპედო-დინამო (ბთ) 1:0

*08.11. ქუთაისი. რამაზ შენგელია*

**გოლი:** 1:0 ნინკოვიჩი (77. შერგელაშვილის პასით)

**ტორპედო (4-3-2-1):** კლიაიჩი - გ. მჭედლიშვილი, სანდოხაძე, ნადარაია, შერგელაშვილი - აურო, გიგაური, ბიძინაშვილი (66. ნინკოვიჩი) - ვარლეი (66. ბასილაძე), პირესი - იონსენი. **მწვრთნელი:** სტივ კინი

**დინამო (4-2-3-1):** ხარატიშვილი - მალი, კობახიძე, ქაფიანიძე, ჩიტეიშვილი - მილჩენკო, მარა - გომისი (79. მუჯირი), ბალბურდია, ტამბედო (57. ბლესა) - ინჯგია (76. ფაჩულია). **მწვრთნელი:** გიორგი ჭიაბრიშვილი

**გაფრთხილება:** ჩიტეიშვილი (26), ინჯგია (42), ნადარაია (45+2), მარა (49), ბიძინაშვილი (54), ხარატიშვილი (68), მალი (69), ბალბურდია (90+4)

**არბიტრი:** ჯ. ხორავა

### ფაქტები

*** „ტორპედოს" არ წაუგია ბოლო 3 მატჩი.**

*** „ტორპედომ" მოიგო ბოლო 5 საშინაო მატჩი.**

*** „ტორპედოს" არ გაუშვია გოლი ბოლო 3 საშინაო მატჩში.**

*** „ტორპედოს" ყველაზე მეტი (40) ქულა აქვს დაგროვილი საშინაო მატჩებში.**

*** ბათუმის „დინამომ" პირველად წააგო ბოლო 5 მატჩში.**

*** ბათუმის „დინამომ" პირველად წააგო ბოლო 4 გასვლით მატჩში.**

*** ბათუმის „დინამოს" არ დაუმარცხებია „ტორპედო" ბოლო 4 ოფიციალურ მატჩში.**

*** ბათუმის „დინამოსა" და „ტორპედოს" შორის ბოლო 6 დაპირისპირებაში მხოლოდ ერთ გუნდს გააქვს გოლი.**

## სამტრედია-დინამო (თბ) 1:1

*09.11. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე*

**გოლები:** 0:1 სალია (22. ხვადაგიანის პასით), 1:1 ოვუსუ (35)

**სამტრედია (5-4-1):** თ. მეგრელიშვილი - კვარაცხელია (83. როშა), კარილიო, ასუნშაუ, დ. უბილავა - ბარიოსი, აკნაზაროვი - ეკონგოლო (87. დანელია), არდაზიშვილი (70. მელო), ოვუსუ (70. ამოაკო) - მარტინი (83. ოდიშელიძე). **მწვრთნელი:** ვლადიმერ კაკაშვილი

**დინამო (3-5-2):** მაქაცარია - ხვადაგიანი, ს. კვირკველია, უგრეხელიძე - ანანგი, ბერელიძე, გ. ცეცხლაძე (58. ოსიყმაშვილი), ს. ხარებაშვილი, ედოკპოლორი (46. კალანდაძე) - სალია (76. რაიტერი), ვაწაძე (58. სანტისი). **მწვრთნელი:** ფერდინანდ ფელდჰოფერი

**გაფრთხილება:** ედოკპოლორი (5), ასუნშაუ (7), ს. ხარებაშვილი (12), კარილიო (42), უგრეხელიძე (80)

**გაძევება:** ს. ხარებაშვილი (90)

**არბიტრი:** გ. ავაზაშვილი

### ფაქტები

*** „სამტრედიამ" ვერ მოიგო ბოლო 4 მატჩი.**

*** „სამტრედიამ" ვერ მოიგო ბოლო 2 საშინაო მატჩი.**

*** „სამტრედიამ" წააგო ბოლო 6-დან მხოლოდ ერთი საშინაო მატჩი.**

*** თბილისის „დინამომ" ვერ მოიგო ბოლო 3 მატჩი.**

*** თბილისის „დინამომ" პირველად გაიტანა გოლი ბოლო 3 მატჩში.**

*** თბილისის „დინამოსა" და „სამტრედიას" შორის ბოლო 4 მატჩი ფრედ დასრულდა.**

*** თბილისის „დინამოს" არ დაუმარცხებია „სამტრედია" ბოლო 5 მატჩში.**

## თელავი-კოლხეთი 1913 3:0

*09.11. თელავი. კავკასიონი არენა*

**გოლები:** 1:0 თოლორდავა (9-პენ), 2:0 გეორგიევიჩი (23. ოდიშვილის პასით), 3:0 ჟივიძე (90+6)

**გამოუყენებელი პენალტი:** ფერეირა (73. ძელი)

**თელავი (4-2-3-1):** თანდილაშვილი - გოგნაძე, თოლორდავა, ოდიშვილი, პარკინაშვილი - ტრაორე (70. მარაქველიძე), ცნობილაძე - დეზირე, მენსალაო (82. ყიფიანი), მორჩილაძე (89. ჟივიძე) - გეორგიევიჩი (89. სიმაო). **მწვრთნელი:** ხარალამბუს ხრისტოდულუ

**კოლხეთი (3-5-2):** კოტლიაროვი - ახალაძე, ერაძე (42. ფალავა), გიუნაშვილი - ხარებავა (82. დ. გვასალია), ჯიჯავაძე, მელქაძე, აბუაშვილი (70. ზოიძე), თ. შეყილაძე - კლიმოვი, ლ. კოხრეიძე (46. ფერეირა). **მწვრთნელი:** კახა ჩხეტიანი

**გაფრთხილება:** კოტლიაროვი (9), მორჩილაძე (35), ცნობილაძე (66), დ. გვასალია (85)

**არბიტრი:** გ. კიკაჩეიშვილი

### ფაქტები

*** „თელავმა" მოიგო ბოლო 2 საშინაო მატჩი.**

*** „თელავმა" მოიგო ბოლო 3-დან 2 მატჩი.**

*** „თელავს" არ გაუშვია გოლი ბოლო 2 საშინაო მატჩში.**

*** „კოლხეთს" არ მოუგია ბოლო 11 მატჩი.**

*** „კოლხეთმა" წააგო ბოლო 5 გასვლითი მატჩი.**

*** „თელავმა" პირველად მოუგო „კოლხეთს" ბოლო 4 მატჩში.**

## სამგურალი-გაგრა 4:2

*10.11. წყალტუბო. საფეხბურთო ცენტრი*

**გოლები:** 0:1 გ. ხარებაშვილი (14. ნადარეიშვილის პასით), 0:2 გ. ლომთაძე (18. აფციაურის პასით), 1:2 კუტალია (34. ჯეფინიოს პასით), 2:2 კუტალია (60. ჟან კარლოსის პასით), 3:2 კუტალია (67-პენ), 4:2 კუტალია (78. ჯეფინიოს პასით)

**სამგურალი (5-3-2):** ყალიჩავა - კიკაბიძე (63. მ. აბულაძე), ქარიმოვი, მარკოვინა (46. ი. ახვლედიანი), პატარკაციშვილი, ბული - ჯეფინიო (85. ვერულიძე), ჯანჯღავა, ჟან კარლოსი - კუტალია (81. შეროზია), ლ. ხორხელი (63. ჩიხლაძე). **მწვრთნელი:** როდოლფო ვანოლი

**გაგრა (5-3-2):** ვოროზბეი - გეგეჭკორი (68. გაბისკირია), ჭავჭანიძე, ცინცაძე, პორფირიო, ლაკვეხელიანი (54. გ. უბილავა) - პაპუაშვილი (68. ულოგუემი), ნადარეიშვილი, აფციაური (54. ნოდ. ქავთარაძე) - გ. ლომთაძე (68. გოგოლაძე), გ. ხარებაშვილი. **მწვრთნელი:** გიორგი ონიანი

**გაფრთხილება:** ჯანჯღავა (3), აფციაური (51), ნადარეიშვილი (72), ნოდ. ქავთარაძე (90+5)

**გაძევება:** პორფირიო (76)

**არბიტრი:** ა. აფციაური

### ფაქტები

*** „სამგურალმა" შეწყვიტა 8-მატჩიანი მოუგებელი სერია.**

*** „სამგურალმა" პირველად მოიგო ბოლო 5 საშინაო მატჩში.**

*** „გაგრამ" წააგო ზედიზედ 2 მოგების შემდეგ.**

*** „გაგრას" არ მოუგია ბოლო 3 გასვლითი მატჩი.**

*** „სამგურალმა" მოუგო „გაგრას" ზედიზედ მე-3 მატჩი.**

*** ლევან კუტალიამ („სამგურალი") კარიერის ოფიციალურ მატჩებში პირველი „პოკერი" შეასრულა.**

*** გიორგი კოხრეიძის („იბერია") შემდეგ ლევან კუტალია გახდა მეორე ფეხბურთელი, ვინც მიმდინარე ეროვნული ლიგის ერთ მატჩში 4 გოლი გაიტანა.**

*** ლევან კუტალიას ბოლოს (2021) ჰეთ-თრიკი ჰქონდა შესრულებული უმ ალ-ფაჰმის (ისრაელი) „ჰაპოელის" შემადგენლობაში, ხოლო საქართველოს ჩემპიონატში - 2019 წელს, „იბერიასთან" (4:2).**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია 1999 | 32 | 21 | 4 | 7 | 69:43 | 67 |
| 2. ტორპედო | 32 | 19 | 7 | 6 | 53:35 | 64 |
| 3. დილა | 32 | 16 | 11 | 5 | 53:28 | 59 |
| 4. დინამო (ბთ) | 32 | 13 | 10 | 9 | 39:37 | 49 |
| 5. დინამო (თბ) | 32 | 9 | 12 | 11 | 32:37 | 39 |
| 6. სამგურალი | 32 | 9 | 9 | 14 | 47:47 | 36 |
| 7. გაგრა | 32 | 9 | 5 | 18 | 32:49 | 32 |
| 8. კოლხეთი 1913 | 32 | 6 | 13 | 13 | 39:55 | 31 |
| 9. თელავი | 32 | 7 | 9 | 16 | 27:38 | 30 |
| 10. სამტრედია | 32 | 5 | 12 | 15 | 31:53 | 27 |

| ბომბარდირები | გ | პ |
|---|---|---|
| **ბ. იონსენი** (ტორპედო) | 21 | 0 |
| **ტ. ვოუტერი** (დილა) | 17 | 5 |
| **გ. კოხრეიძე** (იბერია) | 15 | 5 |
| **შ. სილა** (იბერია) | 13 | 4 |

### XXXIII ტური

#### პარასკევი, 22 ნოემბერი

**გაგრა-თელავი 19:00**

*თბილისი. დავით პეტრიაშვილი*

ურთიერთშეხვედრები

**11: +4 =4 -3, 12-8**

I-II-III წრე: 0:1, 2:0, 1:0

#### შაბათი, 23 ნოემბერი

**კოლხეთი 1913-ტორპედო 14:00**

*ქობულეთი. საფეხბურთო ცენტრი*

ურთიერთშეხვედრები

**72: +16 =20 -36, 71-117**

I-II-III წრე: 2:3, 2:5, 0:2

**სამგურალი-სამტრედია 14:00**

*წყალტუბო. 26 მაისი*

ურთიერთშეხვედრები

**25: +12 =4 -9, 36-40**

I-II-III წრე: 0:2, 4:0, 2:2

**დილა-დინამო (თბ) 18:00**

*გორი. თენგიზ ბურჯანაძე*

ურთიერთშეხვედრები

**84: +11 =16 -57, 57-197**

I-II-III წრე: 2:2, 2:1, 1:1

**დინამო (ბთ)-იბერია 1999 20:00**

*ბათუმი. აჭარაბეთ არენა*

ურთიერთშეხვედრები

**29: +11 =9 -9, 40-37**

I-II-III წრე: 0:3, 2:3, 0:3

# ეროვნული ლიგა 2

### XXXII ტური

## კოლხეთი (ხ)-რუსთავი 0:5

*09.11. ხობი. საფეხბურთო ცენტრი*

**გოლები:** 0:1 გ. გაბედავა (38-პენ), 0:2 გ. გაბედავა (51), 0:3 ს. კესი (57), 0:4 მ. ქომეთიანი (64), 0:5 გ. ჯალაღონია (88)

**კოლხეთი:** ლ. მიქაია, ი. შონია (66. ნ. გაბელაია), ზ. ლატარია, თ. დუნდუა, გ. გაზდელიანი (66. გ. თევზაძე), ა. მესიაჩენკო, ლ. მეფიშვილი (66. ვ. აბაკელია), გ. მირზოევი (46. ლ. ჯღამაია), რ. სალუქვაძე, თ. ფიფია (46. კ. ასამოა), ლ. წოწონავა. **მწვრთნელი:** ლევან ნოდია

**რუსთავი:** გ. ბეგაშვილი, ა. ტვილდიანი (66. გ. გეგეჭკორი), დ. დობრანსკი, ვ. კილასონია, გ. ჯალაღონია, ზ. სიჭინავა, ლ. ქოჩლაძე, ბ. ჯიბრილი (66. ლ. ქემოკლიძე), ი. ნაკანო (60. ა. გუჯაბიძე), ს. კესი (60. მ. ქომეთიანი), გ. გაბედავა (60. ბ. გოცაძე). **მწვრთნელი:** ვარლამ კილასონია

**გაფრთხილება:** თ. დუნდუა (40)

**არბიტრი:** გ. ლომიძე

## გარეჯი-შტურმი 5:1

*09.11. საგარეჯო. ცენტრალური*

**გოლები:** 0:1 ბ. შუბითიძე (10), 1:1 ლ. პაპავა (19-პენ), 2:1 კ. კაკაშვილი (41), 3:1 ჯ. კასრელიშვილი (62), 4:1 მ. სამასა (73), 5:1 ნ. სპანდერაშვილი (90)

**გარეჯი:** ლ. გურგენიძე, ნ. გალახვარიძე, ბ. მირცხულავა (86. თ. კაპანაძე), ჯ. კასრელიშვილი, ბ. მოსაშვილი, ლ. თოლორდავა (56. გ. ვეკუა), კ. კაკაშვილი, თ. ძებნიაური, ბ. გოგობერიშვილი (86. ვ. ოლხოვი), ლ. პაპავა (80. ნ. სპანდერაშვილი), მ. სამასა (80. ი. ლექვთაძე). **მწვრთნელი:** თენგიზ კობიაშვილი

**შტურმი:** მ. ტაბეშაძე, ბ. შუბითიძე, ზ. სეხნიაშვილი, ნ. აფაქიძე, შ. სანაშვილი, ნ. ტალახაძე (67. ვ. მჭედლიშვილი), ნ. აბულაძე (81. ბ. მიქელაძე), ლ. ბუცხრიკიძე, ს. ნიორაძე (72. ზ. სიხარულია), პ. კიტეიშვილი, გ. ფერაძე (81. ა. არველაძე). **მწვრთნელი:** ლევან ნებიერიძე

**გაფრთხილება:** ლ. თოლორდავა (9), მ. სამასა (44), კ. კაკაშვილი (79) - ს. ნიორაძე (34)

**გაძევება:** ბ. შუბითიძე (60)

**არბიტრი:** კ. რევაზაშვილი

## არაგვი-ვიტ ჯორჯია 1:0

*09.11. სართიჭალა. ცენტრალური*

**გოლი:** 1:0 ა. ბაფური (90+2)

**არაგვი:** გ. ქუთათელაძე, კ. მელიავა, ა. კობერიძე, დ. მაისაშვილი, ა. ბაფური, რ. გეწაძე (75. კ. ქებურია), გ. ვასაძე (85. რ. ჩხაიძე), გ. წურწუმია, კ. ჩან-ვუ (85. ო. ტორაძე), თ. ბრეგვაძე, ხ. ასპრილია. **მწვრთნელი:** დავით ქოქიაშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ა. კაპანაძე, თ. დალაქიშვილი (60. ბ. ხუციშვილი), ს. სვიანაძე, ლ. ბეროზაშვილი, ბ. ხარაიშვილი, ი. გულისაშვილი, ლ. იაშვილი (76. ვ. შერმადინი), გ. რობაქიძე, ნ. ლამბარაშვილი (80. ი. ჯავახიშვილი), ბ. გუგბერიძე, ა. ძაგანია. **მწვრთნელი:** ალექსანდრე ინწკირველი

**გაფრთხილება:** ს. სვიანაძე (90+1)

**არბიტრი:** ი. ხერხაძე

## სპაერი-დინამო 2 (თბ) 0:0

*09.11. თბილისი. სპაერი*

**სპაერი:** ბ. ფუტკარაძე, ნ. ჩაგუნავა, გ. პირტახია, ნ. კენჭაძე, გ. სამხარაძე, ს. მაისურაძე, ჭ. ლაბაძე (64. ჭ. ლაბაძე), ს. გეგიაძე, ლ. ბარაბაძე, გიორგი დ. ცეცხლაძე (82. ც. ჩოთალიშვილი), ზ. ბასილაშვილი (57. გ. ა. ცეცხლაძე). **მწვრთნელი:** ანზორ კილურაძე

**დინამო 2:** ს. ტარტარაშვილი, გ. სადღობელაშვილი, თ. გობეშია, გ. მეფარიშვილი, ს. კვერენჩხილაძე, ლ. წულაია, ნ. ტკალია (75. ლ. ბუბუტეიშვილი), ა. მაშავა (46. ნ. ყველაშვილი / 88. გ. ნიკოლაიშვილი), ნ. ცეცხლაძე, დ. გოცირიძე (69. ჯ. იობაშვილი), ნ. ფრიდონიშვილი (46. თ. ოდიკაძე). **მწვრთნელი:** ვალერი გაგუა

**გაფრთხილება:** ლ. წულაია (40), თ. გობეშია (47)

**არბიტრი:** დ. ფიფია

## ლოკომოტივი-სიონი 2:1

*09.11. გორი. თენგიზ ბურჯანაძე*

**გოლები:** 1:0 დ. ბუკია (36), 1:1 გ. გვიშიანი (68), 2:1 მ. გავაშელიშვილი (74)

**ლოკომოტივი:** ლ. შოვნაძე, რ. ჩაჩუა, ნ. ჭანტურია, გ. გეგუჩაძე, დ. ბუკია, რ. მჭედლიშვილი, ფ. ჩილეშე, დ. სამურკასოვი (87. ს. შაშიაშვილი), ლ. მენთეშაშვილი (78. ს. შეწირული), ლ. კეკელიძე (72. მ. გავაშელიშვილი), დ. ამოაკო. **მწვრთნელი:** რევაზ გოცირიძე

**სიონი:** ლ. ისიანი, ნ. იაშვილი, ლ. ქურდაძე, გ. რეხვიაშვილი, გ. კორიფაძე (86. გ. მუკბანიანი), გ. ცირდავა (67. გ. გვისიანი), ა. დევდარიანი (46. თ. კაპანაძე), ნ. ნოზაძე, ლ. ჩაგანავა (86. ლ. ქოქოსაძე), თ. მაქაცარია (67. ნ. ქოქოსაძე), დ. სიჭინავა. **მწვრთნელი:** გიორგი ჭელიძე

**გაფრთხილება:** დ. ბუკია (25), დ. სამურკასოვი (29), ლ. შოვნაძე (64)

**არბიტრი:** ა. ფარჯიკია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გარეჯი | 32 | 17 | 8 | 7 | 68:40 | 59 |
| 2. რუსთავი | 32 | 18 | 5 | 9 | 57:34 | 59 |
| 3. სიონი | 32 | 17 | 3 | 12 | 57:35 | 54 |
| 4. სპაერი | 32 | 13 | 9 | 11 | 41:40 | 48 |
| 5. დინამო 2 (თბ) | 32 | 13 | 5 | 13 | 44:54 | 45 |
| 6. არაგვი | 32 | 12 | 6 | 14 | 47:48 | 42 |
| 7. ლოკომოტივი | 32 | 10 | 11 | 11 | 46:48 | 41 |
| 8. შტურმი | 32 | 10 | 8 | 14 | 36:45 | 38 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 32 | 10 | 8 | 14 | 46:52 | 38 |
| 10. კოლხეთი (ხ) | 32 | 4 | 8 | 20 | 26:72 | 20 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| **ლ. პაპავა (გარეჯი)** | **23** |
| **დ. სიჭინავა (სიონი)** | **21** |
| **ა. ძაგანია (ვიტ ჯორჯია)** | **19** |
| **თ. ბრეგვაძე (არაგვი)** | **18** |

### მომდევნო ტური

#### პარასკევი, 22 ნოემბერი

**დინამო 2 (თბ)-ვიტ ჯორჯია 14:00**

*თბილისი. ვიტალი დარასელია*

**სიონი-გარეჯი 14:00**

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

**კოლხეთი (ხ)-არაგვი 14:00**

*ხობი. პაატა თათარიშვილი*

**შტურმი-სპაერი 14:00**

*სართიჭალა. ცენტრალური*

**რუსთავი-ლოკომოტივი 14:00**

*რუსთავი. ტექნიკური ცენტრი*

# ლიგა 3. XXVI ტური

## მეშახტე-გურია 7:0

**გოლები:** 1:0 დ. ღურწკაია (8), 2:0 გ. გულდედავა (15), 3:0 დ. ღურწკაია (18), 4:0 გ. გულდედავა (38), 5:0 ს. ბახია (42-საკ. კარში), 6:0 დ. ვირუბოვი (51-საკ. კარში), 7:0 ნ. აბულაძე (86)

## ვარკეთილი-ლოკომოტივი 2 4:1

**გოლები:** 1:0 გ. ხმალაძე (5), 1:1 ვ. ფომენა (29-საკ. კარში), 2:1 ზ. ღირდალაძე (52), 3:1 დ. ჭითაშვილი (79), 4:1 მ. ქოჩაკიძე (90+4)

## მერანი (თბ)-ბორჯომი 2:1

**გოლები:** 1:0 ნ. ჯაფარიძე (49), 1:1 დ. ებრალიძე (90), 2:1 ნ. ტოკლიკიშვილი (90+1)

## მერანი (მ)-ბახმარო 3:0

**გოლები:** 1:0 თ. ჯიმშელეიშვილი (15), 2:0 ჯ. ესონკულოვი (55), 3:0 ჯ. ესონკულოვი (81)

## გარდაბანი-ზესტაფონი 2:2

**გოლები:** 1:0 ლ. ბაბლუანი (17), 1:1 დ. ბოლოთაშვილი (25), 2:1 ლ. დევდარიანი (45-საკ. კარში), 2:2 დ. მიშველიძე (80)

**გაძევება:** ი. გუჯარაიძე (73. გარდაბანი)

## ბეთლემი-გონიო 2:3

**გოლები:** 0:1 ტ. აბუსელიძე (4), 0:2 ს. ჯინჭარაძე (16), 0:3 ტ. აბუსელიძე (23), 1:3 ზ. ბერიძე (46), 2:3 ზ. ბერიძე (52)

## მაჭახელა-იბერია 1999 2 1:1

**გოლები:** 1:0 ლ. ასანიძე (5), 1:1 დ. გაბისონია (49-პენ)

## ორბი-გორი 1:2

**გოლები:** 0:1 ე. ფობი (11), 0:2 ნ. ოქროპირიძე (36-პენ), 1:2 გ. იაკობიძე (48)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გონიო | 26 | 18 | 4 | 4 | 67:27 | 55 |
| 2. მერანი (მ) | 26 | 14 | 6 | 6 | 50:27 | 48 |
| 3. მეშახტე | 26 | 14 | 6 | 6 | 42:21 | 48 |
| 4. ორბი | 26 | 12 | 9 | 5 | 40:30 | 45 |
| 5. გორი | 26 | 12 | 8 | 6 | 41:24 | 44 |
| 6. იბერია 1999 2 | 26 | 11 | 10 | 5 | 31:18 | 43 |
| 7. ბეთლემი | 26 | 11 | 5 | 10 | 37:41 | 38 |
| 8. ლოკომოტივი 2 | 26 | 11 | 4 | 11 | 45:51 | 37 |
| 9. მერანი (თბ) | 26 | 9 | 8 | 9 | 33:34 | 35 |
| 10. ბორჯომი | 26 | 8 | 4 | 14 | 29:44 | 28 |
| 11. გარდაბანი | 26 | 7 | 7 | 12 | 29:29 | 28 |
| 12. ვარკეთილი | 26 | 7 | 6 | 13 | 35:45 | 27 |
| 13. ბახმარო | 26 | 6 | 8 | 12 | 17:25 | 26 |
| 14. მაჭახელა | 26 | 6 | 6 | 14 | 27:57 | 24 |
| 15. ზესტაფონი | 26 | 5 | 9 | 12 | 28:43 | 20 |
| 16. გურია | 26 | 4 | 6 | 16 | 21:57 | 18 |

** - სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „ზესტაფონი"-"ორბის" მატჩში (XVI ტური) ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება (0:3). „ზესტაფონს" დააკლდა 3 ქულა.*

# ლიგა 4. XXVII ტური

## სქური-დიდუბე 2:1

**გოლები:** 1:0 ბ. ჭედია (7), 2:0 ლ. მორგოშია (20), 2:1 თ. კურტანიძე (39)

## გაგრა 2-სამგურალი 2 2:0

**გოლები:** 1:0 ლ. ჩიხლაძე (85), 2:0 გ. ჭეჟია (87)

## ჩიხურა-ვარკეთილი 2 0:4

**გოლები:** 0:1 ტ. შუკვანი (28), 0:2 გ. ჩხეიძე (65), 0:3 ნ. ხუციშვილი (81), 0:4 ა. ბიძინაშვილი (90+2)

## მერანი 2 (თბ)-ზანა 3:2

**გოლები:** 1:0 ნ. ხეცურიანი (3), 2:0 ა. ანთელავა (32), 2:1 ნ. ღადუა (55), 2:2 გ. ლომიძე (55-პენ), 3:2 თ. ჯიმშელეიშვილი (65)

## ოდიში 1919-ვიტ ჯორჯია 2 3:2

**გოლები:** 1:0 ა. ენდელაძე (37), 1:1 დ. თადაშვილი (39), 1:2 ზ. ადეიშვილი (58), 2:2 კ. შენგელია (76), 3:2 ა. ენდელაძე (84)

## მარგვეთი-სულორი 6:3

**გოლები:** 1:0 ჯ. ხმელიძე (9), 2:0 ჯ. ხმელიძე (15), 3:0 ჯ. ხმელიძე (38), 3:1 თ. ქოქიაშვილი (43), 4:1 თ. დარსაველიძე (47), 4:2 დ. ტრაპაიძე (50), 4:3 ლ. ჩავჩიძე (65), 5:3 ნ. ხარაიშვილი (80), 6:3 კ. გოგობერიშვილი (88-პენ)

**გაძევება:** დ. ტრაპაიძე (60. სულორი)

## ალგეთი-მერცხალი 1:2

**გოლები:** 1:0 თ. ვაჩაძე (10), 1:1 გ. ჭანუყვაძე (28), 1:2 დ. ჯაფარიძე (45+6)

**გაძევება:** გ. პაპიაშვილი (45. ალგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დიდუბე | 25 | 20 | 2 | 3 | 68:13 | 62 |
| 2. ოდიში 1919 | 25 | 20 | 0 | 5 | 82:26 | 60 |
| 3. მარგვეთი | 25 | 19 | 2 | 4 | 85:37 | 59 |
| 4. სამგურალი 2 | 25 | 14 | 1 | 10 | 76:42 | 43 |
| 5. მერანი 2 (მ) | 25 | 12 | 3 | 10 | 50:42 | 39 |
| 6. გაგრა 2 | 25 | 12 | 2 | 11 | 45:33 | 38 |
| 7. სქური | 25 | 11 | 3 | 11 | 45:50 | 36 |
| 8. ალგეთი | 26 | 11 | 3 | 12 | 37:49 | 36 |
| 9. სულორი | 25 | 10 | 4 | 11 | 43:48 | 34 |
| 10. ვარკეთილი 2 | 25 | 10 | 2 | 13 | 45:58 | 32 |
| 11. მერცხალი | 25 | 9 | 4 | 12 | 51:53 | 31 |
| 12. ზანა | 25 | 10 | 1 | 14 | 39:57 | 31 |
| 13. ვიტ ჯორჯია 2 | 25 | 8 | 4 | 13 | 42:49 | 28 |
| 14. მერანი 2 (თბ) | 26 | 5 | 1 | 20 | 23:86 | 13 |
| 15. ჩიხურა | 25 | 2 | 0 | 23 | 20:108 | 6 |

**საქართველოს** თასის ფინალისტები ცნობილია - გადამწყვეტი ბრძოლა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბ თბილისის „დინამოსა" და მეორელიგელ, ასევე დედაქალაქურ „სპაერს" შორის 5 დეკემბერს, „მიხეილ მესხზე" გაიმართება. თამაში 19 საათზე დაიწყება...



ქვედალიგელმა რანგით მაღლა მდგომ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდო

# შევიდა, გაიტანა, ფინალში გაიყვანა!

**დინამო (თბ) 1:0 კოლხეთი 1913**

*05.11. თბილისი. დინამო არენა*

**გოლი:** 1:0 ვაწაძე (65-პენ)

**დინამო:** მაქაცარია, ხვადაგიანი, კვირკველია, უგრეხელიძე, ს. ხარებაშვილი, ანანგი, ნინუა (15. ბერელიძე / 87. ცეცხლაძე), ედოკპოლორი, ოსიყმაშვილი, გორდეზიანი (56. ვაწაძე), რაიტერი (56. სალია)

**კოლხეთი:** კოტლიაროვი, ერაძე, გიუნაშვილი, თ. შეყილაძე (80. ფაღავა), ახალაძე, ფირანაშვილი (90+5. დათუაშვილი), ჯიჯავაძე (80. ფერეირა), ზოიძე (65. ხარებავა), აბუაშვილი, ლ. კოხრეიძე, კლიმოვი

**გაფრთხილება:** ნინუა (9), ზოიძე (22), უგრეხელიძე (55)

**არბიტრი:** ი. კვირიკაშვილი

„კოლხეთმა" კარგად ითამაშა, ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ფინალში გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თბილისის „დინამოსთვის" კი ფინალის საგზური სეზონის გადარჩენის გზაზე გადადგმული აუცილებელი ნაბიჯია.

რაკი **ფერდინანდ ფელდჰოფერის** გუნდი დიდი ხანია აღარ ოცნებობს ეროვნული ლიგიდან ევროპაში მოხვედრაზე, ამის ერთადერთი შანსი ახლა სწორედ თასის მოგებაა.

„დინამომ" გამარჯვება **მათე ვაწაძის** მიერ გატანილმა 11-მეტრიანმა მოუტანა. ვეტერანი ფორვარდი სულ რამდენიმე წუთის შესული იყო მოედანზე. ასეთ დროს, შეიძლება, ბევრს არც აეღო საკუთარ თავზე ესოდენ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება, მაგრამ ვაწაძეს სწორედ გამოცდილებამ და სტატუსმა გააბედინა - 1:0.

არადა, არბიტრმა თავიდან სწორედ ის დააჯარიმა შეტევაში ხელით თამაშისთვის, მაგრამ როცა VAR-ის ოთახიდან ეპიზოდის მონიტორზე შემოწმება შესთავაზეს, აღმოჩნდა, რომ საჯარიმოში ხელით არა ვაწაძემ, არამედ „კოლხეთის" მცველმა **აკაკი გიუნაშვილმა** ითამაშა...

ერთი სიტყვით, ვაწაძის დარტყმა, 1:0 და „დინამო" ფინალშია!

lelo.ge

# სპაერმა გაგრა ქარს გაატანა!

**სპაერი-გაგრა 2:2, პენ 5:4**

*05.11. თბილისი. სპაერი*

**გოლები:** 0:1 გ. ხარებაშვილი (13), 1:1 გ. ა. ცეცხლაძე (48-პენ), 2:1 გეგიაძე (103), 2:2 ლომთაძე (120+2-პენ)

**პენალტების სერია:** 1:0 ჩაგუნავა, 1:1 ლომთაძე, 2:1 სამხარაძე, 2:2 ცინცაძე, 3:2 კენჭაძე, 3:3 ლაკვეხელიანი, 4:3 ბუნტური, 4:4 ხარებაშვილი, 4:4 ლაბაძე (მეკარე), 4:4 გეგეჭკორი (მეკარე), 5:4 ბექაძე, 5:4 ჩამბა (აცილება)

**სპაერი:** ფუტკარაძე, გრიგალაშვილი, ცალუღელაშვილი (100. ლაბაძე), გეგიაძე (115. ბექაძე), მაისურაძე, გ. ა. ცეცხლაძე (100. ბასილაშვილი), გ. დ. ცეცხლაძე (106. კენჭაძე), ბარაბაძე, სამხარაძე, ჩაგუნავა, ბუნტური

**გაგრა:** ვოროზეი, გეგეჭკორი, ჭავჭანიძე, აფციაური (107. ლაკვეხელიანი), იაკობიძე, პორფირიო (46. უბილავა), გაბისკირია (79. ცინცაძე), პაპუაშვილი (60. ულოგუემი), ლომთაძე, გ. ხარებაშვილი, ქავთარაძე (60. ჩამბა)

**გაფრთხილება:** პორფირიო (1), გრიგალაშვილი (56), ცალუღელაშვილი (64), აფციაური (67), ჩამბა (90+2), ფუტკარაძე (108)

**გაძევება:** გრიგალაშვილი (120+1)

**არბიტრი:** გ. კიკაჩეიშვილი

ეროვნული ლიგა 2-ის ბინადარი „სპაერი", რომელსაც უმაღლესში აღზევების შანსი ჯერ კიდევ არ დაუკარავს, თასის ფინალში გავიდა და როგორც არ უნდა მორჩეს სეზონი, ეს უკვე სერიოზული წარმატებაა **ანზორ კილურაძის** გუნდისთვის.

მატჩი ძლიერი ქარის თანხლებით წარიმართა, რაც ფეხბურთელებს გვარიანად უშლიდა ხელს. ეს განსაკუთრებით ბოლოს, პენალტების სერიაში გამოჩნდა, როცა ბურთის ნიშნულზე გაჩერება ვერ ხერხდებოდა...

ძალიან მაღალი ალბათობით, „სპაერი" 11-მეტრიანების გარეშეც გავიდოდა ფინალში, რომ არა დამატებითი დროის ბოლო წამზე მომხდარი ეპიზოდი, როცა **გიორგი გრიგალაშვილმა** კარის ხაზზე მეკარის როლი შეასრულა და ბურთი „ცხრიანიდან" მოხსნა.

„სპაერის" მცველი გააძევეს და დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად შეასრულა **გიორგი ლომთაძემ.** ნახევარფინალის ბედი ახლა უკვე პენალტების სერიას უნდა გადაეწყვიტა...

ორივე გუნდმა უშეცდომოდ შეასრულა პირველი 5 დარტყმა. გადამწყვეტი აღმოჩნდა **სირილ ჩამბას** შეცდომა. მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ხარიხამ აისხლიტა, რაც „სპაერის" გამარჯვების მომასწავებელი აღმოჩნდა.

lelo.ge


თბილისის დინამოს მათე ვაწაძის პენალტმა მოაგებინა

# გაიცანით ფინალისტი...

## როცა საფეხბურთო კლუბი ერთი დღით არ ცხოვრობს...

**საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს თბილისის „დინამო" და დედაქალაქის კიდევ ერთი წარმომადგენელი, „სპაერი" შეხვდებიან.**

**თასის გათამაშების დასაწყისში ალბათ ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ლიგა 2-ის ბინადარი „სპაერი" ტურნირის დასკვნით მატჩში მონაწილეობის უფლებას მიიღებდა.**

**ნახევარფინალურ ჯახში „სპაერმა" „გაგრას" მოუგო 11-მეტრიანების სერიაში და თავის ისტორიაში განსაკუთრებული ფურცელი ჩაწერა...**

### ქვედალიგელთა გმირობანი

საქართველოს თასის გათამაშება სათავეს 1990 წლიდან იღებს და ამ დროის განმავლობაში რანგით მეორე ლიგის წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა, ფინალშიც უთამაშიათ, თუმცა ეს ხშირად არ ხდებოდა და ამაში არალოგიკური არაფერია.

პირველმა ეს 2010/11 წლების სეზონში „გაგრამ" მოახერხა. გვახსოვს მაშინდელი ფინალი - გადამწყვეტ შეხვედრას ქუთაისის „ტორპედო" გამოკვეთილი ფავორიტის სტატუსით შეეგება, თუმცა გამარჯვება, ბევრისთვის მოულოდნელად, დაბალლიგელს დარჩა - 1:0.

2016 წელს ჩატარდა გარდამავალი ჩემპიონატი. ამ პირველობის მეორე ეტაპზე მარტვილის „მერანი" აღარ იყო ქართული საკლუბო ფეხბურთის ელიტაში. ამის მიუხედავად, ჭყონდიდელებმა მაინც მოიპოვეს გადამწყვეტ სათასო შეხვედრაში ასპარეზობის უფლება. ფინალური შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოსთან" მარტვილელებმა კარგად ჩაატარეს, თუმცა მინიმალური ანგარიშით, 1:2 დამარცხდნენ.

რანგით მეორელიგელის სტატუსით „გაგრა" ფინალში კიდევ ერთხელ, 2018 წელს გავიდა. მაშინ „ტორპედოსთან" გამართულმა მარათონულმა შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, სადაც უფრო ცივსისხლიანები ქუთაისელები აღმოჩნდნენ.

2020 წელი მართლაც რომ განსაკუთრებული გამოდგა. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს ორი ქვედალიგელი - „გაგრა" და „სამგურალი" შეხვდნენ. „გაგრამ" თერთმეტმეტრიანების სერიაში იყოჩაღა და სანუკვარი ტიტულიც მოიგო.

2022 წელს უდიდესი სიურპრიზი შემოგვთავაზა „ლოკომოტივი 2-მა". ახალგაზრდა „რკინიგზელები", რომლებიც ლიგა 4-ში(!) იყვნენ, ფინალში გავიდნენ და „ტორპედოს" დაუპირისპირდნენ. ის შეხვედრა „ტორპედომ" 2:0 მოიგო.

სხვათა შორის, „სპაერი" ერთადერთი კლუბია (აქ „ლოკომოტივი 2-ს" არ მივათვლით), რომელიც საქართველოს თასის გათამაშების ფინალში კი გავიდა, მაგრამ არასოდეს უთამაშია ჩვენი ქვეყნის ელიტურ საფეხბურთო ლიგაში. იყო მომენტი, როცა „სპაერი" იბრძოდა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად, მაგრამ მიზანს ჯერჯერობით ვერ მიაღწია...


სპაერის მთავარი მწვრთნელი ანზორ კილურაძე

### გეგმაზომიერად, აუჩქარებლად...

„სპაერი" 2017 წელს დაარსდა. ამის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა გეგმაზომიერად მიჰყვება დასახულ გეგმას, აუჩქარებლად აკეთებს საქმეს. ყველაზე გასახარი და მისასალმებელი ის არის, რომ „სპაერი" არ არის ერთწლიანი გუნდი.

კლუბის არსებობის ისტორიაში ყოფილა როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი პერიოდები, მაგრამ ხელმძღვანელობას საქმისადმი მიდგომა არ შეუცვლიათ. ისინი წლების განმავლობაში სტაბილურად აკეთებენ საქმეს და მომავალშიც იმავეს აპირებენ.

ამ დროისთვის ლიგა 2-ის გათამაშებაში „სპაერი" მეოთხე ადგილზეა. მართალია, მიმდინარე სეზონში ველარ მოხერხდება უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება, მაგრამ მალე მოვა ახალი სეზონიც და, ვფიქრობთ, ამ წარმატების შემდეგ „სპაერს" ნამდვილად ექნება იმის ამბიცია, რომ ითამაშოს უძლიერესთა შორის.

რა არის „სპაერის" სიძლიერის მთავარი განმაპირობებელი? ჩვენი აზრით ის, რომ უკვე წლებია, გუნდის ძირითადი ბირთვი ერთად მოდის. თავისთავად ცხადია, ადგილ-ადგილ „სპაერს" ემატებიან ახალი კადრებიც, მაგრამ ყოველივე ეს სპონტანურად როდი ხდება.

ამასთან, „სპაერი" ძალიან გუნდურია. რამდენიმე ფეხბურთელი მაინც უნდა გამოვარჩიოთ. აბა, როგორ არ უნდა ვახსენოთ მეკარე **ბუხუტი ფუტკარაძე**, მცველი **გიგა სამხარაძე**, საყრდენი **ცოტნე ჩოთალიშვილი**, ცენტრალური ნახევარმცველი **ლევან ბარაბაძე**, მარჯვენა გარემარბი **საბა გეგიაძე**, ფორვარდი **გიორგი ცეცხლაძე** და გამოცდილი ნახევარმცველი **ზაქარია ბასილაშვილი**...

### კილურაძის ფაქტორი

„სპაერის" წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი თაობის თაობის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მწვრთნელმა, **ანზორ კილურაძემ**. ამ სტრიქონების ავტორი კარგა ხანია, აკვირდება კილურაძის სამწვრთნელო საქმიანობას და თამამად შეუძლია დაწეროს, რომ ახალი თაობის მწვრთნელებს შორის მისი გაქანების სპეციალისტი საქართველოს ბევრი არ ჰყავს!

არცთუ დიდი ხნის წინ ის კარგად მუშაობდა საფეხბურთო კლუბ „ვარკეთილის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მერე „სპაერში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ, გუნდში სეზონის მიმდინარეობისას მისვლა კი სულაც არ არის იოლი საქმე.

რა არის კილურაძის მთავარი საფეხბურთო ნიშა? არაერთხელ გვინახავს მისი გაწვრთნილი გუნდების თამაში და, უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ინტენსიური ფეხბურთისადმი ერთგულება, ბალანსი მინდორზე, უბურთოდ მოძრაობის წინა პლანზე წამოწევა, მეტი გეგმა და ნაკლები სპონტანურობა.

აქვე, როცა „სპაერის" სამწვრთნელო შტაბზე ვსაუბრობთ, როგორ შეიძლება, არ ვახსენოთ კლუბის წინა დამრიგებელი - **კახა მაისურაძე**, ვინც დიდი ღვაწლი დასდო „სპაერს", და ზეგამოცდილი **გელა გომელაური**, საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ყოფილი დამრიგებელი, მწვრთნელი, ვინც არაერთ მაგარ მოთამაშეს გაუკვალა გზა დიდ ფეხბურთში.

„სპაერის" წარმატება ერთხელაც ცხადყოფს, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად მიაღწევს შედეგს ის კლუბი, რომელიც საქმე-საკეთებელს სტაბილურად მიუყვება და ერთი დღით არ ცხოვრობს!

**ალეკო პაპაურიძე**

მოსაზრება

# ხვიჩა კვარაცხელიამ ნაპოლი უნდა დატოვოს!

**ხვიჩა კვარაცხელიასა და „ნაპოლის“ შორის ახალი კონტრაქტის გაფორმების საკითხი ჯერაც ჰაერშია გამოკიდებული. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩვენთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი თემა ასე მალე არ დაიხურება. თანამედროვე ფეხბურთში მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით რომ ვითარდება, ეს ყველამ ვიცით, თუმცა ამ გადასახედიდან ისე ჩანს, როგორც დავწერეთ...**



იტალიური სპორტული მედიის მიხედვით, „ნაპოლიმ“ კონკრეტული ულტიმატუმი წაუყენა **ხვიჩა კვარაცხელიას** ბანაკს: კონტრაქტის საკითხი მიმდინარე თვის ბოლომდე უნდა გადაწყდეს! „ნაპოლის“ მიზანი გასაგებია - რაც შეიძლება მალე დახუროს ეს სატრანსფერო საგა, ან, თუ ვერ დახურავს, ის მაინც იცოდეს, რომ კვარაცხელიას შემცვლელი ეყოლება მოსაძებნი.

ეს ერთი და ორი დღის საქმე ვერაფრით იქნება, რადგან ხვიჩა ნამდვილი ვარსკვლავია და ასეთი ფეხბურთელები, როგორც ერთ ცნობილ და ყველასთვის საყვარელ ფილმში ამბობენ - „ქუჩაში არ ყრია“.

გასაგებია „ნაპოლის“ სურვილები, მაგრამ რა გვსურს ჩვენ? თქმა რად უნდა, გვსურს, რომ „კვარა“ ძველებურად ბრწყინავდეს საფეხბურთო მინდორზე. ეს სისხლხორცეულად მნიშვნელოვანია საქართველოს ნაკრებისთვის, ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვის, რადგან დღეს ხვიჩა ქართული ფეხბურთის სახეა.

ცხადია, სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ დღეს ასეა - კვარაცხელია მაინც ვერ იღებს იმ დაფასებას კლუბის ხელმძღვანელობისა და ზოგიერთი გულშემატკივრისგან, რომლის ღირსიც ის ნამდვილად არის.

ასე მაგალითად, „ნაპოლიში“ მისი საიუბილეო, მე-100 მატჩის შემდეგ ხშირი იყო ხვიჩას მიმართ კრიტიკა სოციალური ქსელის მეშვეობით და ეს კრიტიკა „ნაპოლის“ ზოგიერთი გულშემატკივრისგან მოდიოდა.

როგორც ჩანს, მათ დაავიწყდათ, რომ ფეხბურთელი ადამიანია და არა - ღმერთი. დაავიწყდათ, რომ ყველა შეხვედრას ერთ დონეზე ვერაფრით ჩაატარებ. ესეც არ იყოს, ხვიჩას „ნაპოლიში“ თავისი თამასა არასოდეს დაუშვია გარკვეულ დონეზე დაბლა.

ახლა გადავიდეთ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე. სხვათა შორის, ჩვენს მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ ეს ეჭვი გამოვთქვით მაშინვე, როცა **ანტონიო კონტე** მოვიდა „ნაპოლიში“. ახლა დროა, კარტები გავხსნათ და ვთქვათ, რას ვგულისხმობთ...

კონტე ძალიან თავისებური მწვრთნელია. მას სერია A-ში ყოველთვის ჰქონდა შედეგი და „ნაპოლისთან“ ერთადაც კარგად დაიწყო, თუ არ ჩავთვლით სტარზე „ვერონასთან“ განცდილ ფიასკოს. მაგრამ ახლა კითხვა ასე დავსვათ - არის კი ამ ფორმაციის „ნაპოლის“ თამაში თვალსასეირო და ისეთი, რომელიც საკმარისი იქნება რაიმე დიდის მისაღწევად იტალიის მიღმა?

ვფიქრობთ, ძალიან გაჭირდება. ჩემპიონთა ლიგაზე მაღალი მიზნების დასახვას რომ თავი დავანებოთ, გაჭირდება იტალიის ჩემპიონატშიც, რადგან „ნაპოლის“ აკლია ფანტაზია, შემოქმედება და ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალიზმი, რაც ჭარბად უნდა ჰქონდეს ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს.

კი ბატონო, კონტეს სისტემურობამ შეიძლება მოიგოს რიგი თამაშებისა, მაგრამ რამდენად ეყოფა ეს საჩემპიონო ტიტულის მოპოვებას? მით უმეტეს, იმ მოცემულობაში, როცა „ინტერი“ ნამდვილი მონსტრია, ფორმას აუცილებლად აკრეფს „მილანიც“, „იუვენტუსი“ კი გვარიანად სახიფათო ჩასნს.

კონტემ იცის, როგორ მოიგოს სერია A, ეს ჩვენ რომც უარვყოთ, ფაქტებს ვერსად გავექცევით, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ხშირად ვერ იყო მაღალი კონკურენცია იტალიურ საკლუბო ფეხბურთში, ახლა კი ეს კონკურენცია ნამდვილად არსებობს. თანაც, მისი ხარისხი ძალიან მაღალია.

აი, ჩემპიონთა ლიგას კი კონტე მაშინ ვერ იგებდა, როცა ის თავისი სამწვრთნელო ძლიერების ზენიტში გახლდათ, ახლა კი ორმაგად გაჭირდება. კონტეს სამწვრთნელო რაობას რომ თავი დავანებოთ, „ნაპოლის“ ნაღდად არ ჰყავს ისეთი შემადგენლობა, რომ ევროპაში პირველობაზე იფიქროს.

ჩვენთვის ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ანტონიო კონტე თავისებური მწვრთნელია იმ კუთხითაც, რომ მის ხელში ნებისმიერ გამოკვეთილ ინდივიდუალისტს გაუჭირდება მინდორზე თავისი საუკეთესო თვისების გამოვლენა. გაუჭირდება სისტემატურად, თორემ ხვიჩა კვარაცხელია ამ მოცემულობაშიც კი ახერხებს ხანდახან თავისი უზადო ტექნიკით ქომაგის დატკბობას.

ძალიან, ძალიან არ გვინდა არავის, რომ თუნდაც მწვრთნელის მიდგომების გამო ხვიჩას თამაშს ინდივიდუალიზმის ხიბლი მოაკლდეს. არ გვინდა იმიტომ, რომ კვარაცხელიას საფეხბურთო ხიბლი სწორედ ამაშია და გვინდა თუ არა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ფეხბურთი მაინც უბრალო თამაშია, სადაც ყველაზე მეტად ფასობს მეტოქის ლამაზად მოტყუება, ფინტი, ნატიფი პასი, ლამაზი გოლები...

სხვანაირად ფეხბურთი აღარ იქნება ფეხბურთი, ის იქნება ჭადრაკი, რომელსაც მართლა უდიდეს პატივს ვცემ, მჯერა, პატივს სცემს ჩვენი მკითხველიც, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სპორტის ეს ორი სახეობა ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება.

ვის ხელში იყო ხვიჩა კვარაცხელია ყველაზე კაშკაშა „ნაპოლიში“? რა თქმა უნდა, ყველა ერთზე ვთანხმდებით - **ლუჩანო სპალეტის** მწვრთნელობისას. კვარაცხელია ისეთ კლუბში უნდა თამაშობდეს, რომელსაც შეტევის, შემოქმედებითი ფეხბურთის მოყვარული მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ასეთი იყო სწორედ სპალეტი. მისთვის ფეხბურთი თამაშია, რომელმაც სიამოვნება უნდა მიანიჭოს ყველას - არამხოლოდ გულშემატკივარს, არამედ მწვრთნელებსაც და თავად ფეხბურთელებსაც.

...ამდენი ვწერე და მთავარ სათქმელამდე ძლივს მივედი. სხვისი არ ვიცი და მე კი მგონია, რომ ამ ზაფხულს ხვიჩამ „ნაპოლი“ უნდა დატოვოს. ეს იქნება დროული და, ასე განსაჯეთ, პრაგმატული ნაბიჯიც კი, რადგან დგება მომენტი, როცა შესაძლოა იმ ადგილსაც კი გაეცალო, რომელთანაც კარგი მოგონებები გაკავშირებს. უნდა გაეცალო იმიტომ, რომ ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა და ჯობია იქ წახვიდე, სადაც ყოფნა, როგორც ფეხბურთელს, მეტად შეგეფერება.

ახლა ის ვთქვათ, რომელი გუნდისთვის გვემეტება ხვიჩა? ცხადია, ევროპული ფეხბურთის რომელიმე გოლიათისთვის. გასაგებია, ამ გოლიათებს ჰყავთ მაგარი გარემარბები, მაგრამ, ვფიქრობთ, ხვიჩას ნებისმიერი მათგანისთვის შეუძლია კონკურენციის გაწევა.

ერთიცაა - ის აუცილებლად უნდა წავიდეს ისეთ გუნდში, რომელიც თამაშობს „პირველ ნომრად“, არის დომინანტი. ეს უხდება მის სათამაშო სტილს და ეს მას არასოდეს აქცევს ერთ ჩვეულებრივ ფეხბურთელად. უნდა წავიდეს ისეთ გუნდში, სადაც მასზე უფრო მეტი იქნება დამოკიდებული.

ასეთი გუნდები ნამდვილად არიან. გასაგებია, „რეალს“ და „ბარსელონას“ ფლანგებზე ყველაფერი წესრიგში აქვთ, მაგრამ არის „ლივერპული“ და არის „მანჩესტერ იუნაიტედის“ კონტურები - იმ „იუნაიტედის“, რომელიც აუცილებლად მაგრად შეიცვლება ახალგაზრდა პორტუგალიელი მწვრთნელის, **რუბენ ამორიმის** ხელში, არის „პარი სენ-ჟერმენი“ და ასე შემდეგ...

ზაფხულში რომ კვარაცხელიამ, შეიძლება, მართლა დატოვოს „ნაპოლი“, ამაზე კლუბის პრეზიდენტის, **აურელიო დე ლაურენტისის** ორაზროვანი კომენტარიც მოწმობს. მან თქვა, რომ კლუბი იმის კლუბია, უხერხული მომენტები უნდა გადალახოს, დანაკლისი უნდა შეავსოს...

ესეც არ იყოს, ჩვენი აზრით, თვით „ნაპოლისთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაც კი არ არის იმის გარანტია, რომ ზაფხულში „კვარა“ „ნაპოლიდან“ არ წავა.

იტალიური მედიის ცნობით, კონტრაქტზე ხელის მოწერას ორი რამ აფერხებს - კვარაცხელიას ბანაკს სურს, რომ ფეხბურთელის წლიური ხელფასი 8 მილიონი ევრო იყოს. ასევე შეუთანხმებელია ხვიჩას მომავალ კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა...

მოკლედ, წინ საინტერესო დღეები გველოდება. ვნახოთ, რა გადაწყდება თვის ბოლოსთვის...

**ალეკო კაკაურიძე**

ქართველები ევროტურნირებზე

# მიქაუტაძის საათი და მაგარი შანსი, საუკეთესო ოდიშარია და სილაგაძის მიერ გადარჩენილი ქულა...

დრამატულად წარიმართა ევროპალიგის მატჩი ზინსჰაიმში, სადაც **გიორგი მიქაუტაძის** „ლიონმა“ ბოლო წამებზე გაუშვა ხელიდან გამარჯვება ადგილობრივ „ჰოფენჰაიმთან“ მატჩში - 2:2.

არადა, თავად „ლიონიც“ მესამე დამატებულ წუთზე დაწინაურდა შეცვლაზე შესული **ალექსანდერ ლაკაზეტის** გოლით, მაგრამ სულ რაღაც 3 წუთი ვერ გაძლო...

რაც შეეხება ქართველ ფორვარდს, მან ზუსტად ერთი საათი დაჰყო მოედანზე. მატჩის პირველი საგოლე მომენტიც მას ჰქონდა, როცა **საიდ ბენრაჰმას** ფლანგური პასის შემდეგ თავით ურტყამდა კარში და ბურთი მეკარის ნადავლი აღმოჩნდა.

საქართველოს ნაკრების ფორვარდს ძალისხმევა არ დაუკლია, რომ გაეტანა ან პარტნიორებს დახმარებოდა, ბევრს მოძრაობდა, იხსნებოდა... მეორე ტაიმში ერთხელაც შეეძლო გატანა, მაგრამ მის დარტყმულს მცველი გადაეფარა და მომენტი განმუხტა. ჟორჟს ურიგო შეფასებები არ აქვს: Flashscore - 7,0; Sofascore - 7,0; Whoscored - 6,7.



გიორგი მიქაუტაძე უტევს ჰოფენჰაიმის კარს

ლატვიურმა რფს-მა შინ ბოლო წამზე გადაარჩინა ქულა სახელგანთქმულ „ანდერლეხტთან“, რაშიც უდიდესი როლი მიუძღვოდა **ლუკა სილაგაძეს** - სწორედ მისი დარტყმის შემდეგ ბელგიური კლუბის მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი - 1:1.

სილაგაძე 90-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, **ლაშა ოდიშარიამ** კი შეუცვლელად ითამაშა და საუკეთესოც იყო ლატვიელთა შორის. ეს შეფასებებშიც აისახა: Flashscore - 7,3; Sofascore - 7,5.

კონფერენსლიგაზე **დაშა დვალის** აპოელ-მა შინ 2:1 მოუგო „ფიორენტინას“. საქართველოს ნაკრების მცველმა 79-ე წუთიდან ითამაშა. შეფასება - 6,5.

ევროპალიგას 4-დან 4 მოგებით „ლაციო“ ლიდერობს. „ლიონს“ 7 ქულა აქვს და მე-9 ადგილზეა. მომდევნო ტურში (28 ნოემბერი) მიქაუტაძის გუნდი სტუმრად შეხვდება „ყარაბაღს“ (აზერბაიჯანი). რაც შეეხება ქართველების რფს-ს, V ტურში ლატვიის ჩემპიონი პაოკ-ს (საბერძნეთი) უმასპინძლებს.

კონფერესლიგაში კი 3 ტურის შემდეგ ექვსმა გუნდია უდანაკარგოდ. დვალის აპოელ-ი 4 ქულით მე-17 ადგილზეა. მომდევნო ტურში კვიპროსული გრანდი სტუმრად შეხვდება „მიოლდეს“ (ნორვეგია).

## ევროპალიგა

**IV ტური**

| | |
|---|---|
| აიაქსი-მაკაბი (თ-ა) | 5:0 |
| ალკმაარი-ფენერბაჰჩე | 3:1 |
| დინამო (კ)-ფერენცვაროში | 0:4 |
| ჰოფენჰაიმი-ლიონი | 2:2 |
| ლაციო-პორტუ | 2:1 |
| მან. იუნაიტედი-პაოკ | 2:0 |
| პლზენი-სოსიედადი | 2:1 |
| რფს-ანდერლეხტი | 1:1 |
| ბოდო/გლიმტი-ყარაბაღი | 1:2 |
| აინტრახტი-სლავია | 1:0 |
| ელფსბორგი-ბრაგა | 1:1 |
| სტიაუა-მიდტიულანდი | 2:0 |
| გალათასარაი-ტოტენჰემი | 3:2 |
| ლუდოგორეცი-ბილბაო | 1:2 |
| ნიცა-ტვენტე | 2:2 |
| ოლიმპიაკოსი-რეინჯერსი | 1:1 |
| სტ. ჟილუაზი-რომა | 1:1 |

## კონფერენსლიგა

**III ტური**

| | |
|---|---|
| აპოელ-ფიორენტინა | 2:1 |
| ბეტისი-ცელიე | 2:1 |
| ჩელსი-ნოა | 8:0 |
| იურგორდენი-პანათინაიკ. | 2:1 |
| კოპენჰაგენი-ბაშაქშეჰირი | 2:2 |
| ჰართსი-ჰაიდენჰაიმი | 0:2 |
| იაგელონია-მიოლდე | 3:0 |
| ლარნი-სტ. გალენი | 1:2 |
| ლასკ-სერკლ ბრიუგე | 0:0 |
| გიმარაეში-მლადა | 2:1 |
| გენტი-ომონია | 1:0 |
| ჰიკ-ოლიმპია | 0:2 |
| ლეგია-დინამო (მნ) | 4:0 |
| პაფოსი-ასტანა | 1:0 |
| პეტროკუბი-რაპიდი | 0:3 |
| შემროკი-ნიუ სეინთსი | 2:1 |
| ბაჩკა ტოპოლა-ლუგანო | 4:1 |
| ვიკინგური-ბორაცი | 2:0 |

lelo.ge

ლეგიონერი

## დავით ვოლკოვი

# ევროპაში გადასვლა მინდოდა იმიტომ, რომ ვიცოდი, ასე უფრო დავმკვიდრდებოდი ნაკრებში...



აზერბაიჯანული „ზირას" ქართველ თავდამსხმელს, დავით ვოლკოვს, „ლელოსთან" ინტერვიუში ბევრ საინტერესო თემაზე ვესაუბრეთ - ამჟამინდელ კლუბზე, საქართველოს ნაკრებზე, ჩაშლილ ტრანსფერზე, ერთა ლიგაში „ჯვაროსნების" შანსებზე, როგორ მოახერხა მისმა ახალმა თანაგუნდელმა გიორგი პაპუნაშვილმა ფორმის აღდგენა და ასე შემდეგ...

ის არ მალავს, რომ საქართველოს ნაკრებში გამოძახების შემდეგ ევროპაში გადასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ ტრანსფერის ჩაშლამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი იმედგაცრუება გამიწვია...

**- თქვენს სიახლეებს ყოველთვის ვეცნობით. წელს 12 მატჩში 4 გოლი გაიტანეთ, მანამდე კი 4 გოლი - ევროთასებზე. თქვენი აზრით, როგორი შედეგია?**

- სეზონი კარგად დაიწყო, რადგან ევროპისა და კონფერენსლიგებზე 4 გავუტანე „შერიფს", „დუნაისკა სტრედას" და „ოსიეკს". მერე აზერბაიჯანის ჩემპიონატი დაიწყო და პირველივე ტურში ჰეთ-თრიკი შევასრულე.

**- თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ახლა გუნდი მეოთხე ადგილზეა...**

- თავიდან ყველაფერი ნორმალურად იყო. მაგრამ მერე „ზირა" ისე კარგად ველარ წავიდა, როგორი იმედი გვქონდა, მოსაგებ თამაშებში ქულები დავკარგეთ და ამან დაგვხია უკან. მაგრამ „ზირას" კარგი შემადგენლობა ყავს და იმედი მაქვს, მდგომარეობას გამოვასწორებთ.

**- მერაბ გიგაურის წამოსვლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ქართველთან ერთად თამაშობ - „ზირაში" გიორგი პაპუნაშვილი მოვიდა, რომელიც ბოლო თამაშებში საკმაოდ კარგად გამოიყურება, გოლებიც გაიტანა...**

- მიხარია, რომ გიორგიმ ტრავმების შემდეგ ფორმა აღიდგინა და ძველებურად ათამაშდა. ახლა კარგად არის, 2 თამაშში 2 გოლი გაიტანა და ძველი პაპუნაშვილი გამოჩნდა.

**- გასული სეზონში ბაქოს „საბაჰში" თამაშობდით, რომლის მესამე ადგილში თქვენი წვლილიც იყო. მაგრამ ზაფხულში გუნდი დატოვა და ვიცეჩემპიონ „ზირას" ორწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდი. რა გახდა ამის მიზეზი?**

- „საბაჰიდან" წამოსვლას თავისი მიზეზები ჰქონდა. ახალ გუნდში გადასვლა ჯერ კიდევ ზამთარში მინდოდა. „ზირაში" რომ მიმიწვიეს, დავთანხმდი, რადგან კარგად მიცნობენ. ეს ყველაფერი საქართველოს ნაკრებს უკავშირდებოდა.

მაშინ ჩვენს გუნდს ევრო 2024-ის პლეი-ოფის თამაშებს ელოდა და ვილი სანიოლს რომ გამოვეძახე, „საბაჰში" თამაში მჭირდებოდა. სამწუხაროდ, სტაბილური პრაქტიკა არ მქონდა და გუნდში ვთქვი - თუ არ გჭირდებით, გამიშვით-მეთქი. ვფიქრობდი, ნაკრებში ევროპის ჩემპიონატზე წასვლის მეტი შანსი მექნებოდა. მერე გამოჩნდა ვარიანტები და ზაფხულში „ზირაში" გადავედი.

**- მტკივნეულ თემას თავად შეეხეთ. საქართველოს ნაკრებში, სადაც ვილი სანიოლი თავიდან გიძახებდათ, გოლიც გაიტანეთ და შვედეთის ნაკრებთან ცნობილი ნახტომის გამო „ეარ ჯორჯიაც" შეგარქვეს, ბოლო დროს პოზიცია დაკარგეთ...**

- სანიოლმა თავიდან რომ მიმიწვია შვედებთან მატჩზე, მაშინ შედეგიანად ვთამაშობდი და აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბომბარდირი ვიყავი. მერე იყო გოლი უზბეკეთთან და უფრო მეტი სურვილი გამიჩნდა ნაკრებში დამკვიდრების, მომატების... სამწუხაროდ, საქმე ისე ვერ წავიდა, მე რომ მსურდა...

**- კონკრეტულად...**

- ევროპაში მსურდა წასვლა, შანსიც იყო, მაგრამ... ვერ წავედი... მერე ამას იმედგაცრუება მოჰყვა.

**- პოლონეთში რომ მიდიოდით იმას გულისხმობთ?**

- პოლონეთშიც იყო ვარიანტი და სხვაგანაც, მე კი ევროპაში გადასვლა ძალიან მინდოდა, რადგან ვიცოდი, ასე ნაკრებში დამკვიდრებას უფრო ადვილად შევძლებდი. ამ ევროპულ კლუბებსაც მაგრად უნდოდათ ჩემი დამატება, მაგრამ ეს ვარიანტები რომ არ გამოვიდა, ამან გამოიწვია ჩემი იმედგაცრუება...

**- ერთა ლიგაზე დარჩენილ თამაშებში როგორია თქვენი პროგნოზი?**

- პროგნოზის რა გითხრათ... უბრალოდ, ვიტყვი, რა არის ჩემი სურვილი - მაგრად მინდა მოიგონ უკრაინასთანაც და ჩეხებთანაც. მაგარი გუნდი და ფეხბურთელები გვყავს და ეს კიდევ ერთხელ უნდა დავამტკიცოთ. ფეხბურთში ასეა - რაც არ უნდა კარგად გააკეთო დღეს, მერე კიდევ უნდა დაამტკიცო...

**- საქართველოს ჩემპიონატს თვალს ადევნებთ. თქვენი წამოსვლის შემდეგ დონე როგორ შეიცვალა?**

- დიდი ხანია საქართველოში არ მითამაშია, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ დაბალი დონეა. საერთოდ, ძალიან სპეციფიკური ჩემპიონატი გვაქვს. შეიძლება კარგი ფეხბურთელი ჩამოიყვანო და ვერ ითამაშოს. ვერ იტყვი, რომ დონე არ არის...

(იცინის) პრესინგზე რომ გარბიხარ, არ იცი, რას იზამენ, ცენტრალური მცველები „პოდსებიებს" აკეთებენ, რასაც ჩეულებრივ ფეხბურთში არავინ რისკავს. მცველები თამაშობენ შეტევაში და „მაკრატელებს" ურტყამენ. მაგარი სახალისო და საინტერესო ჩემპიონატი გვაქვს და ბევრი ტალანტიც თამაშობს.

**- აბა რა გვჭირს?**

- (იცინის) რაღაც გვჭირს და ვერ ვიგებთ! არადა, ამდენი ვარსკვლავი გვყავს. UFC-ში 8-დან 2 ჩემპიონი ქართველია, ტალახაძე, ბექაური და პეტრიაშვილი გვყავს, ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, კვარაცხელიასა და ჩაკვეტაძეზე აღარაფერს ვაბობს.

**- ჩაკვეტაძესთან „დინამოში" ხომ გითამაშიათ?**

- დიახ, 15 წლის იყო, მთავარ „დინამოში" ერთად რომ გადავედით. გეგუჩაძე გაგიჟდა, ეს ვინ მოვიდაო... მერე ტრავმამ ძალიან უკან დახია, მაგრამ ყველაფერ ცუდში კარგიც შეიძლება დაინახო - მენტალურად ისე გაძლიერდა, თუ გინდა ტანკი დაატაკე, ყველაფერს გადალახავს.

გიორგიმ ისეთი სირთულე გადალახა, ახლა ველარაფერი შეაშინებს და მისი წინსვლა განსაკუთრებით ამიტომ მახარებს. „უოტფორდში" მისი მწვრთნელი ტომ ქლევერლი „მანჩესტერში" ფერგიუსონთაა ნამუშევარი და კაცი ამბობს, მსგავსი ტექნიკის მოთამაშე არ მინახავსო. ასეთ კაცს ტექნიკით რომ გააოცებ, წარმოიდგინე, რა დონის მოთამაშეა!

**სერგო პორძაია**

მედიატურნირი კოტეს თასი 2024

# ყველაფერი პენალტების სერიამ გადაწყვიტა...




ბათუმში დასრულდა ლეგენდარული ქართველი სპორტული კომენტატორის, **კოტე მახარაძის** სახელობის მედიატურნირი („კოტეს თასი") მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 8 ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ნაკრები.

ვიდრე წლევანდელ, მეტად საინტერესო ტურნირის პერიპეტიებზე მოგითხრობთ, მანამდე მცირე ექსკურსიც გვინდა შემოგთავაზოთ. ამ ტურნირის დაარსების იდეა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ **მიხეილ აბაიშვილსა** და უეფა-ს მედიაოფიცერ **მამუკა კვარაცხელიას** ეკუთვნით და სწორედ მათი დამსახურებაა, უკვე მეხუთე საერთაშორისო ტურნირი რომ ჩატარდა სპორტულ ჟურნალისტებს შორის.

წინა ოთხივე ტურნირს თბილისმა უმასპინძლა და ბარემ, გამარჯვებულებსაც შეგახსენებთ: 2019 - უკრაინა; 2020 - კორონავირუსის პანდემიის გამო არ ჩატარებულა; 2021 - მოლდოვა; 2022 - ყაზახეთი; 2023 - საქართველო.

ამ 5 წლის განმავლობაში ტურნირი უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა; ისე როგორც იზრდებოდა მონაწილეთა გეოგრაფიაც და გამონაკლისი არც წლევანდელი ტურნირი იყო, სადაც პირველად მიიღეს მონაწილეობა გერმანელმა და უნგრელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა. სამწუხაროდ, ყველასთვის გასაგები მიზეზის გამო, უკვე მესამე წელიწადია, საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებს ჩვენი უკრაინელი კოლეგების გუნდი...

წლევანდელი ტურნირის ორგანიზატორი, ტრადიციულად, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია იყო. აქვე, ტურნირის მხარდამჭერებიც უნდა ვახსენოთ: საქართველოს სპორტისა და კულტურის სამინისტრო, აჭარის სპორტის დეპარტამენტი და საქართველოს „სპორტული ტურიზმის ალიანსი".

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ მასპინძელთა გამორჩეული გვერდში დგომა და ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ აჭარის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს **ნათია კობალაძესა** და აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ირაკლი თოთლაძეს.**

...წლევანდელი ტურნირის მონაწილე 8 გუნდი (საქართველო, გერმანია, უნგრეთი, რუმინეთი, ლიეტუვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ორ ჯგუფში გადანაწილდა და მეტად დაძაბული ჯგუფური ეტაპის შემდეგ, ნახევარფინალების დროც დადგა. სხვათა შორის, ამ ხუთწლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად სწორედ წლეულს მოხდა, რომ ჯგუფური ეტაპის არც ერთ მატჩში არ დაფიქსირებულა დიდი ანგარიშით მოგება...

...პირველ ნახევარფინალში, ტურნირის ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა მოლდოვამ 2:0 სძლია სომხეთს, აი, მეორე ნახევარფინალში კი, საქართველოს ნაკრებმა, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი, როცა 3 უპასუხო გოლი გაუტანა აზერბაიჯანის ნაკრებს.

ისევე, როგორც შარშან, III ადგილისთვის სომხეთსა და აზერბაიჯანს უნდა ეთამაშათ, თუმცა, შარშანდელის მსგავსად, ეს მატჩი არც წლეულს ჩატარებულა და ტურნირის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ორივე გუნდი გამოცხადდა ბრინჯაოს პრიზიორად...

...საქართველოს ნაკრები ზედიზედ მესამედ ასპარეზობდა ფინალში, მოლდოვა კი - მეორედ; მოკლედ, ტურნირის ფავორიტად მიჩნეული გუნდები მართლაც დამსახურებულად გავიდნენ ფინალში, რომელიც უაღრესად დაძაბულად წარიმართა და საბოლოოდ, მოლდოველთა გამარჯვებით (პენალტებით - 5:4) დასრულდა.

არადა, ჩვენმა მეკარემ **გეგი კიკაბიძემ** ერთი პენალტი მოიგერია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტრავმის გამო, ფინალში, ფაქტობრივად, არც უთამაშია ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ **დავით ფრანგიშვილს** („რუსთავი 2"). სხვათა შორის, ჩვენი გუნდი 2022 წელსაც პენალტების სერიაში დამარცხდა ფინალში...

...მთელ ტურნირს თან სდევდა ემოციები, თუმცა ეროვნული კატეგორიის არბიტრებმა, **კახა ვასაძემ** და **გოჩა კუპრინმა** თავიანთ მოვალეობას მშვენივრად გაართვეს თავი. ტურნირის მსვლელობას კი (თავიდან ბოლომდე) 2 ძალიან ცნობადი და კვალიფიციური დამკვირვებელ-შემფასებელი ჰყავდა: ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **რევაზ ჩელებაძე** და პოპულარული სპორტული კომენტატორი **გიგა გვენცაძე!**

ტურნირის დასრულების შემდეგ, გაიმართა ლაურეატების დაჯილდოებაც; საუკეთესო მეკარე - **ტაუტენას ვენცეავიჩუსი** (ლიეტუვა), საუკეთესო მცველი - **ნიკა კბილაძე** (საქართველო), საუკეთესო ნახევარმცველი - **პეტერ ჩილაგი** (უნგრეთი), ფეარ პლეის პრიზი - **რუმინეთის ნაკრები**; საუკეთესო თავდამსხმელი - **მასიმ ზადე** (აზერბაიჯანი); საუკეთესო გოლი - **ჰოვანეს მამრიანი** (სომხეთი); საუკეთესო ბომბარდირი - **გიორგი თოთლაძე** (საქართველო); საუკეთესო ფეხბურთელი - **არტიომ შულეაკი** (მოლდოვა).

ლაურეატები დააჯილდოვეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **მიხეილ აბაიშვილმა,** უეფა-ს მედიაოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამ,** აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ირაკლი თოთლაძემ,** საქართველოს „სპორტის ტურიზმის ალიანსის" ხელმძღვანელმა **ზურაბ ბოქოლიშვილმა,** პოპულარულმა სპორტულმა კომენტატორმა **გიგა გვენცაძემ** და სასტუმრო BEST WESTERN PREMIER-ის (სადაც ტურნირის ყველა მონაწილე ცხოვრობდა) მენეჯერმა **თამარ მაზიაშვილმა.**

***P.S. ფინალის მსგავსად, პენალტების სერია გახდა საჭირო V და VII ადგილების გამოსავლენ მატჩებშიც. ჰოდა, აი ამ სამ სერიაში ერთი ისეთი შესრულებული პენალტი ვნახეთ, სულ მცირე, „რაღაც" პრიზს ალალად რომ იმსახურებდა! ფინალზე მოგახსენებთ, სადაც მიხეილ აბაიშვილის მიერ დიდოსტატურად შესრულებულმა პენალტმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია!..***

**გია ტუხაშვილი**

ქართული ლეგიონის უქმეები

# ზივზივაძე და შენგელია ნაკრებში გოლებით მოდიან

**იწყება** სანაკრებო კვირა და, ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არიან ეროვნული ნაკრების წევრები. ვერ ვიტყვით, რომ გასაოცარი უქმეები იყო, მაგრამ განსაკუთრებით სასიხარულოა ბუდუ ზივზივაძისა და ლევან შენგელიას გოლები, ზურიკო დავითაშვილი კი საფრანგეთში ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს...

### პარასკევი

**აზერბაიჯანი. პრემიერ ლიგა.** ნეფთჩი - შამახი (**გიორგი ქანთარია**) 2:2. ქანთარია 70-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე ყვითელი ბარათი უჩვენეს.

**უკრაინა. პრემიერ ლიგა.** ჩერნომორეცი (**ლუკა ლაცაბიძე**) - ვორსკლა 0:1. ლაცაბიძემ სრული მეორე ტაიმი ითამაშა.

**საბერძნეთი. სუპერ ლიგა 2.** ირაკლისი - მაკედონიკოსი (**ნიკა სიხარულაშვილი**) 3:0. სიხარულაშვილმა 70-ე წუთიდან ითამაშა.

**სლოვაკეთი. II ლიგა.** ზლატე მორავცე (**ლევან ნონიკაშვილი**) - ლუბოვინა გადაიდო.

**ლიეტუვა. I ლიგა.** ბაბრუნგასი - ატმოსფერა (**ბექა ფილფანი**) 0:0. ფილფანმა 78-ე წუთიდან ითამაშა. მისმა გუნდმა ჩემპიონატი მე-7 ადგილზე დაასრულა.

ნეპტუნასი (**ოთარ კობახიძე**) - ბანგა II 5:2. ბოლო ტურის მატჩში კობახიძემ 65-ე წუთიდან ითამაშა. „ნეპტუნასი" მე-4 ადგილს დასჯერდა.

**ავსტრია. II ლიგა.** შტრიპფინგი - კაპფენბერგი (**ლევან ელოშვილი**) 1:1. ქართველი შემტევი განაცხადში არ ყოფილა.

**კვიპროსი. II დივიზიონი.** დიგენისი - სპარტაკოსი (**ირაკლი მაისურაძე, ნიკა კაჭარავა**) 1:0. მაისურაძე სათადარიგო იყო, კაჭარავა განაცხადში არ ყოფილა.

**უნგრეთი. OTP ბანკ ლიგა.** ნირედიჰაზა (**ნიკა კვეკვესკირი**) - მტკ (**ილია ბერიაშვილი**) 2:0. კვეკვესკირმა (6,8) 83-ე წუთამდე ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო, ბერიაშვილი (6,5) თავიდან ბოლომდე მოედანზე იყო.

**ნიდერლანდები. I დივიზიონი.** დენ ჰააგი - ვიტესი (**ირაკლი ეგოიანი**) 2:0. ეგოიანმა (7,1) შეუცვლელად ითამაშა.

**იტალია. სერია B.** ფროზინონე (**გიორგი კვერნაძე**) - პალერმო 1:1. კვერნაძე (6,4) 81-ე წუთზე შეცვალეს.

**იტალია. სერია A.** ლეჩე - ემპოლი (**საბა გოგლიჩიძე, საბა საზონოვი**) 1:1. გოგლიჩიძე დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა და დამაჯერებლად, საიმედოდ ითამაშა. ამაზე მეტყველებს შეფასებებიც: Flashscore - 7,7; Sofascore - 7,2; Whoscored - 7,2.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების მცველმა 61-ე წუთზე ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს კუნთის პრობლემასთან.

**ინგლისი. ჩემპიონშიფი.** უოტფორდი (**გიორგი ჩაკვეტაძე**) - ოქსფორდი 1:0. ჩაკვეტაძემ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და საუკეთესოდაც დასახელდა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში ის, უბრალოდ, შეუჩერებელი იყო. ჯერ მარტო პირდაპირ კუთხურიდან თავად შეეძლო ორჯერ გატანა - ერთ მომენტში მეკარემ იყოჩაღა, მერე კი შორეულ ძელთან მდგომმა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

მისი ზუსტი გადაცემების შედეგად პარტნიორებს 3-სამჯერ შეეძლოთ გატანა, ერთხელაც მისი დარტყმის შემდეგ მეკარემ ბურთი ძლივს მოიგერია კუთხურზე.

სხვათა შორის, ვიდეორეფერი რომ ყოფილიყო, ჩაკვეტაძე პენალტსაც გამოიმუშავებდა - მისი შესანიშნავი გადაცემის შემდეგ სტუმარმა მცველმა საჯარიმოში აშკარად ხელით ითამაშა, მაგრამ არბიტრმა ვერ შენიშნა.

ერთი სიტყვით, „ჩაკვე" ნაკრებში შესანიშნავ ფორმაში მყოფი მოდის, რაც ძალიან გვახარებს. შეფასებები: Flashscore - 7,7; Sofascore - 7,3; Whoscored - 7,2. საინტერესოა სხვა მონაცემებიც: შექმნილი შანსი - 3 (ყველაზე მეტი); ჩაწოდება - 9 (ყველაზე მეტი); დრიბლინგი - 9 (ყველაზე მეტი); ზუსტი პასი მეტოქის ნახევრის მესამედში - 13 (ყველაზე მეტი); მიზანში დარტყმა - 2 (საუკეთესო მეორე); ბურთთან შეხება - 59; პასების სიზუსტე - 83%.

### შაბათი

**სამხ. კორეა. K ლიგა 2.** ანიანგი - გიონგნამი (**ბაჩანა არაბული**) 2:2. არაბული ბოლო ტურის სამატჩო განაცხადში არ ყოფილა.

**ესტონეთი. პრემიუმ ლიგა.** ნარვა (**შალვა ბურჯანაძე, ვაჟა ნემსაძე, ზაქარია ბეგლარიშვილი, სერგო კუხიანიძე**) - კურესაარე 0:2. ბოლო ტურის მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს კუხიანიძემ (გაფრთხილება) და ბეგლარიშვილმა. ბურჯანაძე და ნემსაძე განაცხადში არ ყოფილან. კუხიანიძე 11 გოლით ბომბარდირთა ათეულში მოვხდა. „ნარვა" მე-6 ადგილზე გავიდა.

**ლატვია. ვირსლიგა.** ლიეპაია (მწვ. **თამაზ პერტია, ნიკოლოზ ჩიქოვანი, ანდრია ხორხელი**) - დაუგავპილსი 3:3. ჩიქოვანი სათადარიგო იყო, ხორხელი განაცხადში არ ყოფილა. ქართველი სპეციალისტის გუნდმა ჩემპიონატი მე-6 ადგილზე (უმაღლეს ლიგაში 10 კლუბია) დაასრულა, რაც წარმატებაა იქიდან გამომდინარე, რომ დიდხანს აუტსაიდერთა შორის იყო და გავარდნა ემუქრებოდა.

**უკრაინა. პრემიერ ლიგა.** ჩერკასი (**შოთა ნონიკაშვილი**) - ობოლონი 0:1. ნონიკაშვილმა შეუცვლელად ითამაშა.

**უზბეკეთი. სუპერ ლიგა.** ნავბახორი (**თომა ტაბატაძე, გიორგი ნიქაბაძე**) - ფახთაქორი 5:2. ტაბატაძემ 63-ე წუთამდე ითამაშა და 2 საგოლე პასი შეასრულა. ის შეცვალა ნიქაბაძემ, რომელმაც კომპენსირებულ დროში ანგარიში 4:2 გახადა. ტაბატაძისთვის ეს პირველი საგოლე პასები (პლუს 9 გოლი ჩემპიონატში) იყო მიმდინარე სუპერ ლიგაში, ხოლო ნიქაბაძისთვის - მეორე შედეგიანი დარტყმა (პლუს ერთი საგოლე პასი). ფინიშამდე ორი ტურით ადრე „ნავბახორი" აზიის ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შანსს ინარჩუნებს.

**ჩრ. მაკედონია. I ლიგა.** შტრუგა - რაბოტნიჩკი (**ლუკა რობაქიძე**) 1:0. რობაქიძემ 37-ე წუთიდან ითამაშა.

**უზბეკეთი. პროფლიგა.** ნასაფი (**ჯაბა ჯიღაური**) - სოგდიანა 0:1. ახალი ჩემპიონის რანგში „ნასაფმა" პირველი მარცხი იწვნია. ქართველმა შემტევმა 86-ე წუთიდან ითამაშა.

**ირანი. პრო ლიგა.** გოლ გოჰარი - პერსეპოლისი (**გიორგი გველესიანი**) 0:1. გველესიანმა შეუცვლელად ითამაშა.

**მოლდოვა. სუპერ ლიგა.** შერიფი (**ვლადიმერ მამუჩაშვილი**) - ფლორეშტი 8:0. მამუჩაშვილმა 57-ე წუთამდე ითამაშა.

**ჩეხეთი. II ლიგა.** ტაბორსკო - ზლინი (**ზვიად ნაჭყებია**) 0:0. ნაჭყებია 70-ე წუთზე შეცვალეს.

**პოლონეთი. I ლიგა.** ტიხი - არკა (**თორნიკე გაფრინდაშვილი**) 1:1. გაფრინდაშვილმა 71-ე წუთამდე ითამაშა, მანამდე გაფრთხილება მიიღო.

**რუსეთი. პრემიერ ლიგა.** დინამო მახაჩყალა (**ჯემალ ტაბიძე**) - ორენბურგი 2:1. ტაბიძე ტრავმირებულია.

**პოლონეთი. ექსტრაკლასა.** კრაკოვია (**ოთარ კაკაბაძე**) - გკს კატოვიცე 3:4. კაკაბაძემ გუნდის კაპიტნის რანგში შეუცვლელად ითამაშა, ოღონდ, მისთვის უჩვეულო მარცხენა ფლანგზე. შეფასება - 6,4.

**ლიეტუვა. A ლიგა.** ბანგა - ჰეგელმანი (**ლევან მაჭარაშვილი**) 1:1. მაჭარაშვილი განაცხადში არ ყოფილა.

**სლოვაკეთი. ნიკე ლიგა.** მიხალოვცე (**თორნიკე ძოწენიძე**) - ჟილინა 1:1. ძოწენიძემ (7,8) შეუცვლელად ითამაშა.

სლოვანი (**გურამ კაშია**) - სკალიცა 3:1. კაშიამ (6,5) 70-ე წუთიდან ითამაშა.

**ბოსნია. პრემიერ ლიგა.** სარაევო (**გიორგი გულიაშვილი**) - სლოგა 2:0. გულიაშვილმა 83-ე წუთამდე ითამაშა და პირველ ტაიმში, 1:0-ზე, ვერ გაიტანა პენალტი.

**ჩეხეთი. შანს ლიგა.** პარდუბიცე - იაბლონეცი (**ვახტანგ ჭანტურიშვილი**) 2:0. ჭანტურიშვილმა (6,1) 83-ე წუთამდე ითამაშა.

**პორტუგალია. ლიგა პორტუგალი.** ეშტორილი - ავს (**გიორგი აბურჯანია**) 0:0. აბურჯანია განაცხადში არ ყოფილა.

**ავსტრია. ბუნდესლიგა.** ჰარტბერგი - შტურმი (**ოთარ კიტეიშვილი**) 1:2. „შტურმის" ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა. შეფასება - 6,8.

ვოლფსბერგი (**სანდრო ალთუნაშვილი**) - აუსტრია 0:1. ალთუნაშვილი (6,5) 79-ე წუთზე შეცვალეს.

**უკრაინა. პრემიერ ლიგა.** კოლოსი (**ნიკა გაგნიძე**) - კრივბასი 1:1. გაგნიძე განაცხადში არ ყოფილა.

**იტალია. სერია B.** მანტოვა - კრემონეზე (**ლუკა ლოჩოშვილი**) 1:1. ლოჩოშვილმა სულ ცოტა ხნის წინ მოიხადა 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და დაბრუნდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ... „მანტოვასთან" მატჩის ბოლოს, 3-წუთიანი ინტერვალით, ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა.

**რუმინეთი. ლიგა 1.** უნივერსიტატეა (**ანზორ მექვაბიშვილი**) - ჰერმანშტადტი 3:1. ორთვიანი ტრავმის შემდეგ მექვაბიშვილმა პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და თანაც - შეუცვლელად. შეფასებაც საკმაოდ მაღალია - 7,1.

**ხორვატია. HNL 1.** ჰაიდუკი - ისტრა (**გიორგი გაგუა**) 1:1. გაგუა სათადარიგო იყო.

**რუსეთი. პრემიერლიგა.** დინამო მოსკოვი (**ლუკა გაგნიძე**) - პარი ნნ (**კონსტანტინე მარადიშვილი, ნიკოლოზ ქუთათელაძე**) 3:1. გამარჯვებულთა შორის გაგნიძე სათადარიგო იყო, ხოლო სტუმართა რიგებში მარადიშვილი ტრავმირებულია, ქუთათელაძე კი გადაყვანილია დუბლშემადგენლობაში. მიზეზად სახელდება საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის კონფლიქტი სპორტულ დირექტორთან, რასაც უარყოფს კლუბის პრეზიდენტი. მისი თქმით, ქუთათელაძე მეორე გუნდში სპორტული მიზეზებით არის გადაყვანილი.

**საბერძნეთი. სუპერ ლიგა.** პანსერაიკოსი (**ლუკა გუგეშაშვილი**) - ატრომიტოსი 2:3. ეს არ იყო იღბლიანი დღე საქართველოს ნაკრების მეკარისთვის, რომელმაც სამივე გოლი პირველ 25 წუთში გაუშვა. თუმცა პასუხისმგებლობის დიდი წილი მცველებზეც მოდის. შეფასება - 5,4.

**კვიპროსი. საიპრას ლიგა.** კარმიოტისა (**მათე კვირკვია**) - ნეა სალამინა 2:2. კვირკვიამ 90-ე წუთიდან ითამაშა.

**შვეიცარია. სუპერლიგა.** ივერდონი - ბაზელი (**გაბრიელ სიგუა**) 1:4. სიგუამ პირველად ითამაშა ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ. ის 79-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და ყვითელი ბარათი მიიღო. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ფორმაში არ არის, თუმცა გამოძახებულია ახალგაზრდულ ნაკრებში. შეფასება - 6,0.

**უნგრეთი. OTP ბანკ ლიგა.** უიპეშტი (**დავით კობოური**) - პაკში 0:0. კობოური (7,1) 65-ე წუთზე შეცვალეს.

**კვიპროსი. საიპრას ლიგა.** არისი (**გიორგი ქვილითაია**) - ანორთოსისი 3:0. ქვილითაია ტრავმირებულია.

**ესპანეთი. ლა ლიგა.** ესპანიოლი - ვალენსია (**გიორგი მამარდაშვილი**) გადაიდო.

**ესპანეთი. ლა ლიგა 2.** გრანადა (**გიორგი წიტაიშვილი**) - ელდენსე 3:2. წიტაიშვილი (6,9) 76-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე - გააფრთხილეს.

### კვირა

**აშშ. MLS. პლეი-ოფი. III მატჩი.** ინტერ მაიამი - ატლანტა (**საბა ლობჟანიძე**) 2:3. ლობჟანიძის „ატლანტამ" სტუმრად სენსაციურად დაამარცხა მესის (თავით გაიტანა), სუარესის, ალბასა და ბუსკეტსის გუნდი (რომელმაც დამაჯერებლად მოიგო რეგულარული ჩემპიონატი აღმოსავლეთ კონფერენციაში) და მერვედფინალურ სერიაში ორი გამარჯვებით გავიდა მეოთხედფინალში, სადაც 24 ნოემბერს პირველ მატჩს შინ გამართავს „ორლანდოსთან".


ირაკლი აზაროვი ზორიასთან მატჩში

მატჩის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრების მარჯვენაფლანგელს ხშირად უწევდა უკანახაზელთა დახმარება. რა თქმა უნდა, მონაწილეობდა შეტევებშიც. ითამაშა შეუცვლელად. შეფასება - 7,0.

**კორეა. K ლიგა 1.** სეული - ულსანი (**გიორგი არაბიძე**) 1:1. ჩემპიონის შემადგენლობაში არაბიძე სათადარიგო იყო.

ჯეჯუ - გვანგჯუ (**ბექა მიქელთაძე**) 0:0. მიქელთაძემ 79-ე წუთიდან ითამაშა.

**ყაზახეთი. პრემიერ ლიგა.** ჟენისი (**ზურაბ თევზაძე, გიორგი ფანცულაია**) - ყიზილ ჟარი (**ლუკა იმნაძე**) 0:1. სამივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. მასპინძელთა შორის თევზაძე ბოლომდე მოედანზე დარჩა, ფანცულაია 74-ე წუთზე შეცვალეს. ხოლო სტუმართა შორის იმნაძემ მეოთხე დამატებულ წუთამდე ითამაშა. ორივე გუნდი მომავალ სეზონშიც პრემიერ ლიგაში ითამაშებს.

ატირაუ - ქაირათი (**ლუკა გადრანი, გიორგი ზარია**) 0:1. ბოლო ტურის მატჩში გამარჯვების გოლი (მეექვსე - ჩემპიონატში) ზარიამ გაიტანა 11-მეტრიანი დაარტყმით და ეს გოლი ჩემპიონობის მომტანი აღმოჩნდა „ქაირათისთვის", რომელმაც ერთი ქულით აჯობა „ასტანას". ქართველი ნახევარმცველი მე-80 წუთზე შეცვალეს. გადრანი განაცხადში არ ყოფილა.

ასტანა - ჟეტისუ (**გია ჩადუნელი, თემურ ჩოგაძე**) 5:0. ჩოგაძე სათადარიგო იყო, ჩადუნელი განაცხადში არ ყოფილა. „ჟეტისუმ" შეინარჩუნა ადგილი პრემიერ ლიგაში.

ქაისარი (**გიორგი ქობულაძე**) - ტობოლი (**თორნიკე მოსიაშვილი**) 2:0. ქობულაძე სათადარიგო იყო, მოსიაშვილი მე-80 წუთზე შეცვალეს. „ქაისარმა" მე-8 ადგილი დაიკავა, „ტობოლმა" - მეხუთე.

**ლატვია. ვირსლიგა.** რფს (**ლაშა ოდიშარია, ლუკა სილაგაძე**) - რიგა 1:2. უკვე ჩემპიონის რანგში რფს-მ დედაქალაქური დერბი წააგო, არადა, სილაგაძის გოლით წინ იყო 36-ე წუთიდან - „რუსთავისა" და „იბერიას" ყოფილმა შემტევმა შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით დააწინაურა თავისიანები და ჩემპიონატი 4 გოლით (პლუს ერთი საგოლე პასი) დაასრულა. შეცვალეს 72-ე წუთზე. შეფასება - 6,9. ოდიშარია სათადარიგო იყო.

**უკრაინა. პრემიერ ლიგა.** ვერესი (**გიორგი კუცია**) - რუხი 2:0. კუცია განაცხადში არ ყოფილა.

**ესპანეთი. სეგუნდა RFEF. IV ჯგუფი.** ლინარესი (**ლადო მოხევიშვილი**) - ტორემოლინოსი 0:2. მოხევიშვილმა შეუცვლელად ითამაშა.

**ესპანეთი. სეგუნდა RFEF. V ჯგუფი.** ილესკასი - მელილა (**ბექა ქავთარაძე**) 1:3. ქავთარაძეს არ უთამაშია.

**აზერბაიჯანი. პრემიერ ლიგა.** არაზი - სუმგაითი (**გიორგი ხარაიშვილი**) 1:0. ხარაიშვილი 63-ე წუთზე შეცვალეს.

**ბოსნია. პრემიერ ლიგა.** ჟელეზნიჩარი - ველეჟი (**ზურაბ მუსელიანი**) 2:1. მუსელიანი ტრავმირებულია.

**უზბეკეთი. პროფლიგა.** ანდიჟანი - ყიზილყუმი (**აკაკი შულაია, გიორგი კუხიანიძე, ელგუჯა ლობჯანიძე**) 0:0. ქართველების გუნდი სუპერ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ძირითად შემადგენლობაში იყო მხოლოდ შულაია, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა. კუხიანიძე და ლობჯანიძე განაცხადში არ ყოფილან.

**გერმანია. II ბუნდესლიგა.** კარლსრუე (**ბუდუ ზივზივაძე**) - პროისენ მიუნსტერი 1:1. ბუდუმ 37-ე წუთზე გახსნა ანგარიში და დააწინაურა „კარლსრუე" - მახვილი კუთხიდან ცაციათი გაუტანა მეტოქეს და მეორე ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში მონაგარი 8-მდე გაზარდა, სეზონში კი, თასის გათამაშების ჩათვლით, 10-მდე დაამრგვალა.

ასე რომ, ბუდუ ნაკრებში გოლით მოდის - ისევე, როგორც წინა შეკრებაზე. შეცვალეს 76-ე წუთზე. „კარლსრუემ" კი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, კომპენსირებულ დროში გაშვებული გოლით ქულები დაკარგა და ახლა მე-4 ადგილზეა. ზივზივაძის შეფასებები: Flashscore - 7,3; Sofascore - 7,1; Whoscored - 7,2.

**თურქეთი. I ლიგა.** მანისა - ერზურუმსფორი (**გურამ გიორბელიძე**) 2:0. გიორბელიძე (6,5) 79-ე წუთზე შეცვალეს.

**უკრაინა. პრემიერ ლიგა.** შახტარი (**ირაკლი აზაროვი**) - აზაროვმა 32-ე წუთზე ექიმების დახმარებით დატოვა მოედანი. კონკრეტული მიზეზი ჯერჯერობით უცნობია..

**საბერძნეთი. სუპერ ლიგა.** ოფი (**ლევან შენგელია**) - კალითეა 2:2. შენგელიამ შესანიშნავი შესრულებით გაიტანა გოლი 32-ე წუთზე - შეტევის მარჯვენა ფლანგიდან ცენტრისკენ შეიწია და დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან ბურთი შორეულ, დაბალ კუთხეში გაახვია. ეს არის ლევანის მე-2 გოლი მიმდინარე ჩემპიონატში. მის აქტივშია 4 საგოლე გადაცემაც. ითამაშა 68-ე წუთამდე. შეფასება - 8,3.

საერთოდ, ამ პოზიციიდან მას არაერთი გოლი გაუტანია და კიდევ ერთხელ ვსვამთ კითხვას - მარცხენა ფლანგზე დაყენებით, ან სრული იგნორირებით, რატომ ვამბობთ უარს ამ ფეხბურთელის იმ პოტენციალზე, რომელიც ნაკრებს შეიძლება გამოადგეს?

გაგრძელება მე-8 გვერდზე »

ქართული ლეგიონი

# ზივზივაძე და შენგელია ნაკრებში გოლებით მოდიან

« მე-7 გვერდიდან

**რუსეთი**. **ნაციონალური ლიგა.** ტუიმენი - ჩერნომორეცი (**ანრი ჭიჭინაძე**) 1:4. ჭიჭინაძემ შეუცვლელად ითამაშა.

**შვედეთი**. **ალსვენსკანი.** გაის - სირიუსი (**საბა მამაცაშვილი**) 2:1. მამაცაშვილმა (6,4) 67-ე წუთიდან ითამაშა.

**სომხეთი**. **პრემიერ ლიგა.** ნოა - ალაშკერტი (**ვაჟა ფაცაცია**) 4:0. ფაცაციამ 63-ე წუთიდან ითამაშა.

**აზერბაიჯანი**. **პრემიერ ლიგა.** ყარაბაღი - ზირა (**დავით ვოლკოვი, გიორგი პაპუნაშვილი**) 4:0. ვოლკოვმა შეუცვლელად ითამაშა, პაპუნაშვილი სათადარიგო იყო.

**კვიპროსი**. **საიპრას ლიგა.** არადიპუ (**გიორგი ლორია**) - ომონია 3:5. ლორიამ 4 „სეივი“ შეასრულა და 5-დან 4 გოლი პირველ ტაიმში გაუშვა.

**თურქეთი**. **I ლიგა.** საქარიასფორი - ქოჯაელისფორი (**გიორგი ბერიძე**) 0:1. ბერიძემ 74-ე წუთამდე ითამაშა და გამარჯვების გოლი გაიტანა. მან მეორედ გამოიჩინა თავი მიმდინარე სეზონში. შეფასება - 7,7.

**უკრაინა**. **პრემიერ ლიგა.** დინამო კიევი - პოლისია (**გიორგი მაისურაძე**) 2:1. მაისურაძე სათადარიგო იყო.

**კვიპროსი**. **საიპრას ლიგა.** აპოელ (**ლაშა დვალი**) - აელ 4:0. დვალმა შეუცვლელად ითამაშა.

**დანია**. **სუპერლიგა.** ორჰუსი - კოპენჰაგენი (**გიორგი გოჩოლეიშვილი**) 1:1. გოჩოლეიშვილმა (7,2) შეუცვლელად ითამაშა.

**ესპანეთი**. **ლა ლიგა 2.** ტენერიფე - ლევანტე (**გიორგი ქოჩორაშვილი**) *გადაიდო.*

**საფრანგეთი**. **ლიგა 1.** ლიონი (**გიორგი მიქაუტაძე**) - სენტ ეტიენი (**ზურიკო დავითაშვილი**) 1:0. ქართველების დაპირისპირებაში დავითაშვილი, რომელიც ლიგა 1-ში ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშე გახდა, ძირითად შემადგენლობაში იყო, ბოლომდე მოედანზე დარჩა და განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამორჩეულიც გახლდათ თანაგუნდელებს შორის. შეფასებები: Flashscore - 7,7; Sofascore - 8,3; Whoscored - 8,0.

მიქაუტაძე კი მხოლოდ 79-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და... კინაღამ საგოლე პასიც მიითვალა - მეკარისგან ჟორჟს ბურთი ხელზე მოხვდა და „ლიონის“ გოლი გაუქმდა. შეფასებები: Flashscore - 6,3; Sofascore - 6,7; Whoscored - 6,2.

**იტალია**. **სერია A.** ინტერი - ნაპოლი (**ხვიჩა კვარაცხელია**) 1:1. ლოგიკური ფრე „ჯუზეპე მეაცაზე“ - ორი სიტყვით ასე შეიძლება შეფასდეს თამაში, მიუხედავად მასპინძელთა მიერ ვერგატანილი პენალტისა, თამაში, რომელიც იტალიურ ტურში ცენტრალური იყო და ბევრმა საჩემპიონო დაპირისპირებადაც მონათლა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ანტონიო კონტემ კვლავ 4-3-3 სისტემით ითამაშა. კვარაცხელია მკაცრი მეურვეობის ქვეშ იყო. ის რამდენჯერმე დაუსხლტა მარწუხებს, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი არ ჰქონია. პირველ ტაიმში საჯარიმოს შიგნიდან დაარტყა და ბურთი პირდაპირ ხელებში მიუვიდა მეკარეს, ხოლო მაკტომინეის გოლი სწორედ ხვიჩას კუთხურს მოჰყვა. ითამაშა შეუცვლელად. შეფასებები: Flashscore - 7,2; Sofascore - 7,5; Whoscored - 6,8.

lelo.ge

ევროუქმეები

# რა ამბები შე

**ევროუქმეების მთავარი ხაზი „მანჩესტერ სიტის“ კრიზისია. პეპ გვარდიოლას ძლევამოსილი გუნდისგან თითქოს აღარაფერი დარჩა. „ქალაქელები“ უკვე „ქამბექებით“ აგებენ. ერთხელაც გამოჩნდა, თუ რა ძალა ყოფილა გუნდისთვის როდრი, რომელიც კიდევ დიდხანს ვერ დაეხმარება გუნდს...**

**ამის საპირისპიროდ, ბრწყინვალე ფორმაშია „ლივერპული“, რომელიც დამაჯერებლად გალიდერდა. გამოიკვეთა „ბაიერნის“ სოლიდური უპირატესობაც, აღარაფერს ვამბობთ „ბარსელონაზე“... აი, იტალიაში კი, თუ დღევანდელი მდგომარეობა გაზაფხულამდე შენარჩუნდა, ვერც კი წარმოვიდგენთ, რა ამბები შეიძლება დატრიალდეს ფინიშის ხაზთან...**

## ინგლისი

### პრემიერ ლიგა. XI ტური

**ბრენტფორდი-ბორნმუთი 3:2**

**გოლები:** 0:1 ევანილსონი (17), 1:1 ვისა (27), 1:2 კლუივერტი (49), 2:2 დამსგაარდი (50), 3:2 ვისა (58)

**კრ. პალასი-ფულჰემი 0:2**

**გოლები:** 0:1 სმით-როუ (45+2), 0:2 ჰ. უილსონი (83)

**გაძევება:** კამადა (76. კრ. პალასი)

**ვესტ ჰემი-ევერტონი 0:0**

**ვულვზი-საუთჰემპტონი 2:0**

**გოლები:** 1:0 სარაბია (2), 2:0 კუნია (51)

**ბრაიტონი-მან. სიტი 2:1**

**გოლები:** 0:1 ჰალანდი (23), 1:1 ჟოაო პედრო (78), 2:1 ო'რაილი (83)

**სიტი (4-1-4-1):** ედერსონი - ლიუისი, უოლკერი, სიმპსონ-პასეი, გვარდიოლი - კოვაჩიჩი - სავინიო (74. დე ბრუინი), ფოდენი, გიუნდოგანი (72. ბერნარდო სილვა), მატეუშ ნუნიეში - ჰალანდი

**ლივერპული-ასტონ ვილა 2:0**

**გოლები:** 1:0 დ. ნუნიესი (20), 2:0 სალაჰი (84)

**ლივერპული (4-2-3-1):** კელეჰერი - ალექსანდერ-არნოლდი (25. ბრედლი), კონატე, ვან დაიკი, რობერტსონი - გრავენბერხი, მაკ ალისტერი (87. ენდო) - სალაჰი, ჯოუნსი (65. სობოსლაი), ლუის დიასი - დ. ნუნიესი (65. გაკპო)

**მან. იუნაიტედი-ლესტერი 3:0**

**გოლები:** 1:0 ბრუნო ფერნანდეში (17), 2:0 კრისტიანსენი (38-საკ. კარში), 3:0 გარნაჩო (82)

**იუნაიტედი (4-2-3-1):** ონანა - დალოტი (57. ევანსი), დე ლიხტი, ლის. მარტინესი, მაზრაუი - კაზემირო (79. ერიქსენი), უგარტე - დიალო, ბრუნო ფერნანდეში, რაშფორდი (57. გარნაჩო) - ჰოილუნდი (75. ზირკზეე)

**ნოტინგემი-ნიუკასლი 1:3**

**გოლები:** 1:0 მურილიო (21), 1:1 ისაკი (54), 1:2 ჟოელინტონი (72), 1:3 ბარნსი (83)

**ტოტენჰემი-იფსვიჩი 1:2**

**გოლები:** 0:1 სმოდიჩი (31), 0:2 დელაპი (43), 1:2 ბენტანკური (69)

**ჩელსი-არსენალი 1:1**

**გოლები:** 0:1 მარტინელი (60), 1:1 ნეტუ (70)

**ჩელსი (4-2-3-1):** სანჩესი - გუსტო (82. ჯეიმსი), ფოფანა, კოლვილი, კუკურელია - კაისედო, ლავია (68. ე. ფერნანდესი) - მადუეკე (68. მუდრიკი), პალმერი, ნეტუ - ჯექსონი (88. ნკუნკუ)

**არსენალი (4-3-3):** რაია - უაითი, სალიბა, გაბრიელი, ტიმბერი - ოდეგორი, პარტეი, რაისი (71. მერინო) - საკა (81. გაბრიელ ჟეზუში), მარტინელი (71. ტროსარი), ჰავერტცი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 11 | 9 | 1 | 1 | 21:6 | 28 |
| 2. მან. სიტი | 11 | 7 | 2 | 2 | 22:13 | 23 |
| 3. ჩელსი | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | 19 |
| 4. არსენალი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:12 | 19 |
| 5. ნოტინგემი | 11 | 5 | 4 | 2 | 15:10 | 19 |
| 6. ბრაიტონი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:15 | 19 |
| 7. ფულჰემი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:13 | 18 |
| 8. ნიუკასლი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:11 | 18 |
| 9. ასტონ ვილა | 11 | 5 | 3 | 3 | 17:17 | 18 |
| 10. ტოტენჰემი | 11 | 5 | 1 | 5 | 23:13 | 16 |
| 11. ბრენტფორდი | 11 | 5 | 1 | 5 | 22:22 | 16 |
| 12. ბორნმუთი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 15 |
| 13. მან. იუნაიტედი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:12 | 15 |
| 14. ვესტ ჰემი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:19 | 12 |
| 15. ლესტერი | 11 | 2 | 4 | 5 | 14:21 | 10 |
| 16. ევერტონი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | 10 |
| 17. იფსვიჩი | 11 | 1 | 5 | 5 | 12:22 | 8 |
| 18. კრ. პალასი | 11 | 1 | 4 | 6 | 8:15 | 7 |
| 19. ვულვზი | 11 | 1 | 3 | 7 | 16:27 | 6 |
| 20. საუთჰემპტონი | 11 | 1 | 1 | 9 | 7:21 | 4 |

**ბომბარდირები:** 12 - ე. ჰალანდი (მან. სიტი); 8 - მ. სალაჰი (ლივერპული), ბ. მბეუმო (ბრენტფორდი), კ. ვუდი (ნოტინგემი).

### მომდევნო ტური

23 ნოემბერი: **ლესტერი-ჩელსი (16:30), არსენალი-ნოტინგემი (19:00), ასტონ ვილა-კრისტალ პალასი (19:00), ბორნმუთი-ბრაიტონი (19:00), ევერტონი-ბრენტფორდი (19:00), ფულჰემი-ვულვზი (19:00), მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი (21:30)**

24 ნოემბერი: **საუთჰემპტონი-ლივერპული (18:00), იფსვიჩი-მანჩესტერ იუნაიტედი (20:30)**

25 ნოემბერი: **ნიუკასლი-ვესტ ჰემი (23:59)**

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XIII ტური

**რ. ვალეკანო-ლას პალმასი 1:3**

**გოლები:** 0:1 ფ. სილვა (6), 0:2 ა. ერნანდესი (62-საკ. კარში), 0:3 ფუსტერი (66), 1:3 მკკენა (90+2-საკ. კარში)

**რეალი-ოსასუნა 4:0**

**გოლები:** 1:0 ვინისიუსი (35), 2:0 ბელინგემი (43), 3:0 ვინისიუსი (61), 4:0 ვინისიუსი (69)

**რეალი (4-3-3):** ლუნინი - ლ. ვასკესი (46. მოდრიჩი), მილიტაო (30. რაულ ასენსიო), რიუდიგერი, ფ. გარსია - ვალვერდე, კამავინგა, ბელინგემი (75. გიულერი) - როდრიგო (20. ბ. დიასი), მბაპე, ვინისიუსი (75. ენდრიკი)

**ვილიარეალი-ალავესი 3:0**

**გოლები:** 1:0 ილიასი (38), 2:0 პარეხო (81-პენ), 3:0 კომესანა (90)

**ლეგანესი-სევილია 1:0**

**გოლი:** 1:0 დე ლა ფუენტე (82-პენ)

**გაძევება:** აგუმე (80. სევილია)

**ბეტისი-სელტა 2:2**

**გოლები:** 0:1 ხ. როდრიგესი (13), 1:1 ვიტორ როკე (40), 1:2 დუვიკასი (82), 2:2 ბარტრა (90+5)

**მალიორკა-ატლეტიკო 0:1**

**გოლი:** 0:1 ხ. ალვარესი (61)

**ატლეტიკო (4-4-2):** ობლაკი - მოლინა, ხიმენესი, ლონგლე (63. ვიტსელი), რეინილდო - ჯ. სიმეონე (62. ა. კორეა), კოკე, ბარიოსი, რიკელმე (86. გალაჰერი) - გრიზმანი (62. დე პაული), ხ. ალვარესი (62. სიორლოტი)

**ხეტაფე-ჟირონა 0:1**

**გოლი:** 0:1 ი. ერერა (42)

**ვალიადოლიდი-ბილბაო 1:1**

**გოლები:** 1:0 მორო (79), 1:1 გურუზეტა (90+4)

**ესპანიოლი-ვალენსია** *გადაიდო*

**სოსიედადი-ბარსელონა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბეკერი (33)

**ბარსელონა (4-3-3):** პენია - კუნდე (84. გავი), კუბარსი, ი. მარტინესი, ბალდე - კასადო, ფ. დე იონგი (46. ოლმო), პედრი (90+1. ვიქტორი) - რაფინია, ლევანდოვსკი, ფერმინ ლოპესი (69. ფატი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 11 | 0 | 2 | 40:12 | 33 |
| 2. რეალი | 12 | 8 | 3 | 1 | 25:11 | 27 |
| 3. ატლეტიკო | 13 | 7 | 5 | 1 | 19:7 | 26 |
| 4. ვილიარეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 23:19 | 24 |
| 5. ოსასუნა | 13 | 6 | 3 | 4 | 17:20 | 21 |
| 6. ბილბაო | 13 | 5 | 5 | 3 | 19:13 | 20 |
| 7. ბეტისი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:12 | 20 |
| 8. სოსიედადი | 13 | 5 | 3 | 5 | 11:10 | 18 |
| 9. მალიორკა | 13 | 5 | 3 | 5 | 10:10 | 18 |
| 10. ჟირონა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:17 | 18 |
| 11. სელტა | 13 | 5 | 2 | 6 | 20:22 | 17 |
| 11. რაიო ვალეკანო | 12 | 4 | 4 | 4 | 13:13 | 16 |
| 13. სევილია | 13 | 4 | 3 | 6 | 12:18 | 15 |
| 14. ლეგანესი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:16 | 14 |
| 15. ალავესი | 13 | 4 | 1 | 8 | 14:22 | 13 |
| 16. ლას პალმასი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:22 | 12 |
| 17. ხეტაფე | 13 | 1 | 7 | 5 | 8:11 | 10 |
| 18. ესპანიოლი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:22 | 10 |
| 19. ვალიადოლ. | 13 | 2 | 3 | 8 | 10:25 | 9 |
| 20. ვალენსია | 11 | 1 | 4 | 6 | 8:17 | 7 |

**ბომბარდირები:** 14 - რ. ლევანდოვსკი (ბარსელონა); 8 - ვინისიუსი (რეალი); 7 - რაფინია (ბარსელონა), ა. პერესი (ვილიარეალი).

### მომდევნო ტური

22 ნოემბერი: **ხეტაფე-ვალიადოლიდი (23:59)**

23 ნოემბერი: **ვალენსია-ბეტისი (17:00), ატლეტიკო-ალავესი (19:15), ჟირონა-ესპანიოლი (21:30), ლას პალმასი-მალიორკა (21:30), სელტა-ბარსელონა (23:59)**

24 ნოემბერი: **ოსასუნა-ვილიარეალი (17:00), სევილია-რაიო ვალეკანო (19:15), ლეგანესი-რეალი (21:30), ბილბაო-სოსიედადი (23:59).**

## იტალია

### სერია A. XII ტური

**ჯენოა-კომო 1:1**

**გოლები:** 0:1 და კუნია (17), 1:1 ვოლიაკო (90+2)

**ლეჩე-ემპოლი 1:1**

**გოლები:** 0:1 პელეგრი (33), 1:1 პიეროტი (77)

**ვენეცია-პარმა 1:2**

**გოლები:** 1:0 ნიკოლუსი (5), 1:1 ვალერი (17), 1:2 ბონი (68)

**კალიარი-მილანი 3:3**

**გოლები:** 1:0 ზორტეა (2), 1:1 ლეაუ (15), 1:2 ლეაუ (40), 2:2 ძაპა (53), 2:3 აბრაჰამი (69), 3:3 ძაპა (89)

**მილანი (4-2-3-1):** მენიანი - ემერსონი (81. ტომორი), ტიავი, პავლოვიჩი, ერნანდესი - ფოფანა, რეინდერსი - ჩუკვუეზე (65. ლოფტუს-ჩიკი), პულიშიჩი (82. მუსა), ლეაუ (82. ოკაფორი) - კამარდა (66. აბრაჰამი)

**იუვენტუსი-ტორინო 2:0**

**გოლები:** 1:0 ვეა (18), 2:0 ილდიზი (84)

**იუვენტუსი (4-2-3-1):** პერინი - სავონა (87. დანილო), გატი, კალულუ, კამბიაზო - ხ. ტურამი, ლოკატელი - ვეა, კოოპმეინერსი, ილდიზი (86. მაკკენი) - ვლაჰოვიჩი (73. კონსეისაო)

**ატალანტა-უდინეზე 2:1**

**გოლები:** 0:1 ჰ. კამარა (45+3), 1:1 პაშალიჩი (56), 2:1 ტურე (60-საკ. კარში)

**ფიორენტინა-ვერონა 3:1**

**გოლები:** 1:0 კინი (4), 1:1 სერდარი (18), 2:1 კინი (59), 3:1 კინი (90+2)

**რომა-ბოლონია 2:3**

**გოლები:** 0:1 კასტრო (25), 1:1 ელ შაარავი (63), 1:2 ორსოლინი (66), 1:3 კარლსონი (77), 2:3 ელ შაარავი (82)

**რომა (3-4-2-1):** სვილარი - მანჩინი, ნდიკა, ანხელინიო - ჩელიკი (61. დალი), კონე (80. პარედესი), კრისტანტე, ელ შაარავი - სოულე (57. შომუროდოვი), პიზილი (61. ბალდანცი) - დოვბიკი

**მონცა-ლაციო 0:1**

**გოლი:** 0:1 ძაკანი (36)

**ლაციო (4-3-3):** პროვედელი - მარუშიჩი, რომანიოლი, ხილა, ტავარეში (75. ნოსლინი) - ვესინო, როველა, გენდუზი (90+2. ჟიგო) - პედრო (60. ისაკსენი), ძაკანი (75. ლუკ. პელეგრინი), დია (60. კასტელიანოსი)

**ინტერი-ნაპოლი 1:1**

**გოლები:** 0:1 მაკტომინეი (23), 1:1 ჩალჰანოღლუ (43)

**გამოუყენებელი პენალტი:** ჩალჰანოღლუ (74. ძელი)

**ინტერი (3-5-2):** ზომერი - პავარი, აჩერბი, ა. ბასტონი (89. დე ვრეი) - დუმფრისი, ბარელა, ჩალჰანოღლუ (82. ჟელინსკი), მხითარიანი, დიმარკო (83. დარმიანი) - ლ. მარტინესი (89. არნაუტოვიჩი), მ. ტურამი (82. თარემი)

**ნაპოლი (4-3-3):** მერეტი - დი ლორენცო, რაჰმანი, ბუონჯორნო, ოლივერა - ანგისა, გილმორი (60. ლობოტკა), მაკტომინეი - პოლიტანო (84. ნგონგე), კვარაცხელია, ლუკაკუ (77. სიმეონე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაპოლი | 12 | 8 | 2 | 2 | 19:9 | 26 |
| 2. ატალანტა | 12 | 8 | 1 | 3 | 31:15 | 25 |
| 3. ფიორენტინა | 12 | 7 | 4 | 1 | 25:10 | 25 |
| 4. ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 26:14 | 25 |
| 5. ლაციო | 12 | 8 | 1 | 3 | 25:14 | 25 |
| 6. იუვენტუსი | 12 | 6 | 6 | 0 | 21:7 | 24 |
| 7. მილანი | 11 | 5 | 3 | 3 | 20:14 | 18 |
| 8. ბოლონია | 11 | 4 | 6 | 1 | 15:13 | 18 |
| 9. უდინეზე | 12 | 5 | 1 | 6 | 15:18 | 16 |
| 10. ემპოლი | 12 | 3 | 6 | 3 | 9:10 | 15 |
| 11. ტორინო | 12 | 4 | 2 | 6 | 15:18 | 14 |
| 12. რომა | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 |
| 13. პარმა | 12 | 2 | 6 | 4 | 16:18 | 12 |
| 14. ვერონა | 12 | 4 | 0 | 8 | 17:27 | 12 |
| 15. კომო | 12 | 2 | 4 | 6 | 13:23 | 10 |
| 16. კალიარი | 12 | 2 | 4 | 6 | 12:22 | 10 |
| 17. ჯენოა | 12 | 2 | 4 | 6 | 9:22 | 10 |
| 18. ლეჩე | 12 | 2 | 3 | 7 | 5:21 | 9 |
| 19. მონცა | 12 | 1 | 5 | 6 | 10:15 | 8 |
| 20. ვენეცია | 12 | 2 | 2 | 8 | 11:21 | 8 |

**ბომბარდირები:** 11 - მ. რეტეგი (ატალანტა); 8 - მ. კინი (ფიორენტინა); 7 - მ. ტურამი (ინტერი).

### მომდევნო ტური

23 ნოემბერი: **ვერონა-ინტერი (18:00), მილანი-იუვენტუსი (21:00), პარმა-ატალანტა (23:45)**

24 ნოემბერი: **ჯენოა-კალიარი (15:30), კომო-ფიორენტინა (18:00), ტორინო-მონცა (18:00), ნაპოლი-რომა (21:00), ლაციო-ბოლონია (23:45)**

25 ნოემბერი: **ემპოლი-უდინეზე (21:30), ვენეცია-ლეჩე (23:45)**

## გერმანია

### ბუნდესლიგა. X ტური

**მაინცი-დორტმუნდი 3:1**

**გოლები:** 1:0 ჟაე-სუნ ლი (36), 1:1 გირასი (40-პენ), 2:1 ბურკარდტი (45+3), 3:1 ნებელი (54)

**დორტმუნდი (4-1-4-1):** მაიერი - გროსი, ემრე ჯანი, შლოტერბეკი, რიერსონი (74. კაბარი) - ნმეჩა (59. ლურსი) - ბაიერი (59. მალენი), ზაბიტცერი, ბრანდტი (74. კემპბელი), გიტენსი (59. იან კოუტუ) - გირასი.

**გაძევება:** ემრე ჯანი (27. დორტმუნდი)

**უნიონი-ფრაიბურგი 0:0**

**გამოუყენებელი პენალტი:** გრიფო (21. ფრაიბურგი)

**ვერდერი-კილი 2:1**

**გოლები:** 1:0 სტაგე (36), 1:1 ჰარესი (48), 2:1 ბურკი (89)

**ბოხუმი-ლევერკუზენი 1:1**

**გოლები:** 0:1 შიკი (18), 1:1 მიიოში (89)

**ლევერკუზენი (3-4-2-1):** ჰრადეცკი - ტაპსობა, ტა, ინკაპიე - ფრიმპონგი (87. ალეიშ გარსია), ანდრიხი, ჯაკა, გრიმალდო - ჰოფმანი (64. ტელა), ვირტცი - შიკი (77. ბონიფასე).

**სტ. პაული-ბაიერნი 0:1**

**გოლი:** 0:1 მუსიალა (22)

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - რაფაელ გერეირო (70. ლაიმერი), უპამეკანო, მინ-ჟაე კიმი, დევისი (80. აზნუ) - კიმიხი, გორეტცკა (82. პალინია) - სანე (82. ოლისე), მუსიალა (90. მიულერი), კომანი (70. გნაბრი) - კეინი.

**ლაიპციგი-გლადბახი 0:0**

**ლაიპციგი (3-4-2-1):** გულაჩი - კლოსტერმანი, ორბანი, ბიტშიაბუ - ჰენრიხსი (67. ჰაიდარა), ვერმერენი (81. ზაივალდი), კამპლი, ნუსა - პოულსენი (67. შეშკო), ბაუმგარტნერი (81. უედრაოგო) - ოპენდა.

**აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი 0:0**

**შტუტგარტი-აინტრახტი 2:3**

**გოლები:** 0:1 ეკიტიკე (45), 0:2 ბრაუნი (55), 0:3 მარმუში (62), 1:3 ვაგნომანი (86), 2:3 ვოლტემადე (90)

**გამოუყენებელი პენალტი:** დემიროვიჩი (22. შტუტგარტი)

**ჰაიდენჰაიმი-ვოლფსბურგი 1:3**

**გოლები:** 0:1 გერჰარდტი (3), 0:2 დარდაი (42), 1:2 პირინგერი (64), 1:3 ტომასი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 10 | 8 | 2 | 0 | 33:7 | 26 |
| 2. ლაიპციგი | 10 | 6 | 3 | 1 | 15:5 | 21 |
| 3. აინტრახტი | 10 | 6 | 2 | 2 | 26:16 | 20 |
| 4. ლევერკუზენი | 10 | 4 | 5 | 1 | 21:16 | 17 |
| 5. ფრაიბურგი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:11 | 17 |
| 6. უნიონი | 10 | 4 | 4 | 2 | 9:8 | 16 |
| 7. დორტმუნდი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:18 | 16 |
| 8. ვერდერი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:21 | 15 |
| 9. გლადბახი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 14 |
| 10. მაინცი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:14 | 13 |
| 11. შტუტგარტი | 10 | 3 | 4 | 3 | 19:19 | 13 |
| 12. ვოლფსბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 19:19 | 12 |
| 13. აუგსბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:20 | 12 |
| 14. ჰაიდენჰაიმი | 10 | 3 | 1 | 6 | 14:15 | 10 |
| 15. ჰოფენჰაიმი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:19 | 9 |
| 16. სტ. პაული | 10 | 2 | 2 | 6 | 7:12 | 8 |
| 17. კილი | 10 | 1 | 2 | 7 | 12:25 | 5 |
| 18. ბოხუმი | 10 | 0 | 2 | 8 | 10:30 | 2 |

**ბომბარდირები:** 11 - ჰ. კეინი (ბაიერნი), ო. მარმუში (აინტრახტი).

### მომდევნო ტური

22 ნოემბერი: **ბაიერნი-აუგსბურგი (22:30)**

23 ნოემბერი: **ლევერკუზენი-ჰაიდენჰაიმი (18:30), შტუტგარტი-ბოხუმი (18:30), დორტმუნდი-ფრაიბურგი (18:30), ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი (18:30), ვოლფსბურგი-უნიონი (18:30), აინტრახტი-ვერდერი (21:30)**

24 ნოემბერი: **კილი-მაინცი (18:30), გლადბახი-სტ. პაული (20:30)**

## საფრანგეთი

### ლიგა 1. XI ტური

**მარსელი-ოსერი 1:3**

**გოლები:** 0:1 სინაიოკო (10), 0:2 პერენი (43), 0:3 ტრაორე (45), 1:3 გრინვუდი (65-პენ)

**სტრასბური-მონაკო 1:3**

**გოლები:** 1:0 დუე (29), 1:1 ბენ სეღირი (79-პენ), 1:2 ბენ სეღირი (89), 1:3 ილენიხენა (90+1)

**ლანსი-ნანტი 3:2**

**გოლები:** 1:0 ფრანკოვსკი (21-პენ), 1:1 სიმონი (36-პენ), 1:2 კოზა (71), 2:2 ოჯედირანი (86), 3:2 თომასონი (90)

**ანჟერი-პსჟ 2:4**

**გოლები:** 0:1 ლი (17), 0:2 ლი (20), 0:3 ბარკოლა (31), 0:4 ბარკოლა (45+2), 1:4 ლეპოლი (90+1), 2:4 ბიუმლა (90+7)

**პსჟ (4-1-2-3):** დონარუმა - ჰაკიმი (46. ზაგე), მარკინიოსი, შკრინიარი, ბერალდო - რუისი - ზაირ-ემრი (66. უ. დემბელე), მაიულუ (66. კოლო მუანი) - ლი (90+1. ნევეში), ასენსიო, ბარკოლა (46. დუე)

**ნიცა-ლილი 2:2**

**გოლები:** 0:1 ფერნანდეს-პარდო (17), 1:1 ს. დიოპი (56), 1:2 ბაკერი (66), 2:2 ლუშე (90+6)

**ლე ავრი-რეიმსი 0:3**

**გოლები:** 0:1 დიაკიტე (15), 0:2 ნაკამურა (21), 0:3 იტო (57)

**მონპელიე-ბრესტი 3:1**

**გოლები:** 1:0 ნორდინი (4-პენ), 2:0 ხაზრი (12), 2:1 მარტინი (50), 3:1 კულიბალი (85)

**გამოუყენებელი პენალტი:** ნორდინი (59. მონპელიე)

**რენი-ტულუზი 0:2**

**გოლები:** 0:1 კინგი (14), 0:2 დიონუმი (23)

**ლიონი-სტ. ეტიენი 1:0**

**გოლი:** 1:0 ლაკაზეტი (29)

# იძლება დატრიალდეს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 11 | 9 | 2 | 0 | 33:10 | 29 |
| 2. მონაკო | 11 | 7 | 2 | 2 | 18:8 | 23 |
| 3. მარსელი | 11 | 6 | 2 | 3 | 24:15 | 20 |
| 4. ლილი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:11 | 19 |
| 5. ლიონი | 11 | 5 | 3 | 3 | 18:15 | 18 |
| 6. ნიცა | 11 | 4 | 5 | 2 | 21:11 | 17 |
| 7. რეიმსი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:15 | 17 |
| 8. ლანსი | 11 | 4 | 5 | 2 | 12:9 | 17 |
| 9. ოსერი | 11 | 5 | 1 | 5 | 20:19 | 16 |
| 10. ტულუზი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:11 | 15 |
| 11. სტრასბური | 11 | 3 | 4 | 4 | 20:22 | 13 |
| 12. ბრესტი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:19 | 13 |
| 13. რენი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:18 | 11 |
| 14. ნანტი | 11 | 2 | 4 | 5 | 14:17 | 10 |
| 15. ანჟერი | 11 | 2 | 4 | 5 | 13:20 | 10 |
| 16. სტ. ეტიენი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:25 | 10 |
| 17. ლე ავრი | 11 | 3 | 0 | 8 | 8:23 | 9 |
| 18. მონპელიე | 11 | 2 | 1 | 8 | 11:31 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 - ბ. ბარკოლა (პსჟ); 8 - მ. გრინვუდი (მარსელი); 7 - ჯ. დევიდი (ლილი).

### მომდევნო ტური

22 ნოემბერი: **მონაკო-ბრესტი (22:00), პსჟ-ტულუზი (23:59)**

23 ნოემბერი: **ლანსი-მარსელი (20:00), სენტ ეტიენი-მონპელიე (22:00), რეიმსი-ლიონი (23:59)**

24 ნოემბერი: **ლილი-რენი (18:00), ოსერი-ანჟერი (20:00), ნანტი-ლე ავრი (20:00), ნიცა-სტრასბური (23:45)**.

## პრემიერლიგა
### სანახაობა ლონდონში, კრიზისი მანჩესტერ სიტიში

„მანჩესტერ სიტი" კრიზისშია. ამის კიდევ ერთი დასტური გახლდათ „ბრაიტონთან" საგარეო მარცხი. თამაშის დასრულების მერე **პეპ გვარდიოლა**, ცხადია, გაბრაზებული იყო, თუმცა თქვა, რომ საფეხბურთო ცხოვრებაში ყველაფერი ოდესღაც პირველად ხდება.

„სიტი" იგებდა **ერლინგ ჰალანდის** გოლით, თუმცა მეორე ტაიმში „ბრაიტონმა" მაგრად მოუმატა. ჯერ **ჟოაო პედრომ** შეარხია „ქალაქელთა" კარის ბადე, მერე კი **მეტ ო'რაილიმაც** არ დაიზარა გატანა.

„ასტონ ვილამ" ყველაფერი სცადა, „ლივერპულისთვის" ჯეროვანი წინააღმდეგობა რომ გაეწია, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. „წითლებმა" მეტოქე დიდებული კონტრშეტევებით წალეკეს. გოლები **დარვინ ნუნიესმა** და **მოჰამედ სალაჰმა** გაიტანეს. ეს უკანასკნელი, უბრალოდ, შეუდარებელი იყო.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" პირველივე ტაიმში 2 გოლი შეუგდო „ლესტერს". ორივეჯერ მოვლენათა ეპიცენტრში „წითელი ეშმაკების" პორტუგალიელი ლიდერი **ბრუნო ფერნანდეში** იყო. მან ერთხელ თავად გაიტანა, მეორედ კი ავტოგოლი დაფიქსირდა.

მატჩის მშვენება კი **ალეხანდრო გარნაჩოს** გოლი გამოდგა. „იუნაიტედმა" 3:0 მოიგო **რუბენ ამორიმის** მოსვლის წინ. დროებითი დამრიგებელი **რუუდ ვან ნისტელროოი** კი „იუნაიტედს" თავაზეული დაემშვიდობა. თუმცა ამბობენ, შეიძლება სამწვრთნელო შტაბში დარჩეს.

ლონდონურ დერბიში ლაღი ფეხბურთი გვიჩვენეს „ჩელსიმ" და „არსენალმა". საბოლოოდ, მომენტებით მდიდარი თამაში 1:1 დასრულდა. „მეთოფეები" დაწინაურდნენ **გაბრიელ მარტინელის** გოლით, მაგრამ **პედრო ნეტუმ** ლამაზი გასროლით გაათანაბრა.

### ფაქტები

*** პეპ გვარდიოლამ სამწვრთნელო კარიერაში მეორედ წააგო ზედიზედ 4 მატჩი. წინა ჯერზე იმ 4 წაგებიდან ერთი იყო სათასო თამაში, რომელიც გვარდიოლას გუნდმა დამატებით დროში დათმო.**

*** „სიტიმ" პირველად იწვნია ზედიზედ 4 მარცხი 2006 წლის შემდეგ.**

*** დანიელმა მეტ ო'რაილიმ პირველი მატჩი ჩაატარა „ბრაიტონის" შემადგენლობაში და ეს ფაქტი გოლით აღნიშნა. აქამდე, ის ზაფხულში მიღებული ტრავმის გამო უქმობდა.**

*** „ასტონ ვილას" მთავარ მწვრთნელის პოსტზე უნაი ემერის არასოდეს დაუმარცხებია „ლივერპული".**

*** ბრუნო ფერნანდეშმა გოლით აღნიშნა „მანჩესტერ იუნაიტედში" თავისი 250-ე მატჩი.**

*** რუუდ ვან ნისტელროოიმ 4 მატჩი ჩაატარა „მანჩესტერ იუნაიტედის" დროებითი მთავარი მწვრთნელის რანგში და არცერთში არ დამარცხებულა.**

*** პედრო ნეტუმ („ჩელსი") პირველი გოლი გაიტანა პრემიერლიგაში.**

**ალეკო კაკაურიძე**

## ლა ლიგა
### გამარჯვების დიდი საფასური

„სამეფო კლუბი" აგრძელებს „ბარსას" დევნას. კარლო ანჩელოტის გუნდმა, მბაპეს თუ არ ჩავთვლით, მშვენივრადაც ითამაშა, თუმცა ამ გამარჯვებისთვის „რეალმა" დიდი საფასური გაიღო - სამი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დაემტვრა, ერთი სულაც სეზონის ბოლომდე...



„რეალმა" „სანტიაგო ბერნაბეუზე" 2-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა, ლა ლიგის მე-13 ტურში 4:0 მოუგო ნავარულ „ოსასუნას", ხოლო **ვინისიუს ჟუნიორმა** ჰეთ თრიკი შეასრულა. ამ შეხვედრაში **კარლო ანჩელოტის** გუნდისთვის კარგის გარდა ცუდიც ბევრი მოხდა - პირველ ტაიმში სამი ფეხბურთელი დაიმტვრა - **როდრიგო** და **მილიტაო** ეგრევე შეცვალეს, ხოლო **ლუკას ვასკესმა** მეორე ტაიმი დაიწყო, თუმცა ეგრევე შესაცვლელი გახდა. როგორც გაირკვა, ყველაზე მძიმე ბრაზილიელი მცველის ტრავმა აღმოჩნდა - მილიტაოსთვის სეზონი დასრულებულია. როდრიგო ალბათ, წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს, ხოლო ლუკასი „იოლად გადარჩა - დაახლოებით 3 კვირა გაუცდება.

**კარლო ანჩელოტი** („რეალის" მწვრთნელი): *„კარგი თამაში გვქონდა, მატჩი ყოველგვარი სიჩქარის გარეშე გავაკონტროლეთ. როცა ვინიმ გაიტანა პირველი გოლი, ყველაფერი უკეთ წარიმართა. ვინისიუსი მთავარ განსხვავებას ქმნის, როგორც ხედავთ, „ოქროს ბურთის" ამბავს მასზე საერთოდ არ უმოქმედია. ახალ წლამდე ახალ ფეხბურთელებზე ვერ ვიფიქრებთ, ამ კონტიგენტით უნდა გავიდეთ ფონს. ბევრი ტრავმის მიზეზი ცხადია - გადატვირთული კალენდარი, რაც ყოველი გრანდისთვის პრობლემას წარმოადგენს".*

**იან ობლაკის** საიმედო თამაშმა და თანამემამულე **ხულიან ალვარესის** გოლმა **დიეგო სიმეონეს** მორიგი სამი ქულა მოუტანა ბალეარის კუნძულებზე. „ატლეტიკო" „რეალს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება.

კვირა დაასრულა „ბარსელონას" სენსაციურმა მარცხმა სან-სებასტიანში. „სოსიედადმა", როგორც იტყვიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა, **ჰანსი ფლიკის** გუნდი კი, რომელიც ბოლო დროს ქვას ქვაზე არ ტოვებდა, საკუთარ თავს არ ჰგავდა...

### ფაქტები

*** ანდრიი ლუნინი „რეალის" პირველი მეკარეა 21-ე საუკუნეში, ვინც ლა ლიგის მატჩში საგოლე პასი გააკეთა. თუმცა ის ამ სეზონში პირველი მეკარე არ არის, ვინც ეს მოახერხა - პირველად „ასისტი" დიეგო კონდემ („ვილიარეალი") შეძლო „ატლეტიკოს" წინააღმდეგ მატჩში.**

*** ვინისიუს ჟუნიორმა („რეალი") ლა ლიგაში ჰეთ-თრიკი 2022 წლის მაისის მერე პირველად შეასრულა.**

*** ვინისიუსმა ოქტომბერ-ნოემბერში ყველა შეჯიბრებაში 9 გოლი გაიტანა, ევროპის ტოპლიგების წარმომადგენლებში მასზე მეტი გოლი დროის ამ პერიოდში მხოლოდ რობერტ ლევანდოვსკის („ბარსელონა") ანგარიშზეა - 12.**

*** ხულიან ალვარესმა „ატლეტიკოს" მაისურით პირველ 18 თამაშში (ყველა შეჯიბრი) 7 გოლი გაიტანა, ასეთი სტარტი ლუის სუარესის (2021, 11 გოლი) მერე კლუბში არავის ჰქონია.**

*** იანხელ ერერამ („ჟირონა") ამ სეზონში მე-2 გოლი გაიტანა ლა ლიგაში და ორივე - თავით. ამ სტილში ჩემპიონატში მეტი გოლი მხოლოდ ტიერნო ბარის („ვილიარეალი") აქვს გატანილი - 3.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სერია A
### რომამ შეცდომა აღიარა...

„მილანმა" შესანიშნავად ითამაშა „რეალთან" გასვლით შეხვედრაში, დამსახურებულად მოიგო და ბევრი ელოდა, რომ „კალიარისთან" გასვლით შეხვედრაშიც გაილაღებდა, მაგრამ... ფრეს დასჯერდა - 3:3. მილანელთა რიგებში შესანიშნავი იყო **რაფაელ ლეაუ**, ვინც დუბლი მიითვალა.

ტურინულ დერბიში „იუვენტუსმა" სრულიად დამსახურებულად მოუგო „ტორინოს". ანგარიში **ტიმოთი ვეამ** გახსნა, მეორე გოლი კი თურქმა სუპერტალანტმა, **ქენან ილდიზმა** შეაგდო, ვინც მაღალი შეფასებებიც მიიღო.

შესანიშნავ ფორმაში მყოფი „ატალანტა" შინ აგებდა „უდინეზესთან", მაგრამ **ჯან პიერო გასპერინის** მიერ გაწვრთნილმა გუნდმა მეორე ტაიმში ჩვეულად ლაღი და, რაც მთავარია, შედეგიანი ფეხბურთი აჩვენა, ორი უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს და მორიგი 3 ქულა მიითვალა.

კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა „ფიორენტინამ", რომელმაც დამაჯერებლად მოუგო „ვერონას". ჰეთ-თრიკი შეასრულა **მოიზეს კინმა**. „რომამ" შინ 2:3 წააგო „ბოლონიასთან", რასაც კიდევ ერთი მწვრთნელი შეეწირა - ოფიციალური ინფორმაციით, **ივან იურიჩი** გათავისუფლებულია და ახალი მწვრთნელის ძიებაც დაწყებულია.

როგორ წერენ, არ არის გამორიცხული, ვაკანტური პოსტი დაიკავოს **რობერტო მანჩინიმ**, ვინც ახლახან წამოვიდა საუდის არაბეთის ნაკრებიდან. სხვათა შორის იტალიის ნაკრების ექსმწვრთნელმა არც უარყო და არც დაადასტურა „რომაში" დანიშვნის შესაძლებლობა.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „რომას" ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ **დანიელე დე როსის** გათავისუფლებით შეცდომა დაუშვა.

ტურის ცენტრალურ მატჩში „ინტერმა" და „ნაპოლიმ" „ჯუზეპე მეაცაზე" ქულები გაიყვეს - 1:1. მასპინძელს შეეძლო მოგება, **ჰაკან ჩალჰანოღლუს** პენალტის ნიშნულიდან ძელისთვის რომ არ მოერტყა ბურთი.

### ფაქტები

*** „ატალანტამ" ბოლო 11 საშინაო შეხვედრიდან თითოეულში გაიტანა, სულ მცირე, 2 გოლი . ეს ბერგამოელებისთვის საუკეთესო შედეგია 2020 წლის შემდეგ.**

*** მიმდინარე სეზონში „იუვენტუსმა" 9 მატჩში შეინახა კარი „მშრალად". ეს საუკეთესო შედეგია ევროპის ტოპ-5 ჩემპიონატებში მოასპარეზე გუნდებს შორის.**

*** 19 წლის და 189 დღის კენან ილდიზი გახდა „იუვენტუსის" მესამე ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე ტურინულ დერბიში.**

*** „კალიარისთან" შესრულებული დუბლის შემდეგ იტალიის ჩემპიონატში რაფაელ ლეაუს ანგარიშზე 50 გოლია. ბოლოს მან დუბლი 2023 წლის 4 ივნისს შეასრულა „ვერონასთან" მატჩში.**

*** „ატალანტასა" და „ბარსელონას" შემდეგ „ფიორენტინა" არის მესამე გუნდი ევროპის ტოპ-5 ჩემპიონატებში, რომელმაც მიჯრით 6 მატჩის მოგება მოახერხა. „ბარსელონამ" ეს 7 შემთხვევაში შეძლო, „ატალანტამ" კი 6-ში.**

**ალეკო კაკაურიძე**

## ბუნდესლიგა
### ბაიერნი კონკურენტებს გაექცა

მიუნხენის „ბაიერნმა", რომელმაც ყველა მიაჩვია საშინაო არენაზე დიდი ანგარიშით მოგებებს, ჰამბურგში მოკრძალებულად გაიმარჯვა. თუმცა, **ჯამალ მუსიალამ** ისეთი გოლი გაიტანა, სამ-ოთხ ჩვეულებრივ გოლს უდრიდა. მეტოქის ნახევარზე ართმევის შემდეგ, მიუნხენელმა ნახევარმცველმა 25 მეტრიდან ულამაზესი ტრაექტორიით დაარტყა. ყველაფერი ამით შემოიფარგლა - ამჯერად არ ყოფილა შედეგიანობის ახალი რეკორდები „ბაიერნისგან" და **ჰარი კეინისგან**. სამაგიეროდ, პირველ 10 ტურში 26 ქულა - საუკეთესო გრაფიკია „ბაიერნის" ისტორიაში.

ბოლოადგილოსანმა „ბოხუმმა" შინ 0:5 წააგო „ბაიერნთან", რის შემდეგაც განადგურდა „აინტრახტთან" (2:7). ამ შედეგების ფონზე, აუთსაიდერი თითქოს უშანსოდ იყო „ლევერკუზენის" წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ჩემპიონმა სწრაფი გოლი გაიტანა. მაგრამ წლევანდელი „ლევერკუზენი" აღარ ჰგავს შარშანდელს - სადღაც გაქრა მკვლელის ინსტინქტი და ბოლო წუთების მაგია.

**ნური შაჰინს** „დორტმუნდში" პარადოქსული სეზონი გამოსდის. ერთი მხრივ, მან ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა, როცა სეზონი ყველა ტურნირზე შვიდი საშინაო მოგებით დაიწყო. მეორე მხრივ, „დორტმუნდს" პრობლემები აქვს გასვლაზე. ბრემენში უგოლო ფრის შემდეგ იყო წაგება „შტუტგარტთან", „უნიონთან" და „აუგსბურგთან". მაინცში სიტუაცია არ გამოსწორებულა. პრობლემები უკვე პირველი ტაიმის შუაში გაჩნდა, როცა წითელი ბარათი მიიღო **ემრე ჯანმა**. მასპინძლების პირველ გოლს „დორტმუნდმა" **გირასის** პენალტით უპასუხა, მაგრამ „მაინცმა" ჯერ კიდევ შესვენებამდე დაიბრუნა ანგარიშში უპირატესობა, შესვენების შემდეგ კი გაზარდა სხვაობა. „დორტმუნდი" ისევ გავარდა ევროთასების ზონიდან.

### ფაქტები

*** „ბაიერნს" 4-მატჩიანი მოგებების სერია აქვს, ამასთან, 10 ტურია არ მარცხდება.**

*** „ბაიერნი" 4 ტურია გოლს არ უშვებს, რაც 6 წელია არ მომხდარა.**

*** „ბაიერნი" 5 ქულით უსწრებს „ლაიპციგს". ამ სეზონში პირველ და მეორე გუნდებს შორის ამხელა სხვაობა არ ყოფილა.**

*** „ბაიერნმა" მე-7 გოლი გაიტანა ამ სეზონში საჯარიმოს გარედან დარტყმით. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ლიგაში.**

*** ჯამალ მუსიალამ ამ სეზონში ხუთივე გოლი სტუმრად გაიტანა. აქედან სამჯერ მისი გოლების შემდეგ ანგარიში გახდა 1:0.**

*** მუსიალამ ბოლო 5 ოფიციალურ მატჩში 6 გოლი გაიტანა.**

*** „ბაიერნში" გადასვლის შემდეგ ჰარი კეინმა ბუნდესლიგაში 19 გუნდის წინააღმდეგ ითამაშა. „სანკტ პაული" ერთადერთია, რომელსაც ინგლისელმა ვერ გაუტანა.**

*** „ლაიპციგმა" და „გლადბახმა" პირველად ითამაშეს ერთმანეთში უგოლო ფრე.**

*** „ლევერკუზენმა" ბოლო 6 ტურში 5 ფრე ითამაშა.**

*** „ლევერკუზენმა" ამ სეზონში ვერ შეძლო გასავარდნ ზონაში მყოფი გუნდების დამარცხება - „კილთან" და „ბოხუმთან".**

*** „ლევერკუზენმა" სეზონში მეხუთედ ვერ მოიგო, როცა ანგარიშში დაწინაურებული იყო.**

*** „დორტმუნდმა" ზედიზედ მეოთხედ და ბოლო 7 მატჩში მეექვსედ წააგო სტუმრად.**

**გიორგი თვალია**

ჩემპიონთა ლიგა 2024/25. ლიგის ფაზა. IV ტური

# კიტეიშვილი მეკარის როლში, რეალის ჯალათი მორატა და სიტის მძლეველი ამორიმი, რომელიც იუნაიტედში თავაწეული მიდის!

**სამშაბათს** ჩემპიონთა ლიგაში ძალიან საინტერესო შედეგები დაფიქსირდა, რომელთაგან, პირველ რიგში, „მანჩესტერ სიტის" ლისაბონური მარცხის უნდა გამოვყოთ. ყველა ტურნირის ჩათვლით, **პეპ გვარდიოლას** გუნდმა ზედიზედ მე-3 მარცხი იწვნია.

ამას გარდა, ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც უნდა გავუსვათ ხაზი - „სიტი" დაამარცხა იმ **რუბენ ამორიმმა** (რა თქმა უნდა, **ვიქტორ დიოკერეშის** ჰეთ-თრიკი არ გვავიწყდება), რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მუშაობს მეორე მანჩესტერულ გრანდში. ასე რომ, 39 წლის პორტუგალიელი სპეციალისტი ახალ სამსახურში თავაწეული მიდის...

ბევრი უცნაური რამ ვნახეთ ამ ტურში, მათ შორის, კარში ჩამდგარი **ოთარ კიტეიშვილი,** რომელმაც დორტმუნდელთა ერთ-ერთი იერიშის დროს ლამის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. „შტურმის" ქართველი კაპიტანი ერთ მომენტში ბოლო მცველადაც მოგვევლინა. შეფასებები: Flashscore - 6,8; Sofascore - 7,5; Whoscored - 7.5.

**გურამ კაშიას** „სლოვანი" შინ ულაპარაკოდ დამარცხდა ზაგრების „დინამოსთან" - 1:4. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, რომელმაც ყვითელი ბარათი მიიღო და „მილანთან" მომდევნო ტურის საშინაო მატჩს გამოტოვებს, ასეთი შეფასებები მიიღო: Flashscore - 6,2; Sofascore - 6,1; Whoscored - 5,6.

„ელ კლასიკოში" მარცხმა უკვალოდ არ ჩაიარა და „რეალმა" „მილანთანაც" წააგო საშინაო მატჩი, რამაც კიდევ ერთხელ გამოაჩინა **კარლო ანჩელოტის** გუნდის სისუსტეები დაცვაში. ესეც არ იყოს, „პაპა კარლოსთვის" ყოფილის კლუბისგან (ვისთან ერთადაც ორჯერ აქვს მოგებული ჩემპიონთა ლიგა) ალიყური განსაკუთრებით მწარე იქნებოდა.

„ლივერპულმა" ბრწყინვალე მეორე ტაიმი ჩაატარა და **ლუის დიასის** ჰეთ-თრიკის წყალობით პირდაპირ გადაუარა გერმანიის ჩემპიონს.

### ეინდჰოვენი–ჟირონა 4:0

**გოლები**: 1:0 ფლამინგო (16. ტილმანის პასით), 2:0 ტილმანი (33. ლანგის პასით), 3:0 ბაკაიოკო (83), 4:0 კრეიჩი (89-საკ. კარში)

**ეინდჰოვენი (4-3-3)**: ბენიტესი - კარსდორპი (71. საიბარი), ფლამინგო, ბოსკალი, დამსი (71. ოპეგარდი) - ტილი (85. ბაბადი), მაურო ჟუნიორი, ტილმანი - ბაკაიოკო, ლანგი (63. დრიუეში), ნ. დე იონგი (85. პეპი)

**ჟირონა (4-3-2-1)**: გასანიგა - ა. მარტინესი, დ. ლოპესი, კრეიჩი, ბლინდი - კლუა (79. ჟასტინი), ერერა (61. რომეუ), ვან დე ბეეკი (61. ხუანპე) - ხილი (79. კიმი), გუტიერესი - მიოვსკი (67. სტუანი)

**გაძევება**: ა. მარტინესი (55. ჟირონა)

### სლოვანი–დინამო (ზ) 1:4

**გოლები**: 1:0 სტრელეცი (5. მარცელის პასით), 1:1 სპიკიჩი (10), 1:2 სუჩიჩი (30. პიაცას პასით), 1:3 კულენოვიჩი (54), 1:4 კულენოვიჩი (72. პიაცას პასით)

**სლოვანი (4-2-3-1)**: ტაკაჩი - ბლექმენი, კაშია (79. ვოიტკო), ბაირიჩი, ვუტი - იგნატენკო, სავიდისი (72. მაკი) - ბარსეგიანი (87. გაიდოში), ტოლიჩი, მარცელი (72. მეცოკო) - სტრელეცი (87. მუსტაფიჩი)

**დინამო (4-2-3-1)**: ზაგორაცი - რისტოვსკი, თეოფილ-კატერინი, ტორენტე, ოგივარა (75. პიერ-გაბრიელი) - სუჩიჩი (87. კასავენდა), მიშიჩი - სპიკიჩი (75. ბერნაუერი), ბატურინა (64. ადემი), პიაცა (87. ჰოჯა) - კულენოვიჩი

### ბოლონია–მონაკო 0:1

**გოლი**: 0:1 კერერი (86. ემბოლოს პასით)

**ბოლონია (4-2-3-1)**: სკორუპსკი - პოში, ბეუკემა, ლუკუმი, მირანდა (90+2. ოდგაარდი) - ფროილერი, მორო (46. პობეგა) - აილინგ ჟუნიორი (68. ორსოლინი), ფაბიანი (81. ფერგიუსონი), ნდოიე - კასტრო (68. დალინგა)

**მონაკო (4-2-3-1)**: მაიესკი - ვანდერსონი, სინგო, კერერი, მავისა ელები (78. კაიო ენრიკე) - მაგასა, ლ. კამარა (78. მატაცო) - აკლიუში, გოლოვინი, ბენ სეგირი (71. მინამინო) - ემბოლო

### სელტიკი–ლაიპციგი 3:1

**გოლები**: 0:1 ბაუმგარტნერი (23. კამპლის პასით), 1:1 კიუნი (35. ენგელსის პასით), 2:1 კიუნი (45+1. ტეილორის პასით), 3:1 ჰატატე (72)

**სელტიკი (4-3-3)**: შმეიხელი - ა. ჯონსტონი, კარტერ-ვიკერსი (73. სქეილზი), ტრასტი, ტეილორი (67. ვალე) - ენგელსი (67. ბერნარდო), მაკგრეგორი, ჰატატე - კიუნი (73. იან ჰიუნ-ჯუნი), ფურუჰაში (81. იდა), მაედა

**ლაიპციგი (4-4-2)**: გულაში - გეერტრუიდა, ორბანი, ბიტშიაბუ, ჰენრიხსი - ნუსა (68. ელმასი), ჰაიდარა (76. ზაივალდი), კამპლი, ბაუმგარტნერი (76. უედრაოგო) - შეშკო (68. პოულსენი), ოპენდა (81. ანდრე სილვა)

### დორტმუნდი–შტურმი 1:0

**გოლი**: 1:0 მალენი (85. გირასის პასით)

**დორტმუნდი (4-5-1)**: მაიერი - გროსი, ემრე ჯანი, შლოტერბეკი, ბენსებაინი - ბაიერი (89. აზილი), ზაბიტცერი (67. მალენი), ნმეჩა, ბრანდტი, გიტენსი (77. კემპბელი) - გირასი

**შტურმი (4-3-1-2)**: სხერპენი - მ. ჯონსტონი (60. გაიჰოფერი), აივუ, ლავალი, გაზიბეგოვიჩი - იალკუიე, ჩუკვუანი, კიტეიშვილი (90. ჰორვატი) - ბოვინგი - ბირეტი (75. იარდიმჩი), იატა (46. ზვონარეკი)

### ლილი–იუვენტუსი 1:1

**გოლები**: 1:0 დავიდი (27. ჟეგროვას პასით), 1:1 ვლაჰოვიჩი (60-პენ)

**ლილი (4-4-2)**: შევალიე - მანდი, დიაკიტი, ალეშანდრო, გუდმუნდსონი (81. ბაკერი) - ჟეგროვა, ანდრე, ბუადი, საჰრაუი (87. ფერნანდეს-პარდო) - დავიდი, ა. გომესი (55. მუკაუ)

**იუვენტუსი (4-2-3-1)**: დე გრეგორიო - კაბალი (68. სავონა), გატი, კალულუ, კამბიაზო - ლოკატელი, ხ. ტურამი (68. მაკკენი) - კონსეისაო, კოოპმეინერსი, ილდიზი (81. მბანგულა) - ვლაჰოვიჩი (68. ვეა)

### ლივერპული–ლევერკუზენი 4:0

**გოლები**: 1:0 ლუის დიასი (61. ჯოუნსის პასით), 2:0 გაკპო (63. მ. სალაჰის პასით), 3:0 ლუის დიასი (83. მ. სალაჰის პასით), 4:0 ლუის დიასი (90+2)



**ლივერპული (4-3-3)**: კელეჰერი - ალექსანდერ-არნოლდი (81. ბრედლი), კონატე (88. კუანსა), ვან დეიკი, ციმიკასი (81. რობერტსონი) - ჯოუნსი (74. სობოსლაი), გრავენბერხი, მაკ ალისტერი - ლუის დიასი, მ. სალაჰი, გაკპო (80. დ. ნუნიესი)

**ლევერკუზენი (5-2-3)**: ჰრადეცკი - ფრიმპონგი, ტაპსობა, ტა, ინკაპიე, გრიმალდო (81. ტელა) - პალასიოსი (73. ჰოფმანი), ჯაკა - ვირტცი, ალეიშ გარსია (73. ანდრიხი), ბონიფასი (81. შიკი)

### რეალი–მილანი 1:3

**გოლები**: 0:1 ტიავი (12. პულიშიჩის პასით), 1:1 ვინისიუსი (23-პენ), 1:2 მორატა (39), 1:3 რეინდერსი (73. ლეაუს პასით)

**რეალი (4-3-3)**: ლუნინი - ვასკესი, მილიტაო, რიუდიგერი, მენდი (74. ფრან გარსია) - ვალვერდე (46. კამავინგა), ჩუამენი (46. ბრაჰიმ დიასი), მოდრიჩი (63. სებალიოსი) - ბელინგემი (74. როდრიგო), ვინისიუსი, მბაპე

**მილანი (4-3-3)**: მენიანი - ემერსონი (90+3. კალაბრია), ტიავი, ტომორი, ერნანდესი - მუსა (90+3. პავლოვიჩი), ი. ფოფანა, რეინდერსი - პულიშიჩი (70. ლოფტუს-შიკი), ლეაუ (77. ოკაფორი), მორატა (70. აბრაჰამი)

### სპორტინგი–მან. სიტი 4:1

**გოლები**: 0:1 ფოდენი (4), 1:1 დიოკერეში (38. კუენდას პასით), 2:1 არაუხო (46. გონსალვეშის პასით), 3:1 დიოკერეში (49-პენ), 4:1 დიოკერეში (81-პენ)

**გამოუყენებელი პენალტი**: ჰალანდი (69. ძელი)

**სპორტინგი (3-4-3)**: იზრაელი - დებასტი, დიომანდი, მატეუშ რეისი (75. სენტ ჯუსტი) - კუენდა (85. კვარეშმა), ჰიულმანდი, მორიტა (75. ბრაგანსა), არაუხო (75. კატამო) - ტრინკაო (88. ჰარდერი), გონსალვეში, დიოკერეში

**სიტი (4-1-4-1)**: ედერსონი - ლიუისი, აკანჯი, სიმპსონი, გვარდიოლი - კოვაჩიჩი (85. დე ბრუინი) - ფოდენი, ბერნარდო სილვა (77. გიუნდოგანი), სავინიო (77. დოკუ), მატეუშ ნუნიეში - ჰალანდი

### ბრიუგე–ასტონ ვილა 1:0

**გოლი**: 1:0 ვანაკენი (52-პენ)

**ბრიუგე (4-3-3)**: მინოლე - სეისი, ორდონესი, მეშელი, დე კუიპერი - ნილსენი (75. ვეტლესენი), ვანაკენი, ჯაშარი - სკოვ ოლსენი (71. თალბი), ცოლისი (75. მეიერი), ჟუტგლა (89. ვერმანტი)

**ასტონ ვილა (4-2-3-1)**: ე. მარტინესი - დიეგო კარლოსი (80. ნედელკოვიჩი), კონსა, მინგსი (66. პაუ ტორესი), მაატსენი - ბ. კამარა, ტილემანსი - მაკგინი (58. დურანი), როჯერსი (66. რემზი), ბაილი - უოტკინსი (80. ბუენდია)

### შახტარი–იანგ ბოიზი 2:1

**გოლები**: 0:1 იმერი (27. ნიასის პასით), 1:1 ზუბკოვი (31. სუდაკოვის პასით), 2:1 სუდაკოვი (41. ეგინალდოს პასით)

**შახტარი (4-3-3)**: რიზნიკი - კონოპლია, ბონდარი, მატვიენკო, პედრინიო - ბონდარენკო (90+2. ფრანიჩი), კრისკივი (90+2. სტეპანენკო), სუდაკოვი - ზუბკოვი, კევინი (79. მარლონი), ეგინალდო (68. სიკანი)

**იანგ ბოიზი (4-4-2)**: კელერი - ათეკამი, ლაუპერი (62. სმითი), ბენიტო (33. ლაკომი), ბლუმი - მალესი (62. ელია), უგრინიჩი, ნიასი, კოლი (62. ვირჯინიუსი) - იმერი (46. მონტეირო), განვულა

### ბაიერნი–ბენფიკა 1:0

**გოლი**: 1:0 მუსიალა (67. კეინის პასით)

**ბაიერნი (4-2-3-1)**: ნოიერი - კიმიხი, კიმი, უპამეკანო, დევისი - პალინია, ლაიმერი - გნაბრი (72. კომანი), მუსიალა (90+2. მიულერი), ოლისე (56. სანე) - კეინი

**ბენფიკა (5-3-2)**: ტრუბინი - კაბორე (46. ბესტე), არაუხო, ოტამენდი, ანტონიო სილვა, კარერასი - ქოქჩუ (79. კაბრალი), რენატო სანჩესი (86. როლჰაიზერი), აურსნესი - აქთიურქოღლუ (56. დი მარია), ამდუნი (46. პავლიდისი)

### ცრვენა ზვეზდა–ბარსელონა 2:5

**გოლები**: 0:1 ი. მარტინესი (13. რაფინიას პასით), 1:1 სილასი (27. კრუნიჩის პასით), 1:2 ლევანდოვსკი (43. რაფინიას პასით), 1:3 ლევანდოვსკი (53. კუნდეს პასით), 1:4 რაფინია (55. კუნდეს პასით), 1:5 ფერმინ ლოპესი (76. კუნდეს პასით), 2:5 მილსონი (84. სეოლის პასით)

**ცრვენა ზვეზდა (4-3-2-1)**: ილიჩი - სეოლი, სპაიჩი, ჯიგა, როდიჩი (59. მილსონი) - კანგა (72. დალსიო), ელშნიკი, კრუნიჩი - სილასი (82. პრუცევი), მაქსიმოვიჩი (72. ილიჩი) - ნდიაიე (82. კატაი)

**ბარსელონა (4-2-3-1)**: პენია - კუნდე, კუბარსი (67. დომინგესი), ი. მარტინესი, მარტინი - ფ. დე იონგი (67. გავი), კასადო - იამალი, პედრი (58. ოლმო), რაფინია (58. ფერმინ ლოპესი) - ლევანდოვსკი (78. ვიქტორი)

### ფეიენოორდი–ზალცბურგი 1:3

**გოლები**: 0:1 კონატე (45+2. გლუხის პასით), 0:2 კონატე (58. პიატკოვსკის პასით), 1:2 ჰაჯი მუსა (81), 1:3 გუინდო (86. გლუხის პასით)

**გამოუყენებელი პენალტი**: კონატე (85. ძელი)

**ფეიენოორდი (4-3-3)**: ველენროიტერი - ლოტომბა (46. ნაჯე), ტრაუნერი, ჰანჩკო, ბუენო - ჰვანი, ივანუშეცი (90. ზეხილი), კ. ტიმბერი (68. ბეელენი) - ნიუვკოოპი (68. სმალი), პაიშაუ, ოსმანი (46. ჰაჯი მუსა)

**ზალცბურგი (4-3-3)**: ბლასვიხი - კაპალდო (90+1. მორგალა), პიატკოვსკი, ბაიდუ, ტერზიჩი - კლარკი, გურნა-დუატი (81. გუინდო), დიამბუ - ნენე (81. იეო), გლუხი, კონატე (90+4. დაგიმი)

**გაძევება**: ნაჯე (80. ფეიენოორდი)

### ინტერი–არსენალი 1:0

**გოლი**: 1:0 ჩალჰანოღლუ (45+3-პენ)

**ინტერი (3-5-2)**: ზომერი - პავარი, დე ვრეი, ბისეკი - დუმფრისი, ფრატეზი (61. ბარელა), ჩალჰანოღლუ (71. ასლანი), ჟელინსკი (62. მხითარიანი), დარმიანი - ლ. მარტინესი (62. მ. ტურამი), თარემი (79. დიმარკო)

**არსენალი (4-3-3)**: რაია - უაითი, სალიბა, გაბრიელი, ი. ტიმბერი (82. ზინჩენკო) - ჰავერტცი (90+2. ედეგორი), პარტეი, მერინო (46. გაბრიელ ჟეზუში) - საკა, მარტინელი, ტროსარი (82. ნვანერი)

### პსჟ–ატლეტიკო 1:2

**გოლები**: 1:0 ზაირ-ემერი (14. დემბელეს პასით), 1:1 მოლინა (18), 1:2 ანხელ კორეა (90+3. გრიზმანის პასით)

**პსჟ (4-3-3)**: დონარუმა - ჰაკიმი, მარკინიოსი, პაკო, მენდეში - ზაირ-ემერი (73. კოლო მუანი), ვიტინია, ნევეში (67. ფაბიან რუისი) - დემბელე (90. დუე), ბარკოლა, ასენსიო (67. კან-ინ ლი)

**ატლეტიკო (5-3-2)**: ობლაკი - სიმეონე (60. რიკელმე), მოლინა, ვიტსელი, ლენგლე, გალანი (60. მანდავა) - გალაჰერი (78. ლინო), დე პაული (60. კოკე), ბარიოსი - ხ. ალვარესი (67. ანხელ კორეა), გრიზმანი

### სპარტა–ბრესტი 1:2

**გოლები**: 0:1 ფერნანდეში (37), 0:2 კაირინენი (80-საკ. კარში), 1:2 ოლატუნჯი (90+2. სადილეკის პასით)

**სპარტა (3-4-3)**: ვინდალი - ვიტიკი, პანაკი, კობაუტი - ვისნერი, ლაჩი (85. სუხომელი), კაირინენი (85. სოლბაკენი), რინეში (85. სადილეკი) - პეშეკი (78. ტუჩი), რაჰმანი (64. დანეკი), ოლატუნჯი

**ბრესტი (4-1-3-2)**: ბიზო - ლალა, შარდონე, კულიბალი, ჰაიდარა - ლის-მელუ - მ. კამარა (81. მარტინი), დუმბია (81. ი. სალაჰი), ფერნანდეში (81. მანიეტი) - აჟორკი, ბალდე (74. პერეირა)

### შტუტგარტი–ატალანტა 0:2

**გოლები**: 0:1 ლუქმენი (51. დე კეტელერის პასით), 0:2 ძანიოლო (88)

**შტუტგარტი (4-2-3-1)**: ნუბელი - ვაგნომანი, ჩეიზი (81. შტენცელი), რუო, მიტელშტედტი - კარაზორი (74. რიდლერი), შტილერი - მილო, უნდავი (56. დემიროვიჩი), ფიურიხი (74. შაბო) - ტურე (80. მალანგა)

**ატალანტა (3-4-1-2)**: კარნეზეკი - ჯიმშიტი, ჰიენი, კოლაშინაცი (13. კოსუნუ) - ბელანოვა (85. რუჯერი), დე როონი, ედერსონი, ძაპაკოსტა - პაშალიჩი (46. დე კეტელერი) - ლუქმენი (85. ბრეშანინი), რეტეგი (69. ძანიოლო)

## ფაქტები

*** ვიქტორ დიოკერეშს („სპორტინგი") არის ფეხბურთელი, რომელსაც ყველაზე მეტი გოლი და „ასისტი" აქვს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში - 5+1. ის ასევე არის მეორე შვედი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ-თრიკი შეასრულა ზლატან იბრაჰიმოვიჩთან ერთად.**

*** მხოლოდ მესამე შემთხვევაა, რომ პეპ გვარდიოლას გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში 4 გოლი გაუშვა. აქამდე, ეს მოხდა 2014 წლის აპრილში, როცა „ბაიერნი" 0:4 დამარცხდა „რეალთან", და 2016 წლის ოქტომბერში, როცა „მანჩესტერ სიტიმ" ასევე 0:4 წააგო „ბარსელონასთან".**

*** „ჟირონამ" 4 ავტოგოლი გაიტანა ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მხოლოდ 4 მატჩში, რაც რეკორდია ტურნირის ისტორიაში.**

*** „რეალს" 7 მატჩი აქვს წაგებული „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის ეგიდით. „სამეფო კლუბი" უფრო მეტჯერ მხოლოდ „ბაიერნთან" (11) და „იუვენტუსთან" (9) დამარცხდა.**

*** „მილანი" პირველი გუნდია, რომელმაც „რეალს" 2-ჯერ გაუტანა 3 გოლი „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემპიონთა ლიგის მატჩში. პირველად, ეს 2009 წლის ოქტომბერში მოხდა.**

*** „რეალმა" „მილანისგან" 9 დარტყმა გაუშვა კარის ჩარჩოში, რაც ყველაზე მეტია მადრიდული კლუბისთვის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საშინაო თამაშში 2003/04 წლების სეზონის შემდეგ.**

*** „რეალმა" ზედიზედ ორ საშინაო მატჩში 3 (ან მეტი) გოლი პირველად გაუშვა 2009 წლის მაისის შემდეგ - „ბარსელონასთან" 2:6 და „მალიორკასთან" 1:3. საინტერესოა, რომ ამჟამინდელი ორი მატჩიდანაც ერთ-ერთი „ელ კლასიკო" (0:4) იყო.**

*** პირველად, 2018/19 წლების სეზონის (ცსკა, „აიაქსი", „ბრიუგე") შემდეგ, „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ 2 საშინაო მატჩის პირველ ტაიმში 2 (და მეტი) გოლი გაუშვა.**

*** ალვარო მორატამ „რეალს" ყველა ტურნირზე ნათამაშებ 13 მატჩში 7 გოლი გაუტანა, რაც მისთვის საუკეთესო მაჩვენებელია კარიერაში ერთი კონკრეტული კლუბის წინააღმდეგ. ამასთანავე, მორატამ „რეალის" უშუალოდ ჩემპიონთა ლიგაში უფრო მეტჯერ აიღო „სამეფო კლუბის" კარი, ვიდრე სხვა ესპანელმა ფეხბურთელმა - 3.**

*** „არსენალმა", ყველა ტურნირის ჩათვლით, ბოლო 6 მატჩიდან 3 წააგო - იმდენი, რამდენიც წინა 32 შეხვედრაში.**

*** „ბარსელონამ", ამ სეზონის ყველა ტურნირის ჩათვლით, პირველ 16 მატჩში 55 გოლი გაიტანა, რაც ამ კლუბის ისტორიაში ახალი რეკორდია. აქამდე, საუკეთესო შედეგი იყო 54 გოლი 1950/51 წლების სეზონში.**

*** ლუის ენრიკემ, როგორც მწვრთნელმა, „ატლეტიკოს" წინააღმდეგ ყველა ტურნირში ჩატარებული 14 მატჩიდან 3 წააგო. უფრო მეტი მარცხი პსჟ-ის მწვრთნელს მხოლოდ „ბილბაოსთან" მატჩებში აქვს განცდილი - 4.**

*** „ატალანტამ" ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ჩატარებული მატჩების 54% მოიგო (13-დან 7). ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია იმ გუნდებს შორის, რომელთაც ტურნირში გასვლაზე მინიმუმ 10 თამაში აქვთ ჩატარებული.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| 2. სპორტინგი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| 3. მონაკო | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 10 |
| 4. ბრესტი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| 5. ინტერი | 4 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 10 |
| 6. ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 15:5 | 9 |
| 7. დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 13:6 | 9 |
| 8. ასტონ ვილა | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| 9. ატალანტა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:0 | 8 |
| 10. მან. სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| 11. იუვენტუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| 12. არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 7 |
| 13. ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 14. ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 15. სელტიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:9 | 7 |
| 16. დინამო ზ | 4 | 2 | 1 | 1 | 10:12 | 7 |
| 17. ბაიერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 11:7 | 6 |
| 18. რეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:7 | 6 |
| 19. ბენფიკა | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| 20. მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| 21. ფეიენოორდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 6 |
| 22. ბრიუგე | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| 23. ატლეტიკო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:9 | 6 |
| 24. ეინდჰოვენი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:5 | 5 |
| 25. პსჟ | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 26. სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 27. შტუტგარტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 28. შახტარი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 29. ჟირონა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| 30. ზალცბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| 31. ბოლონია | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | 1 |
| 32. ლაიპციგი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:9 | 0 |
| 33. შტურმი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |
| 34. იანგ ბოიზი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |
| 35. ცრვენა ზვეზდა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:16 | 0 |
| 36. სლოვანი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |

**ბომბარდირები**: 5 - რაფინია (ბარსელონა), ჰ. კეინი (ბაიერნი), ვ. დიოკერეში (სპორტინგი), რ. ლევანდოვსკი (ბარსელონა)

### V ტური

**სამშაბათი, 26 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-მილანი | 21:45 |
| სპარტა-ატლეტიკო | 21:45 |
| ბარსელონა-ბრესტი | 23:59 |
| ლევერკუზენი-ზალცბურგი | 23:59 |
| ბაიერნი-პსჟ | 23:59 |
| ინტერი-ლაიპციგი | 23:59 |
| მან. სიტი-ფეიენოორდი | 23:59 |
| სპორტინგი-არსენალი | 23:59 |
| იანგ ბოიზი-ატალანტა | 23:59 |

**ოთხშაბათი, 27 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ცრვენა ზვეზდა-შტუტგარტი | 21:45 |
| შტურმი-ჟირონა | 21:45 |
| ასტონ ვილა-იუვენტუსი | 23:59 |
| ბოლონია-ლილი | 23:59 |
| სელტიკი-ბრიუგე | 23:59 |
| დინამო (ზ)-დორტმუნდი | 23:59 |
| ლივერპული-რეალი | 23:59 |
| მონაკო-ბენფიკა | 23:59 |
| ეინდჰოვენი-შახტარი | 23:59 |

რაგბი. შემოდგომის ტესტები

# ბორჯღალოსნები ოლ ბლექსის მეორე გუნდთან დამარცხდნენ




**საქართველო-ახალი ზელანდია XV 13:31**

**საქართველო (15-9):** ნინიაშვილი, ტაბუცაძე, კვესელაძე, კახოიძე (თაფლაძე 72), თოდუა, მატკავა (აბჟანდაძე 70), ლობჟანიძე (პერანიძე 64); **(1-8):** აბულაძე (ახალაძე 45), კარკაძე (ნიორაძე 68), ქუნთელია (აფციაური 45), ბაბუნაშვილი, ჯავახია (ჯაიანი 57), სპანდერაშვილი, ცუცქირიძე (ივანიშვილი 50), ჯალაღონია

**ლ:** კარკაძე. **2ს,გ:** მატკავა

**მსაჯი:** ჯორდან ვეი (ავსტრალია)

**საქართველოს ნაკრებმა ნოემბრის ტესტების პირველი მატჩი მონპელიეში ახალი ზელანდია XV-ს წინააღმდეგ გამართა და 13:31 დამარცხდა. ანგარიშში სხვაობა ბევრად მცირე იქნებოდა არბიტრს ჩვენი გუნდისთვის საჯარიმო ლელო რომ ჩაეთვალა და სიმწრით გატანილი კიდევ ერთი ლელო არ გაეუქმებინა.**

ალბათ, გადაჭარბებულია, მაგრამ შესაძლოა, მოგვეგო კიდეც, ბორჯღალოსნებს დერეფანი პირწმინდად რომ არ წაეგოთ. ახალზელანდიელები შერკინებაში ასე თუ ისე, დაგვიდგნენ. თუმცა, რამდენჯერმე დავაჯარიმეთ. მიცემულ შანსს მეტოქე მშვენივრად იყენებდა. არადა, ჩენი გუნდი ხშირად უბრალო, ბავშვურ შეცდომებს უშვებდა. ერთი სიტყვით. დისციპლინაში მოვიკქლეთ.

თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ. პირველივე შეტევა, რომელიც 9 წუთს გაგრძელდა შრკინების კვაჭმა **ვანო კარკაძემ** ლელოთი დაასრულა. **ლუკა მატკავამ** გარდასახა - 7:0. მეტოქემ წონასწორობა მალევე აღადგინა. 25-ე წუთზე კი, ანგარიშშიც დაწინაურდა. ტაიმის მიწურულისკენ, როცა ახალზელანდიელები 19:10 იგებდნენ, ბორჯღალოსნებმა იერიში წამოიწყეს. **გიორგი კვესელაძემ** ერთ მომენტში ბურთი ფეხით ლელოში შეაცურა. თითქოს მეტოქეს დაასწრო კიდეც. იგივე მისი ვიზავი ბურთისთვის ბრძოლაში წესსაც არღვევდა, მაგრამ...

საბოლოოდ საჯარიმო მატკავამ გაიტანა და პირველი ნახევარი ექვსი ქულით დავთმეთ - 13:19. მეორე ნახევარში ლელო აღარ გაგვიტანია. უფრო სწორად, გავიტანეთ, მაგრამ გაგვიუქმეს. მონაგარსაც ვერაფერი შევძინეთ. ახალზელანდიელებმა კი, ორი ლელო მიითვალეს და ექვსქულიანი სხვაობა 18-მდე გაზარდეს.

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები გენუაში, 17 ნოემბერს იტალიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს.

რაგბი. ლეგიონი

# ქართველების ორი ლელო მეორე დივიზიონში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-10 ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელშიც ორმა ქართველმა ლელო გაიტანა.

**ლუკა გოგინავასა** და **იოანე იაშალაშვილის** „მონ დე მარსანმა“ შინ მიიღო **გიორგი ძმანაშვილისა** და **ნოდარ შენგელიას** ბასკური „ბიარიცი“ და 33:15 დაამარცხა. მატჩის ანგარიში მე-6 წუთზე ლელოთი გოგინავამ გახსნა. ის 61-ე წუთზე შეცვალეს, იაშალაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, შენგელია ძმანაშვილის ნაცვლად თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო.

„მონ დე მარსანი“ 21 ქულით მე-9 ადგილზეა. „ბიარიცს“ კი 27 ქულა აქვს და მეექვსეა.

**მიხეილ ალანიას, თედო აბჟანდაძის, დაჩი პაპუაშვილის, ბასა ხონელიძის, ირაკლი მჭედლიძისა** და **გიორგი ქართველიშვილის** „ორიაკი“ სტუმრად დამარცხდა ლიდერთან, **თორნიკე ჯალაღონიას** „პროვანსთან“ - 20:39.

ქართველიშვილმა, რომელიც თამაშში 55-ე წუთზე ჩაერთო, 61-ე წუთზე ლელო გაიტანა. ალანია 49-ე წუთზე შეცვალეს, ამავდროულად მოედანზე გამოვიდნენ მჭედლიძე და ხონელიძე.

როგორც უკვე ვთქვით, „პროვანსი“ ლიდერია. ის 31 ქულით „გრენობლთან“ და „მონტობანთან“ ერთად პირველ-მესამე ადგილებს იყოფს.

რაგბი. დიდი 10. VIII ტური

# ლიდერები ისევ წინ მიიწევენ

**საქართველოს ჩემპიონატის მე-8 ტურში ლიდერთა სამეულმა „აიამ“, „არესმა“ და „არმიამ“ თავიანთი მატჩები მოიგეს. მოულოდნელი იყო „აიას“ დიდი ანგარიშით მარცხი ბოლნისის „ყოჩებთან“ - 80:12. ეს ბოლნისელთა გუნდის კრიზისის სერიოზული მაჩვენებელია. ისევ დამარცხდა თბილისის „ლელოც“, რომელსაც, როგორც ჩანს, წლეულს მისთვის უჩვეულო მისიისთვის, დიდი 10-ში დარჩენისთვის ბრძოლა მოუწევს.**

**ხარები-ხვამლი 42:49**

**ხარები:** 5ლ - ტუიტაი (3), სვანიძე, როკონდინონო. 4გ,3ს - პეტრიაშვილი

**ხვამლი:** 6ლ - ვარდოსანიძე (2), ბაიხოძე, კვაბზირიძე, კაკაურიძე, ნეფარიძე

**მსაჯი:** საბა მახარაძე

**არმია-ლელო 32:20**

**არმია:** 4ლ - ნახუცრიშვილი, ი.ქვათაძე (2), ბარბაქაძე. 3გ,2ს - ნინიძე.

სინბინი: ჭურაძე, მაროვია, ხარშილაძე.

**ლელო:** 2ლ - ბოლქვაძე, სპანდერაშვილი. 2გ,2ს - ყიასაშვილი.

სინბინი: მაისურაძე, გელხვიძე

**მსაჯი:** ლუკ მორგანი (აშშ)

**აია-ყოჩები 80:12**

**აია:** 12ლ - დოლიძე, გაბისონია, მბოლა, ნიკოლაძე, კოხოძე, სარალიძე (2), ხონელიძე, მბატირერენგა (2), მეტრეველი, გიგაშვილი. 10გ - ბაბუნაშვილი (5), მახარეიშვილი (4), სიმსივე

სინბინი: ბარათაშვილი

**ყოჩები:** 4ს - ფურცხვანიძე

სინბინი: თორღვაშვილი

**მსაჯი:** შოთა თევზაძე

**ტაო-არესი 32:49**

**ტაო:** 3ლ - საჯარიმო, ნიკოლეიშვილი, მბონგინდრაუ, ბროძელი, 2გ - ზუხბაია, ბროძელი. 2ს - ზუხბაია, ბროძელი.

სინბინი: მანჩხაშვილი, ქუცნაშვილი, ზოიძე, ტურანგათა, ბურჭულაძე

**არესი:** 7ლ - საჯარიმო (3), მარგველაშვილი, ნ.ძნელაძე, გიგაშვილი (2). გ - იაშალაშვილი. 2ს - თევდორაძე.

სინბინი: იავი მაი, იაშალაშვილი, მარგველაშვილი.

**მსაჯი:** საბა აბულაშვილი

**ყაზბეგი-ბათუმი 33:34**

**ყაზბეგი:** 5ლ - მახარაშვილი, ქუშაშვილი, ალიბეგაშვილი, იმნაძე, აბესაძე. 4გ - იმნაძე.

სინბინი: კაციტაძე

**ბათუმი:** 5ლ - ჩხაიძე, თაგაური, ტამბუ, რატუნიარავა, მახათაძე. ს - მიქაძე. 3გ - მიქაძე

**მსაჯი:** პაპუნა ჭიქაბერიძე

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. აია - 32 ქულა, 2. არესი - 30, 3. არმია - 24, 4. ხვამლი - 20, 5. ხარები - 20, 6. ბათუმი - 20, 7. ყაზბეგი - 14, 8. ტაო - 13, 9. ლელო - 11, 10. ყოჩები - 9.**

რაგბი. არჩევნები

# რაგბი ევროპას პრეზიდენტად იანჰეინ პიტერსი აირჩიეს



იანჰეინ პიტერსი

პარიზში, რაგბი ევროპის 106-ე ყოველწლიური ყრილობა გაიმართა, სადაც ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭო აირჩიეს.

რაგბის ევროპის ახალ პრეზიდენტად ნიდერლანდელი **იანჰეინ პიტერსი** აირჩიეს. ის ამ თანამდებობას 2028 წლის მომავალ არჩევნებამდე დაიკავებს. კენჭისყრის შედეგებით მან ხმების 70,8% მიიღო, ხოლო მისმა ოპონენტმა, ფრანგმა **კრისტიან დიულენმა** - 29,2%.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, იანჰაინ პიტერსმა განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია და, ამავდრეულად, უზარმაზარი პასუხისმგებლობაა იყოს რაგბი ევროპის პრეზიდენტი. მან პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს ევროპაში რაგბის პოპულარიზაციისთვის.

შეგახსნებთ, რომ რაგბი ევროპას აქამდე სამი ვადით რუმინელი **ოქტავიან მორარიუ** ხელმძღვანელობდა. პიტერსი პირველი პრეზიდენტია, რომელიც არატრადიციული სარაგბო ქვეყნიდანაა.

რაგბი ევროპის ყრილობამ დირექტორთა ახალი საბჭო აირჩია. სამწუხაროდ, მასში საქართველოს წარმომადგენელი არ არის. სამაგიეროდ არიან ისეთი არასარაგბო ქვეყნებიდან ლატვია, დანია, ხორვატია და მალტა რომ არიან.

რაგბი. U18

# 18-წლამდელთა საევროპო შემადგენლობა ცნობილია

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 2024 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატისთვის 26-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

ტურნირში, რომელიც პრაღაში გაიმართება, ჩვენი გუნდი 16 ნოემბერს ჩაერთვება. პირველი მეტოქე გერმანიის ნაკრებია. გამარჯვების შემთხვევაში, ნახევარფინალში, უმცროსი ბორჯღალოსნები ნიდერლანდებსა და რუმინეთს შორის გამარჯვებულს 19 ნოემბერს ეთამაშებიან. ფინალი კი 23 ნოემბერს გაიმართება.

ჩეხეთში წამსვლელთა შორის შვიდი ისეთი მოთამაშეა, რომლებსაც იტალიასა და სამხრეთ აფრიკაში წლეულს უკვე გამართულ შეჯიბრებებში არ უთამაშიათ. 26 მოთამაშეს შორის ათი 2007 წელსაა დაბადებული და ისინი 18-წლამდელთა ტურნირებში გაისადაც შეძლებენ თამაშს. შემადგენლობაში 7 ლეგიონერია, 19 კი ქართული კლუბებიდანაა. გუნდის კაპიტანი **დავით ბარამია** (ტულონი) იქნება.

**საქართველო U18**

**შერკინება:** დაჩი ჭელიძე (ლელო), საბა კილაძე (ხვამლი), ნიკოლოზ კოროხაშვილი (ლელო), დავით არჩვაძე (ლელო), ანრი შველიძე (ბრივი, საფრანგეთი), არჩილ ნოზაძე (აჟენი, საფრანგეთი), დავით ბარამია (ტულონი, საფრანგეთი), ნიკოლოზ ჩხორთოლია (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი მეფარიშვილი (აია), მიხეილ შიოშვილი (ტულონი, საფრანგეთი), ლუკა ნარსია (აია), ლუკა საღინაძე (ლიონი, საფრანგეთი), გიორგი ზაზაძე (ხარები), გიორგი არძენაძე (ბათუმი);

**უკანა ხაზი:** თემურ ძოძუაშვილი (აია), გოგა უშვერიძე (აია), გიგი სირბილაძე (ლელო), ამირან ბიწკინაშვილი (ლელო), დავით ბარბაქაძე (არმია), დემეტრე დევდარიანი (სენტ მერის კოლეჯი, ინგლისი), ლეონიდე სალდაძე (ლოკომოტივი), დათა ახვლედიანი (ლელო), ნიკოლოზ ხალვაში (ლელო), საბა შარვაშიძე (აია), ივა კვირიკაშვილი (ლელო), ავთანდილ ზვიადაძე (აია).



ფიგურული ციგურაობა



ანასტასია მეტელკინა და ლუკა ბერულავა

# ოქრო ტოკიოს გრან პრის ეტაპიდან

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ისტორიაში პირველად გრან პრის სერიის მეოთხე ეტაპზე ტოკიოში, სპორტულ წყვილებში, ჩვენმა დუეტმა **ანასტასია მეტელკინამ** და **ლუკა ბერულავამ** დიდი კონკურენციის პირობებში პირველი ადგილი დაიკავა.

ტოკიოს გრან პრის ეტაპზე ფავორიტები 2023 წლის მსოფლიოს ჩემპიონები იაპონელი მოციგურავეები **რიკუ მიური** და **რიუჩი კიხარა** იყვნენ. პირველი დღის ანუ მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ მეტელკინა-ბერულავას წყვილი 70,28 ქულით მეორე ადგილზე იყო. პირველ ადგილზე კი 71,90 ქულით იაპონელები გავიდნენ.

თავისუფალი პროგრამა ქართულმა წყვილმა ბრწინვალედ შეასრულა და 142,77 ქულა დაიმსახურა. ჯამში კი 213,05 ქულა დაუგროვდა და მასპინძელთა წყვილს თითქმის 4 ქულით გაასწრო. ეს სეზონის საუკეთესო პერსონალური შედეგია ჩვენი მოციგურავეებისთვის. მესამე ადგილზე ამერიკელები **ელი კამი** და **დენი ოში** გავიდნენ 197,44 ქულით.

ტოკიოში მოპოვებული პირველი ადგილით ჩვენს წყვილს 15 სარეიტინგო ქულა ერგო. ორი ეტაპის ჯამური 24 სარეიტინგო ქულით კი ანასტასია მეტელკინამ და ლუკა ბერულავამ გრან პრის ფინალის საგზური მოიპოვეს, რომელიც 5-8 დეკემბერს საფრანგეთში, გრენობლში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ძიუდო. ევროპის ღია თასი



რომის ტურნირი ვლადიმერ ახალკაცმა მოიგო



მსოფლიოს ჩემპიონი ლუკა მაისურაძე დაბრუნდა

# ქართული ფინალი ევროპის ღია პირველობაზე

რომში ძიუდოისტთა ევროპის ღია თასი გაიმართა. პირველ დღეს მხოლოდ ორი ქართველი ძიუდოისტი მონაწილეობდა, ორივე 73 კგ-მდე წონით კატეგორიაში. ევროპული თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა **ბაგრატ ნინიაშვილმა** პირველივე შეხვედრა წააგო მასპინძელთა მომავალ ფინალისტ ლუკა რუზეკასთან. **გიორგი იანტბელიძემ** პირველ წრეში გაიმარჯვა ფრანგ ლიონელ ბებესთან, მაგრამ მომდევნო პაექრობა დათმო იტალიელთა მომავალ ჩემპიონ ლეონარდო ვალერიანისთან.

აი, გუშინ, ასპარეზობის მეორე დღეს კი ქართული ფინალი ვიხილეთ.

81 კილომდე წონით კატეგორიაში **ვლადიმერ ახალკაცმა** ფინალამდე იტალიელი ლორენცო პაროდი დაამარცხა ვაზარით, ვაზარითვე აჯობა ბულგარელ გეორგი გრამატიკოვს. მეოთხედფინალში ახალკაცმა იპონით აჯობა ნიდერლანდელ ჯოშუა დე ლანგეს, ხოლო ნახევარფინალში ჩეხ იან სვობოდას ვაზარით აჯობა.

თავის მხრივ, ფინალისკენ გზაზე **ირაკლი ბეროშვილმა** ჯერ იტალიელ ნიკოლა ჩარის მოუგო ორი ვაზარით, შემდეგ ასევე დაამარცხა ნიდერლანდელი ჰეგ კოენი. ნახევარფინალში ბეროშვილმა კვლავ იტალიელი, ანდრეა სპიკულია დაამარცხა. ფინალი დროზე ადრე შეწყდა, ბეროშვილი თავით წასვლისთვის დააჯარიმეს და ჩემპიონი ახალკაცი გახდა, ხოლო ბეროშვილი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

90 კილომდე წონით კატეგორიაში სამი ძიუდოისტი გვყავდა, თუმცა განსაკუთრებით ველოდით შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონის **ლუკა მაისურაძის** გამოსვლას, 26 წლის ძიუდოისტი ხომ ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველად ასპარეზობდა. სამწუხაროდ, ლუკამ პირველივე ორთაბრძოლა დათმო ადგილობრივ კენი ბედელთან შიდოებით და ტურნირს გამოეთიშა. 18 წლის **მიხეილ კუპრაშვილმა** ისრაელის წარმომადგენელ იაჰელი ლავის მოუგო, შემდეგ კი მასპინძელ კრისტიანო მინსინესისთან დამარცხდა. **თორნიკე ფოლადაშვილმაც** ერთი ბრძოლა მოიგო, ტომაზო ფავა (იტალია) დაამარცხა, მაგრამ გერმანელ იოჰან ლენცთან ვერას გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## განცხადება

2024 წლის 14 დეკემბერს, ტარდება ა(ა)იპ „საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის“ საანგარიშო ყრილობა.

მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტიდ ქ. 15ა, თბილისის ახალი ოლიმპიური სასახლე. სააქტო დარბაზი.

დელეგატების რეგისტრაცია, 13 საათიდან. ყრილობა დაიწყება.13:30 საათზე.

**დღის წესრიგი**

1. ფედერაციის პრეზიდენტის წლის საანგარიშო მოხსენება;
2. ფედერაციის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში - ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის მოხსენება;
3. სპორტული შედეგების შესახებ -სპორტული კომიტეტის თავჯდომარის მოხსენება;
4. სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელის მოხსენება;
5. ინფორმაცია 2024 წლის სადისციპლინო გადაცდომების შესახებ -სადისციპლინო კომიტეტი;
6. ფედერაციის წევრების, სხვადასხვა დისციპლინარული სასჯელის გამო, წევრობიდან გარიცხვის შესახებ ხმის მიცემის პროცედურა;
7. მოხსენება 2024 წლის 9-11 თებერვალს თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის შესახებ - საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე;
8. 2024 წლის საუკეთესო მწვრთნელის და სპორტსმენის დაჯილდოება;
9. 2025 წლის ღონისძიებათა კალენდრის განხილვა;
10. 2025 წლის ფედერაციის ბიუჯეტის განხილვა;
11. სპორტული კომიტეტის 2025 წლის გეგმები-სპორტული კომიტეტის თავჯდომარე;
12. 2025 წლის 10-12 იანვარს თბილისში ჩასატარებელი, WKF, Karate 1, Series A, საერთაშორისო ტურნირის სამზადისში გაწეული მუშაოების შესახებ ინფორმაცია-საორგანიზციო კომიტეტის თავჯდომარე.

**ფედერაციის გამგეობა.**

## განცხადება

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საარჩევნო ყრილობა ჩატარდება მ/წლის 7 დეკებერს, 15 საათზე, დიღმის ოლიმპიურ ბაზაზე. მისამართი: ბობ უოლშის II ჩიხი N23.

ხელბურთი. საქართველოს ნაკრები

# ორი მარცხი სტარტზე

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2026 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი 6 ნოემბერს სტუმრად საბერძნეთში გამართა.**

შეხვედრა სტუმართა იერიშებით დაიწყო და მესამე წუთზე **თეიმურაზ ორჯონიკიძემ** გახსნა ანგარიში. პირველი ტაიმიც ქართველმა ხელბურთელებმა მოიგეს მინიმალური სხვაობით - 13:12. შესვენების შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ, თუმცა ბოლო 30 წამში **გიორგი ცხოვრებაძემ** შეძლო წონასწორობის აღდგენა. საფინალო სასტვენამდე 5 წამით ადრე კი ბერძენმა **ნიკოლაოს პასიასმა** წარმატების მომტანი ბურთი შეაგდო **ზურაბ ცინცაძის** კარში და თანაგუნდელებს შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრაში გაამარჯვებინა - 27:26.

**საქართველოს ნაკრები:** ცინცაძე, ნიქაბაძე - ცხოვრებაძე -11 გოლი, ორჯონიკიძე - 5, რუსტამოვი - 4, არსენაშვილი - 3, ლაპიაშვილი - 1, კბილაშვილი - 1, გავაშელიშვილი - 1, პატაშური, არეშიძე, გოგოლაძე, გოგავა, გრიშიკაშვილი, აბრამიშვილი, დიხამინჯია.

■ ■ ■

გუშინ მეორე ტურის მატჩში ჩვენი გუნდი „თბილისი არენაზე“ ისლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდა. პირველი ტაიმი დაძაბულად მიმდინარეობდა, რომლის ბოლო წამებზე ისლანდიელებმა გაიტანეს და 14:13 მოიგეს. მეორე ტაიმში მეტოქე ნელნელა, ზრდიდა უპირატესობას. საბოლოოდ, მატჩი 25:30 დასრულდა. 25-დან 9 გოლი **გიორგი დიხამინჯიას** ანგარიშზეა, ცხოვრებაძემ ამჯერად, 5 გოლი გაიტანა. 3-3 გოლი **ირაკლი კბილაშვილმა**, თეიმურაზ ორჯონიკიძემ და **ერეკლე არსენაშვილმა** შეაგდეს.

მე-3 შესარჩევ ჯგუფში ისლანდიას ორი მოგება აქვს, საქართველოს კი - ორი მარცხი. ბოსნიისა და საბერძნეთის დაპირისპირება წუხელ გვიან დასრულდა.

**თამაშების განრიგი**

**12-13 მარტი.** საქართველო-ბოსნია-ჰერცეგოვინა
**15-16 მარტი.** ბოსნია-ჰერცეგოვინა-საქართველო
**7-8 მაისი.** საქართველო-საბერძნეთი
**10-11 მაისი.** ისლანდია-საქართველო

**ვაჟა დანელია**



საქართველოს ნაკრები

ძიუდო. კადეტები

# სამი მედალი უნგრეთიდან

უნგრეთის ქალაქ დიორში კადეტ ძიუდოისტთა ევროპის თასი მიმდინარეობდა, სადაც ქართველი სპორტსმენებიდან სამმა მედლები მოიპოვა. 60 კილომდე წონაში **ვახტანგ ქიაბერაშვილმა** ფინალში იჭიდავა, თუმცა ვერცხლის მედალს დასჯერდა. უნგრეთში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს **საბა ბოლქვაძემ** და **ნიკოლოზ გივიშვილმა** (ორივე - 55 კგ.).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პარაფარიკაობა

# ხეცურიანის ოქრო მსოფლიოს თასზე

საქართველოს ეტლით მოფარიკავეთა ნაკრების წევრმა **ირმა ხეცურიანმა** იტალიის ქალაქ პიზაში მიმდინარე მსოფლიო თასზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ქართველმა პარამოფარიკავემ რაპირით ფარიკაობაში (კატეგორია B) საჩემპიონო გზაზე 4 მეტოქე დაამარცხა: 15:2 - ქუვეითელ აიშა მატართან, 15:13 - პოლონელ პატრისია ზიევსკასთან, 15:7 - ნეიტრალური პარაათლეტის რანგში მოასპარეზე ბელარუს ალექსანდრა ილმინსკაიასთან და 15:13 - ფინალში, უკრაინელ ნადია დოლოჰთან.

რაპირით ფარიკაობის კატეგორია A-ში სცადეს ძალები **გვანცა ზადიშვილმა** და **ნინო თიბილაშვილმა,** თუმცა, ისინი მეოთხედფინალში დამარცხდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ირმა ხეცურიანი

საქართველოს ნაკრები

# საქართველოს ნაკრებს ახალი ამერიკელი ჰყავს


კამარ ბოლდუინი

ამერიკელმა **კამარ ბოლდუინმა** საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და მზადაა, საქართველოს ნაკრების ღირსება დაიცვას. ახლა საბოლოო სიტყვა მთავარ მწვრთნელზე, სერბ **ალექსანდარ ჯიკიჩზეა**, რომელსაც მომავალი სანაკრებო მატჩებისთვის ორ ამერიკელს შორის შეუძლია არჩევანის გაკეთება - კამარ ბოლდუინთან ერთად, საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება აქვს ქართული პასპორტის მქონე **ჯო ტომასონსაც**, რომელმაც უკვე ითამაშა ევრობასკეტი 2025-ის შესარჩევი ტურნირის საწყის 2 მატჩში.

კამარ ბოლდუინი გამთამაშებელია და ესპანური „ბასკონიის" ღირსებას იცავს, ასპარეზობს ესპანეთის ჩემპიონატსა და ევროლიგაში. კამარი 27 წლისაა და ევროპაში მთლიანობაში მე-4 პროფესიულ სეზონს ატარებს. „ბასკონიაში" ამ სეზონის წინ გადავიდა, მანამდე კი თურქული „ტურკ ტელეკომის" (2020-2021), გერმანული „გიოტინგენის" (2022-2023) და იტალიური „ტრენტოს" (2023-2024) ღირსებას იცავდა.

კამარ ბოლდუინის ევროპული კარიერა სტატისტიკის პროპორციულად, აღმავალი გზით მიმდინარეობდა. საუკეთესო იყო მისი ასპარეზობა 2023-2024 წლების ULEB-ის ევროთასზე, სადაც ბოლდუინი იტალიური „ტრენტოს" ღირსებას იცავდა და 16 მატჩში საშუალოდ 15.2 ქულას და 4.5 პასს აგროვებდა. სწორედ ამ წარმატებული სეზონის შემდეგ დაინტერესდა მისით ევროლიგის ესპანური წარმომადგენელი და კამარ ბოლდუინმა „ბასკონიასთან" კონტრაქტი გააფორმა.

კამარ ბოლდუინი ამერიკის სტუდენტური ლიგის ერთ-ერთ წამყვან კონფერენციაში - Big East- ში თამაშობდა, სადაც ბატლერის უნივერსიტეტის გუნდის ღირსებას იცავდა და 4 სეზონის განმავლობაში საშუალოდ მოგროვებული 17 ქულითა და 3 პასით ერთ-ერთი ლიდერი იყო. ის რამდენჯერმე მოხვდა კონფერენციის სიმბოლურ ხუთეულში. „ბასკონიაში" ბოლდუინის მიმდინარე სეზონის სტატისტიკა ასეთია: ესპანეთის ჩემპიონატში 2 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 31 წუთში 15 ქულას, 5 პასს, 3 მოხსნას და 1.5 ჩაჭრას აგროვებდა. ევროლიგაში ბოლდუინმა 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა, სადაც საშუალოდ 16 წუთს თამაშობს და 6.1 ქულას, 3.3 პასს და 1.4 მოხსნას აგროვებს.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ევრობასკეტის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის:

**ბოლდუინი** (ბასკონია, ესპანეთი), **ტომასონი** (გრან კანარია, ესპანეთი), **ანდრონიკაშვილი** (ვეფ, ლატვია), **ოჩხიკიძე** (ქუთაისი), **ლიკლიკაძე** (ორბი), **მაზიაშვილი** (ამრა), **ხატიაშვილი** (ბასკონია U18, ესპანეთი), **დ. სანაძე** (ანორთოსისი, კვიპროსი), **ს. სანაძე** (მარგვეთი), **კაკუშაძე** (ვსა), **ჯინჭარაძე** (ალ რაიანი, ყატარი), **ფევაძე** (თსუ), **სულაბერიძე** (ქუთაისი), **შენგელია** (ვირტუს ბოლონია, იტალია), **ბურჯანაძე** (ლა კორუნია, ესპანეთი), **კორსანტია** (ქუთაისი), **ლონდარიძე** (ბათუმი), **მეგენეიშვილი** (ივერიონი), **შერმადინი** (ტენერიფე, ესპანეთი), **ბაქრაძე** (დელტა).

ქართველები NBA-ში

# დაბრუნება დუბლით

წარმატებული გამოდგა ქართველი კალათბურთელების გამოსვლა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გასულ კვირას. **გოგა ბითაძე** ტრავმის შემდეგ ორმაგი დუბლით დაბრუნდა, **სანდრო მამუკელაშვილს** კი სათამაშო დრო გაეზარდა და შედეგიანობამაც იმატა.

## გოგა VS ინდიანა

მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი გამართა გოგა ბითაძემ. მისი „ორლანდო" გოგას ყოფილ კლუბ „ინდიანას" ესტუმრა და 111:118 დამარცხდა.

ბითაძე სასტარტო შემადგენლობაში იყო და 30 წუთი ითამაშა. იგი ქულებსა და მოხსნებში ერთნიშნა ზღვარს ასცდა, რაც საკალათბურთო ენაზე ორმაგ დუბლს ნიშნავს: 10 ქულა, 12 მოხსნა, 2 პასი, 3 დაფარება. გოგამ 10-დან 5 ორქულიანი ჩააგდო.

„ორლანდოში" 28 ქულით **ფრანც ვაგნერი** გამოირჩა, „ინდიანაში" - 20 ქულით **ბენედიქტ მათურინი**.

## გოგა VS ნიუ ორლეანსი

მომდევნო მატჩში „ორლანდო მეჯიქმა" „ნიუ ორლეანს პელიკანსს" უმასპინძლა და დამაჯერებლად გაიმარჯვა - 115:88.

საქართველოს ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი „ორლანდოს" ძირითად ხუთეულში იყო, მოედანზე 27 წუთი გაატარა, ხოლო თავის გუნდს 11 ქულა, 9 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა შესძინა. გოგამ თამაშიდან მეტოქის ფარს 6-ჯერ შეუტია და 5 ბურთი მოათავსა, ასევე ერთი საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა.

„ორლანდოს" რიგებში ყველაზე მეტი ქულა გერმანელმა ვაგნერებმა დააგროვეს, ფრანც ვაგნერის ანგარიშზე 27 ქულაა, ხოლო **მორიცის** - 17.

შედეგად, „ორლანდო მეჯიქმა" 5-მატჩიანი წაგებების სერია დაასრულა და აღმოსავლეთ კონფერენციაში ამჟამად მე-7 ადგილზეა.

## მამუ VS ჰიუსტონი

„ჰიუსტონ როკეტსთან" სტუმრად დამარცხდა სანდრო მამუკელაშვილის „სან ანტონიო სპურსი" 100:127.

სანდროს ორმაგ დუბლამდე სამი მოხსნა დააკლდა: 15 წუთში 10 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება, 1 პასი. მამუმ 3-დან 2 სამქულიანი და 2-დან 2 ორიანი ჩააგდო.

„როკეტსის" გამარჯვებაში 21-21-ქულიანი წვლილი შეიტანეს **ვან ვლეეტმა** და **გრინმა**. „სპურსში" კი ყველაზე მეტი, 15 ქულა **ვემბანიამას** ჰქონდა.

## მამუ VS პორტლენდი

„სან ანტონიოსთვის" წარმატებული გამოდგა „პორტლენდთან" მატჩი, რომელიც ტეხასელებმა 118:105 მოიგეს.

მემუკელაშვილმა მწვრთნელისგან 7:52 წუთი მიიღო, რა დროშიც თავის გუნდს 3 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება შესძინა. ქართველმა კალათბურთელმა ერთი სამქულიანი გამოიყენა.


სანდრო მამუკელაშვილი


გოგა ბითაძე

„სან ანტონიოს" რიგებში საუკეთესოები **ბრანამი** და **ჯონსონი** იყვნენ, ორივემ 17-17 ქულა ჩააგდო. „პორტლენდის" რიგებში ორმაგი დუბლი გაიფორმა **დეანდრე ეიტონმა** - 21 ქულა, 10 მოხსნა.

## მამუ VS იუტა

სანდრო მამუკელაშვილის გუნდი ძალიან ახლოს იყო „იუტა ჯაზის" ძლევასთან, თუმცა მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 110:111.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა შეზღუდული დრო მიიღო, მან მოედანზე 7 წუთი გაატარა და მხოლოდ თითო მოხსნა-ჩაჭრა მიითვალა. მამუკელაშვილმა თამაშიდან 2 სამქულიანის ჩაგდება სცადა, თუმცა უშედეგოდ.

„სან ანტონიოს" რიგებში საუკეთესო ვიქტორ ვემბანიამა იყო, ფრანგმა გუნდს 24 ქულა, 16 მოხსნა და 7 დაფარება მოუტანა, ხოლო „იუტას" ლიდერად კოლინ სექსტონი მოევლინა, რომლის ანგარიშზე 23 ქულაა.

10 შეხვედრის შემდეგ „სან ანტონიოს" 4 მოგება და 6 მარცხი აქვს, ამ შედეგით კი დასავლეთ კონფერენციაში მე-12 ადგილზეა.

ევროლიგა

# შენგელიას ლიდერობით

**თორნიკე შენგელიას** ლიდერობით „ვირტუსმა" ევროლიგაში მეორე გამარჯვება მოიპოვა. ბოლონიელებმა იტალიაში თელ ავივის „მაკაბის" უმასპინძლეს და 84:77 დაამარცხეს. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 24 წუთი გაატარა. მის ანგარიშზე 16 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრაა. თორნიკემ 6-დან 5 ორქულიანი და 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი მძიმე ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა და ის მასპინძელთა რიგებში მხოლოდ ხორვატ **ანტე ჟიჟიჩს** ჩამორჩა, რომელმაც 14 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.


თორნიკე შენგელია

2 მოგებითა და 6 მარცხით „ვირტუს ბოლონია" სატურნირო ცხრილში მე-16 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი 12 ნოემბერს მადრიდში „რეალთან" ჩაატარებს.

ლეგიონი

# გამარჯვება გადადებულში


გიორგი შერმადინი

ესპანეთის ჩემპიონატში 10 დღის წინ წვიმის გამო გადადებული მატჩი ახლა ჩატარდა. **გიორგი შერმადინის** „ლაგუნა ტენერიფემ" „ბრეოგანს" სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში - 79:78 მოუგო.

ეს მატჩი თავის დროზე იმის გამო შეწყდა, რომ დარბაზში წვიმა ჩამოვიდა და მისი გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და მოედანზე 15 წუთით გამოჩნდა, რა დროშიც 6 ქულა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 1 მოხსნა მიითვალა. საქართველოს ნაკრების ცენტრმა სამივე ორქულიანი ჩააგდო.

ფიბა ევროპის თასი

# ბრძოლა და მარცხი ბილბაოში

ფიბა ევროპის თასის მორიგი მატჩი გამართა ქუთაისი 2010-მა. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ჯგუფური ეტაპის მე-5 ტურში ესპანეთში „ბილბაოს" შეხვდა და ბასკურ კლუბთან 63:91 დათმო.

ქუთაისელებმა პირველი პერიოდი მოიგეს. მისასალმებელია, რომ ქართულ კლუბში ახალგაზრდა მოთამაშეები გამოირჩეოდნენ - **გიორგი სულაბერიძისა** და **ბაქარ ბერეკაშვილის** მონდომებით ქუთაისელებმა პირველი პერიოდის ბოლოს მოახერხეს ბილბაოელთა ჩამოტოვება და 2-წუთიან შესვენებაზე 2-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ - 18:16.


ბილბაო-ქუთაისი

მეორე ათწუთეულში ესპანურმა გუნდმა სავსე ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერის ფონზე მოახერხა დაწინაურება. აღსანიშნავია, რომ დარბაზში ქართველებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც ხუთჯვრიანი დროშებით შეიარაღებულნი ამხნევებდნენ ქუთაისელებს. დიდი შესვენებისთვის „ბილბაო" 10 ქულით გალიდერდა - 38:28.

მეორე ნახევარში თამაში მასპინძელთა კარნახით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა.

ქართულ კლუბში სარგებლიანობით საუკეთესო იყო **აკაკი დვალიშვილი**, რომელმაც 9 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. აკაკიმ 9-დან 4 ორქულიანი და 1 საჯარიმო გამოიყენა. 12 ქულით ბომბარდირი გახდა **ელია ჯონერი, მარქილ სმიტმა** 11 ჩააგდო, **გიორგი კორსანტიას** ანგარიშზე კი 7 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი დაგროვდა. შედეგიანი იყო 19 წლის ბაქარ ბერეკაშვილის გამოსვლა, რომელმაც 23 წუთში 7 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

„ქუთაისი" ფიბა ევროპის თასზე ასპარეზობას 13 ნოემბერს დაასრულებს, როცა ბოლო ტურის მატჩში თბილისში ბულგარულ „ბალკანს" უმასპინძლებს.

ტრანსფერი

# ბახტაძე კოლეჯების ლიგაში თამაშებს

213სმ სიმაღლის კალათბურთელი **ათუკა ბახტაძე** კარიერას ამერიკის კოლეჯების ლიგაში განაგრძობს. 17 წლის ნიჭიერი ქართველი წინახაზელი არიზონის შტატის ქალაქ გლენდეილში, „დრიმ სიტი კრისტიანის" სასწავლებელში ჩაირიცხა.

იგი ლიეტუვის „ჟალგირისის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, პარალელურად კი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში ასპარეზობდა. საქართველოს ეროვნული გუნდის ვარჯიშებზე მას მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ ჯიკიჩი** რეგულარულად იძახებდა.

„დრიმ სიტიმ" კოლეჯების ლიგის მიმდინარე სეზონში უკვე ორი მატჩი გამართა, დაამარცხა „ბალბოა რაფრაიდერსი" (101:57) და „კოლორადო პრეპი" (83:63), უახლოესი მატჩი კი 16 ნოემბერს „სიტი კრისტიანთან" ელის.


ათუკა ბახტაძე

გვერდი მოამზადა
**ვახტანგ ტყეშელაშვილმა**

ბატუტზე ხტომა

# ოქრო და ორი ვერცხლი ლულეშიდან

პორტუგალიის ქალაქ ლულეში დამთავრდა ახალგაზრდა ბატუტზე მხტომელთა მე-17 საერთაშორისო ტურნირი loule cup, რომელშიც 22 ქვეყნის 383 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

17-წლამდელებში საქართველოს ნაკრების (მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი,** მწვრთნელები - **სალომე ბოდაველი, ინგა მენთეშაშვილი, ხათუნა კოკობინაძე, ზურაბ კიკნაძე, ლიალია ასკეროვა, იდა ლეონტიევა,** იმსაჯა **სალომე ბოდაველმა**) ღირსებას იცავდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტები - **მარიამ გაბრიაძე** (49.910) და **ელენე კირთაძე** (46.840), რომლებმაც თავიანთ ასაკში 83 მონაწილეს შორის პირველი და მეორე ადგილები არავის დაუთმეს. აღსანიშნავია, რომ ოქროს მედალოსანმა გაბრიაძემ ყველაზე რთული ვარჯიში (10.3 კოეფიციენტის) ტექნიკურად და სუფთად შეასრულა. მე-3 ადგილზე **როჯერს ფიადი** (ირლანდია, 46.790) გავიდა.

ამავე ასაკში იასპარეზა სინქრონულ ხტომებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის მე-3 პრიზიორმა **ნინო უსუბიანმა,** რომელიც საბოლოოდ მე-5 ადგილს დაყაბულდა.

16-წლამდელთა კვალიფიკაციაში **მაია ბოჭორიძემ** ყველაზე რთული ვარჯიში შეასრულა და ფინალში მე-2 ადგილით შევიდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში შეცდომა დაუშვა და მე-4 ადგილს დასჯერდა, **ანა ლაპიაშვილი** კი მე-10 იყო. 14-წლამდელებში სავალდებულო ვარჯიში გაუფუჭდა **ნინო ქორიძეს,** რომელიც ფინალს მიღმა აღმოჩნდა. არადა, ეს სამეული გუნდურ ჩათვლაში ევროპის წლევანდელი ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულია. ისინი თავიანთ ასკში მსოფლიოს ჩემპიონებიც არიან.

15-წლამდელ ვაჟებში 32 მონაწილეს შორის ყველას **როი რაფაელმა** (საფრანგეთი, 52.220) აჯობა, 50.290 ქულით **ლუკა ლომთათიძე** მე-2 იყო. საგულისხმოა, რომ იგი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტია მეწყვილე **ცოტნე ჩხაიძესთან** ერთად. ეს უკანასკნელი 16-წლამდელებში მე-10 ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ვეტერანთა აპენინური ოქროები

იტალიაში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

შესანიშნავად იასპარეზა **ზურაბ სტურუამ,** რომელმაც 65 წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა შორის დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი - ცხრიდან ექვს შეხვედრაში გაიმარჯვა, სამ პარტიაში დაუზავდა მეტოქეებს, მოაგროვა 7.5 ქულა და კონტინენტის უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულს მეხუთედ დაეუფლა (გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა სლოვაკი **ლუბომირ ფტაჩნიკი.** 6.5 ქულით მესამე იყო გერმანელი **რაინერ კნააკი**).

საგულისხმოა, რომ ზურაბ სტურუა აქამდე 50+ ასაკის სენიორთა შორის იყო ოთხჯერ (2015; 2016; 2019; 2023) ევროპის ჩემპიონი, ხოლო ამავე კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონობა სამჯერ (2014, 2019, 2022) მოიპოვა.

50 წელს გადაცილებულთა შორის თავი გამოიჩინა **მიხეილ კეკელიძემ.** მან ცხრა შესაძლებლობიდან 7 ქულა მოაგროვა და პირველ ადგილზე გავიდა. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარეს თავი **ედვინ ვან ჰაასტერტმა** (ნიდერლანდები) და **მარტინ მრვამ** (სლოვაკეთი), მაგრამ ჩვენებურმა კონკურენტებს დამატებით მაჩვენებლებით აჯობა. ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, ნიდერლანდელმა და სლოვაკმა მოჭადრაკეებმა გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

გიორგი შხვაცაბაია 120

# საკავშირო რეკორდების ფუძემდებელი საქართველოდან



გიორგი შხვაცაბაია

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დროის წონასწორობას ცდიან და მის საზღვრებს სცილდებიან. სწორედ, ასეთი გახლდათ **გიორგი შხვაცაბაია** - ძლიერი, შეუპოვარი და ღრმა სულის მქონე პიროვნება, ცნობილი არა მხოლოდ როგორც სახელოვანი სპორტსმენი, არამედ კეთილშობილი პროფესიონალი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავმდაბლობითა და კოლეგიალურობით.

მისი სპორტით გატაცება ადრეული ასაკიდან დაიწყო. ბავშობიდანვე შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა. ცხოვრებისეული გზა რთული და გამოწვევებით იყო სავსე, თუმცა სიძნელეებს არასდროს შეუშინებია - არაერთი დაბრკოლება დაძლია; ყოველთვის მიზნად ისახავდა საკუთარი ძალების მაქსიმუმზე გასვლას, რაც მის მწვრთნელებსა და თანატოლებს აოცებდა. სწორედ, ასეთმა ხასიათმა განსაზღვრა მისი მომავალი წარმატებები.

სპორტის არაერთ სახეობაში უცდია ძალები. იყო კარგი ტანმოვარჯიშე, კალათბურთელი, მძლეოსანი - საქართველოს და ამიერკავკასიის ჩემპიონი 60, 100 და 200 მეტრზე რბენაში, 100 და 200 მეტრზე საქართველოს რეკორდსმენი. ფეხბურთს თამაშობდა ქუთაისის „ტრიუმფში", თბილისის „დურუჯსა" და „დინამოში". საგულისხმოა, რომ 1925 წელს ამიერკავკასიის პირველ სპარტაკიადაზე, რომელშიც ქართველებთან ერთად სომეხი და აზერბაიჯანელი სპრინტერებიც მონაწილეობდნენ, 100 მეტრზე რბენაში გიორგი შხვაცაბაიამ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, მაგრამ მაყურებლების ყველაზე დიდი ინტერესი იმან გამიწვია, რომ ქართველმა სპორტსმენმა... ფეხშიშველამ იასპარეზა. იმავე წელს მან მოსკოვში წითელი არმიის საკავშირო სპარტაკიადზე სამი მედლით დაიმშვენა მკერდი.

და მაინც, სახელოვანი მამულიშვილის სტიქია მძლეოსნობაში სიმაღლეზე ხტომა იყო. 1927 წელს იგი 175 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა, ორი წლის შემდეგ კი მოსკოვში სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო სპარტაკიადზე წინა წლის საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონმა გიორგი შხვაცაბაიამ „მაკრატელათი" 183 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია და პირველი ქართველი სპორტსმენი გახდა, რომელმაც საკავშირო რეკორდი დაამყარა.

გიორგი შხვაცაბაია საბჭოთა მძლეოსნობის ვარსკვლავად აღიარეს, გაზეთი „კრასნი სპორტი" მას „მფრინავ ქართველად", საბჭოთა მძლეოსნობის მშვენებად მოიხსენიებს.

გაზეთ „ლელოს" ცნობით, თბილისში რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ რობერტ შავლაყაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე სტუმრად მყოფმა ლეგენდარულმა ვალერი ბრუმელმა შეჯიბრების მთავარ მსაჯს, 169 სმ სიმაღლის უკვე აკადემიკოს გიორგი შხვაცაბაიას უთხრა, ტურნირზე 2 მეტრზე ნაკლები სიმაღლის სპორტსმენს ვერ ნახავთ. თქვენ მაშინ ხტომის სტილი რომ შეგეცვალათ, იმ დროისთვის მსოფლიოს უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელი იქნებოდითო.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: 1930 წელს თბილისში მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე სამხტომში შხვაცაბაია 13 მეტრზე გადახტა და სოხუმელი ვ. სემიონოვის 1928 წლის მიღწევა 25 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ეს შედეგი კი 8 წლის განმავლობაში ხელუხლებელი იყო...

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ სახელოვანი სპორტსმენი დაუღალავად მონაწილეობდა ქვეყნის საწარმოო საქმიანობაში. მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულმა მოღვაწემ უდიდესი ძალა და ენერგია შეალია ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა აღზრდა-ჩამოყალიბებას. მისი ხელმძღვანელობით 100-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია დამუშავდა. თავად ბატონმა გიორგიმ 1936 წელს საკანდიდატო, 1949 წელს კი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ექვსი წლის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

გიორგი შხვაცაბაია სანიმუშო ოჯახის თავკაცი გახლდათ. სამშობლოს ორი სახელოვანი ვაჟი აღუზარდა - სეხნია გიორგი, ცნობილი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, რომლის შესანიშნავი ქანდაკება „მშვიდობის ჩირაღდანი" 1992 წელს ანტიკური ოლიმპიური თამაშების დედაქალქ ოლიმპიაში დაიდგა. უმცროსი ზურაბი ორჯერ იყო არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი კარგა ხანს თბილისის „დინამოსა" და ლოკომოტივში" თამაშობდა ფეხბურთს .

გიორგი შხვაცაბაიას ცხოვრება და მოღვაწეობა ქმნის სპორტსმენის სრულყოფილ პორტრეტს - ადამიანისა, რომელიც დაუღალავი გარჯით, მტკიცე ნებითა და სიყვარულით ემსახურა საკუთარ საქმეს და ქვეყანას. იგი გამორჩეული მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სპორტში მოტივაციამ, შრომამ და ურყევმა მიზანდასახულობამ გზა გაუკვალოს წარმატებას. ბატონი გიორგის დაუოკებელი სული და მყარი მორალური პრინციპები ქართული სპორტისთვის მუდამ იქნება მაგალითი და შთაგონების წყარო.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ბასილაშვილის 96-ადგილიანი წინსვლა და მარცხი მერვედფინალში

ერთი კვირის წინ **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** სეულში ჩელენჯერტურნირი მოიგო და იქ მოპოვებული ქულებით მსოფლიოს კლასიფიკაციაში 96 ადგილით წინ გადაინაცვლა და 215-ე ადგილზე აღზევდა. ქართველი ჩოგბურთელი გასულ კვირას იაპონიაში ვაჟთა ჩელენჯერტურნირში ჩაება. სტარტზე მან **ფილიპ სეკულიჩი** (ავსტრალია, 345-ე) დაამარცხა - 6:3, 4:6, 6:3, მერვედფინალში კი თავად წააგო **შინტარო მოჩიზუკისთან** (იაპონია, 248-ე) - 4:6, 4:6.

**ვაჟები**

**ერთეულები.** 215 (311). ნიკოლოზ ბასილაშვილი (264), 403 (397). საბა ფურცელაძე (115), 478 (484). ალექსანდრე ბაკში (83), 688 (689). ზურა ტყემალაძე (42), 1261 (1219), ალექსანდრე მეტრეველი (6).

**წყვილები.** 319 (322). ალექსანდრე ბაკში (205), 644 (615). საბა ფურცელაძე (73), 656 (604). ზურა ტყემალაძე (71), 1409 (1030). ალექსანდრე მეტრეველი (16), 1743 (1750). გიორგი გიორგაძე (8), 1851 (1856). სერგო სიხარულიძე (6), 1881 (1900). ალექსანდრე შვანგირაძე (5), 2276 (2275). კონსტანტინე გოგელია (3).

**ქალები**

**ერთეულები.** 201 (201). მარიამ ბოლქვაძე (356), 335 (341). ეკატერინე გორგოძე (186), 551 (579). სოფიო შაფათავა (86), 737 (780). ზოზია ქარდავა (42).

**წყვილები.** 66 (66). ოქსანა კალაშნიკოვა (1343), 214 (174). ნათელა ძალამიძე (372), 241 (243). ეკატერინე გორგოძე (332), 304 (270). სოფიო შაფათავა (251), 393 (355). მარიამ ბოლქვაძე (187), 948 (1031). ზოზია ქარდავა (40), 1279 (1284). ანა ბოჭორაძე (17), 1418 (1419). ნია გელაშვილი (13), 1547 (1544). ანამარია ქურციკაშვილი (8) და ქეთევან ჯელაძე, 1601 (1600). ნატალი ჯაიანი (5).

**ვაჟა დანელია**

აღიარება




მარცხნიდან: მსოფლიო ბიატლონის ფედერაციის პრეზიდენტი ოლე დალინი, ალექსანდრე ბუძიშვილი და მსოფლიო ბიატლონის ფედერაციის გენერალური მდივანი მაკს კობი

# პირველი ლაურეატი ქართველია

2024 წლის 26-29 სექტემბერს სერბეთის ქალაქ ბელგრადში ჩატარდა ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელსაც საქართველოდან ესწრებოდნენ ბიატლონის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ბუძიშვილი**, ვიცე-პრეზიდენტი **ეკატერინე ვეშაგური** და ფედერაციის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ალექსანდრე ბუძიშვილი**. საერთაშორისო ფედერაციამ დააწესა ახალი ჯილდო - ინდივიდუალური საპატიო სერთიფიკატი, რომლის პირველი ლაურეატი გახდა ალექსანდრე ბუძიშვილი. კონგრესმა ერთსულოვნად მიულოცა ბატონ ალექსანდრეს აღიარება, რომლსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში ბიატლონის განვითარებაში. მისი აღზრდილები მონაწილეობენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში.

წლების განმავლობაში ალექსანდრე ბუძიშვილი იყო ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის არბიტრაჟის თავმჯდომარე. მისი ინიციატივით დაარსდა აზიის ჩემპიონატები. მინიჭებული აქვს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში იყო სათხილამურო სპორტის ალპინიზმის და ტურიზმის კათედრის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

აღსრულდა მისი ოცნება - მცდელობას, შეხვედრებს, მოლაპარაკებებს, საერთაშორისო ფედერაციასთან უკვალოდ არ ჩაუვლია - ბაკურიანში დაიწყო ბიატლონის ტრასის მშენებლობა.

საქართველოს ბიატლონის ეროვნული ფედერაცია საუკეთესო სურვილებით უერთდება მილოცვებს ბატონ ალექსანდრე ბუძიშვილისადმი.

R

ჩოგბურთი



# სეზონი გაუფმა დახურა

ქალთა პროფესიულ ტურში სეზონი დასრულდა. წლის შემაჯამებელ ტურნირზე, რომელიც საუდის არაბეთის ქალაქ ერ-რიადში გაიმართა, გადამწყვეტ მატჩში ამერიკელმა **კორი გაუფმა** პარიზის ოლიმპიური ჩემპიონი **კინვენ ჟენგი** დაამარცხა სამ სეტში - 3:6, 6:4, 7:6(2).

ფინალი სამი საათი და შვიდი წუთი გაგრძელდა და ჟენგი ახლოს იყო მოგებასთან. მესამე სეტში ჩინელი 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ ინერვიულა და მატჩბოლამდეც ვერ მივიდა. მე-12 გეიმში კი უკვე გაუფს ჰქონდა მიღებაზე ორმაგი მატჩბოლი, მაგრამ ვერც მან გამოიყენა შანსი, თუმცა ტაი-ბრეიკზე 6:0 დაწინაურდა და ტიტულამდე მივიდა.

გაუფის გამარჯვება სრულიად დამსახურებული იყო, რადგან ტურნირის მსვლელობისას მან ქალთა ტურის ორივე ლიდერი დაამარცხა - პოლონელი **იგა შვიოტეკი** და ბელარუსი **არინა საბალენკა**, რომელმაც 2024 წელი მსოფლიოს პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა.

გაუფმა კარიერაში მე-10 ფინალიდან მეცხრე მოიგო და პირველად გახდა WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის ჩემპიონი. ამ მოგებისთვის მან 4 805 000 დოლარი გამოიმუშავა, რაც რეკორდია ცალკე აღებული ტურნირისთვის არა მხოლოდ ქალების, არამედ კაცების ტურშიც. ამერიკელი მსოფლიოს მესამე ჩოგანი გახდება, ჟენგი კი კარიერაში პირველად აიწევს მეხუთე პოზიციაზე.

სხვადასხვა

# გამოქვეყნდა ყველაზე მოთხოვნადი სპორტსმენების რეიტინგი

პორტალმა SportsPro Media-მ NorthStar Solutions Group-თან თანამშრომლობით გამოაქვეყნა 2024 წლის მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნადი სპორტსმენების სია. რეიტინგი მიუთითებს ბრენდებისთვის სპორტსმენების პოპულარობას.

„რეალის" გარემარბმა **ვინისიუსმა** მეორე ადგილი დაიკავა. ბრაზილიელმა გაუსწრო **კრიშტიანო რონალდოს, ლიონელ მესის, ნეიმარსა** და **კილიან მბაპეს** და საფეხბურთო სამყაროში პირველი აღმოჩნდა.

ვინისიუსმა ეს შედეგი დაიმსახურა თავისი ბრენდის ძალისა და სპონსორული შემოსავლების წყალობით.

**სრული სია ასე გამოიყურება**

1. სიმონა ბაილზი (აშშ, ტანვარჯიში)
2. ვინისიუსი (ბრაზილია, ფეხბურთი)
3. ლებრონ ჯეიმსი (აშშ, კალათბურთი)
4. კეიტლინ კლარკი (აშშ, კალათბურთი)
5. ლიონელ მესი (არგენტინა, ფეხბურთი)
6. რებეკა ანდრადე (ბრაზილია, ტანვარჯიში)
7. კილიან მბაპე (საფრანგეთი, ფეხბურთი)
8. ილინა მაჰერი (აშშ, რაგბი)
9. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, ფეხბურთი)
10. კეტი ლედეკი (აშშ, ცურვა)
11. ლუის ჰემილტონი (ესპანეთი, ფორმულა 1)
12. ტრევის კელსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
13. კოკო გაუფი (აშშ, ჩოგბურთი)
14. ნოა ლაილსი (აშშ, მძლეოსნობა)
15. სუნისა ლი (აშშ, ტანვარჯიში)
16. პეიჯ ბუიკერსი (აშშ, ხელბურთი)
17. ნეიმარი (ბრაზილია, ფეხბურთი)
18. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, ჩოგბურთი)
19. ჯუდ ბელინგემი (ინგლისი, ფეხბურთი)
20. სტეფენ კარი (აშშ, კალათბურთი)
21. ბრეანა სტიუარტი (აშშ, კალათბურთი)
22. კელსი პლამი (აშშ, კალათბურთი)
23. ალექს მორგანი (აშშ, ფეხბურთი)
24. ბეთ მიდი (ინგლისი, ფეხბურთი)
25. ა'ჯა უილსონი (აშშ, კალათბურთი)
26. ენჯელ რისი (აშშ, კალათბურთი)
27. ვირატ კოჰლი (ინდოეთი, კრიკეტი)
28. საბრინა იონესკუ (აშშ, კალათბურთი)
29. კარლოს ალკარასი (ესპანეთი, ჩოგბურთი)
30. ჰარი კეინი (ინგლისი, ფეხბურთი)
31. მაქს ფერსტაპენი (ნიდერლანდები, ფორმულა 1)
32. აიტანა ბონმატი (ესპანეთი, ფეხბურთი)
33. შარლ ლეკლერი (მონაკო, ფორმულა 1)
34. რაფაელ ნადალი (ესპანეთი, ჩოგბურთი)
35. კევინ დურანტი (აშშ, კალათბურთი)
36. პატრიკ მაჰოუმსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
37. ლანდო ნორისი (ესპანეთი, ფორმულა 1)
38. არინა საბალენკა (ბელარუსი, ჩოგბურთი)
39. ლუსი ბრონზი (ინგლისი, ფეხბურთი)
40. მარკუს რეშფორდი (ინგლისი, ფეხბურთი)
41. ლამინ იამალი (ესპანეთი, ფეხბურთი)
42. სმრიტი მანდჰანა (ინდოეთი, კრიკეტი)
43. ჯეისონ ტეიტუმი (აშშ, კალათბურთი)
44. ვიქტორ ოსიმენი (ნიგერია, ფეხბურთი)
45. ერლინგ ჰალანდი (ნორვეგია, ფეხბურთი)
46. ოსკარ პიასტრი (აშშ, ფორმულა 1)
47. იანიკ სინერი (იტალია, ჩოგბურთი)
48. ნაომი ოსაკა (იაპონია, ჩოგბურთი)
49. მიკაელა შიფრინი (აშშ, სამთო თხილამურები)
50. იგა შვიოტეკი (პოლონეთი, ჩოგბურთი)

## - კალათბურთი. NBA -

**სან ანტონიო–იუტა 110:111**

**22:25, 23:28, 37:29, 28:29**

**ს-ა:** ვემბანიამა (24+16 მოხსნა+7 დაფარება), კასლი (23), ვასელი (21), კ. ჯონსონი (14), ბარნსი (10).

**ი:** სექსტონი (23), მარკანენი (20), კლარკსონი (16), კოლინზი (15+10 მოხსნა), ჯუზენგი (10).

**ატლანტა–ჩიკაგო 113:125**

**37:24, 33:36, 28:30, 15:35**

**ა:** ჯონსონი (20), კაპელა (20+9 მოხსნა), რისაშე (17), დენიელსი (16+8 მოხსნა+6 ჩაჭრა), იანგი (14+16 პასი).

**ჩ:** დოსუნმუ (19), უაიტი (18), ვიჩევიჩი (18+12 მოხსნა), ლავინი (18+7 პასი), გიდი (13+7 პასი), უილიამსი (10+7 მოხსნა), სმიტი (10), ფილიპსი (10).

**კლივლენდი–ბრუკლინი 105:100**

**34:28, 23:27, 13:27, 35:18**

**კ:** ე. მობლი (23+16 მოხსნა), მიტჩელი (22), გარლანდი (20+6 პასი), ლევერტი (12+6 პასი).

**ბ:** კ. ჯონსონი (23), შრიოდერი (22), ტომასი (22+6 პასი), ფინი-სმიტი (10), კლექსტონი (10+10 მოხსნა).

**კლიპერსი–ტორონტო 105:103**

**28:22, 24:25, 29:23, 24:33**

**კ:** ჰარდენი (24+12 მოხსნა+7 პასი), პაუელი (24), პორტერი (15), ზუბაცი (14+12 მოხსნა).

**ტ:** კუიკლი (21), აგბაჯი (21+7 მოხსნა), დიკი (15), ბუშე (14), ბარეტი (13), პოელტლი (5+12 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლივლენდი | 11 | 11 | 0 | 100 |
| 2. ბოსტონი | 10 | 8 | 2 | 80.0 |
| 3. ნიუ იორკი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 4. ინდიანა | 9 | 4 | 5 | 44.4 |
| 5. შარლოტი | 9 | 4 | 5 | 44.4 |
| 6. ბრუკლინი | 10 | 4 | 6 | 40.0 |
| 7. დეტროიტი | 10 | 4 | 6 | 40.0 |
| 8. ორლანდო | 10 | 4 | 6 | 40.0 |
| 9. ჩიკაგო | 10 | 4 | 6 | 40.0 |
| 10. მაიამი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 11. ატლანტა | 11 | 4 | 7 | 36.4 |
| 12. ვაშინგტონი | 7 | 2 | 5 | 28.6 |
| 13. მილუოკი | 9 | 2 | 7 | 22.2 |
| 14. ტორონტო | 10 | 2 | 8 | 20.0 |
| 15. ფილადელფია | 8 | 1 | 7 | 12.5 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა | 9 | 8 | 1 | 88.9 |
| 2. ფინიქსი | 9 | 8 | 1 | 88.9 |
| 3. გ. სტეიტი | 9 | 7 | 2 | 77.8 |
| 4. დენვერი | 9 | 6 | 3 | 66.7 |
| 5. მინესოტა | 9 | 6 | 3 | 66.7 |
| 6. კლიპერსი | 10 | 6 | 4 | 60.0 |
| 7. მემფისი | 10 | 6 | 4 | 60.0 |
| 8. დალასი | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 9. ლეიკერსი | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 10. საკრამენტო | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 11. ჰიუსტონი | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 12. სან ანტონიო | 10 | 4 | 6 | 40.0 |
| 13. ნ. ორლეანი | 10 | 3 | 7 | 30.0 |
| 14. პორტლენდი | 10 | 3 | 7 | 30.0 |
| 15. იუტა | 9 | 2 | 7 | 22.2 |

ფეხბურთი

## მარსელომ ფლუმინენსე დატოვა

„რეალის" ლეგენდა, ბრაზილიელი მცველი **მარსელო** თავისუფალი აგენტი გახდა.

ბრაზილიურმა „ფლუმინენსემ" გამოაცხადა თანამშრომლობის გაწყვეტის შესახებ 36 წლის ფეხბურთელთან. მხარეები ორმხრივად შეთანხმდნენ კონტრაქტის გაუქმებაზე. როგორც იტყობინებიან, „გრემიოსთან" (2:2) მატჩის დროს, ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდა მთავარ მწვრთნელთან.

მარსელო მშობლიურ კლუბს 2023 წლის თებერვალში შეუერთდა და მოასწრო „ფლუმინენსესთან" ერთად ლიბერტადორესის თასის და სამხრეთ ამერიკის რეკოპას მოგება.

## მესი შეიძლება ბარსელონაში დაბრუნდეს

არგენტინელი ფორვარდი **ლიონელ მესი**, შესაძლოა, 2026 წელს „ბარსელონაში" დაბრუნდეს.

როგორც ინტერნეტ-გამოცემა Gol Digital იტყობინება, მესი აპირებს კატალონურ გუნდთან შეერთებას მსოფლიოს 2026 წლის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

ამ მომენტისთვის ლიონელ მესი „ინტერ მაიამის" ფეხბურთელია. კონტრაქტის მიხედვით არგენტინელი MLS-ის კლუბთან 2025 წლის ბოლომდეა დაკავშირებული. მესიმ შეიძლება მოკლევადიანი კონტრაქტი გააფორმოს „ბარსელონასთან" მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად, რომელიც 2026 წელს 11 ივნისიდან 19 ივლისამდე გაიმართება.

## იკარდი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს

თურქული „გალათასარაის" ფორვარდმა **მაურო იკარდიმ** მძიმე ტრავმა მიიღო ევროპის ლიგის მატჩში, რომელშიც მისმა გუნდმა 3:2 დაამარცხა „ტოტენჰემი".

სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ არგენტინელმა ფეხბურთელმა მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და მენისკი დაიზიანა.

შესაბამისად, იკარდი მინიმუმ ამ სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს.

მიმდინარე სეზონში მაურო იკარდიმ თურქეთის ჩემპიონატის შვიდ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა.

## ლევანდოვსკი ხელფასის შემცირებას თანხმდება

„ბარსელონას" ფორვარდი **რობერტ ლევანდოვსკი** მზად არის ხელფასის შემცირებას დათანხმდეს, რათა გააგრძელოს კონტრაქტი კატალონურ კლუბთან. 36 წლის ფეხბურთელის მოქმედი ხელშეკრულება 2026 წლის ზაფხულამდეა ძალაში. ეს ინფორმაცია გამოცემა Sport.es-მა გაავრცელა.

წყაროს ცნობით, „ბარსელონას" სამწვრთნელო შტაბს ასევე სურს, რომ ლევანდოვსკიმ გააგრძელოს კლუბში თამაში. ამასთან, კატალონელები განიხილავენ კიდევ ერთი ფორვარდის შეძენის შესაძლებლობას, რათა ლევანდოვსკის დასვენების საშუალება ჰქონდეს.

## ვიდალი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს

კოპა ამერიკას ორგზის გამარჯვებული **არტურო ვიდალი** ჩილეში სექსუალურ ძალადობაშია დადანაშაულებული.

როგორც TVN იტყობინება, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება სავარაუდო სექსუალურ ძალადობაზე განცხადების მიღების შემდეგ. მასში დადანაშაულებულია 37 წლის ვიდალი და კლუბ „კოლო კოლოს" სხვა მოთამაშეები.

სავარაუდო დანაშაული მოხდა ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოს ერთ-ერთ ბარში. ქალი ამტკიცებს, რომ მას ნარკოტიკი მიაღებინეს და შემდეგ სექსუალურად იძალადეს.

## ბარსელონა ზამთარში დიოკერეშის შეძენას გეგმავს

გამოცემა Sport-ის ინფორმაციით, „ბარსელონას" სპორტული დირექტორი **დეკუ** უახლოეს დროში სატრანსფერო პრიორიტეტად მიიჩნევს ლისაბონის „სპორტინგის" ფორვარდს **ვიქტორ დიოკერეშს**.

კატალონიელები დაინტერესებულნი არიან ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას შვედი თავდამსხმელის გაფორმებით. ახლა „ბარსელონაში" მუშაობენ მომავალი გარიგების სქემაზე. დიდი ალბათობით, ეს იქნება გაცვლა თანხის დამატებით.

„ბარსელონაში" მიაჩნიათ, რომ მოთამაშე, რომელიც ტრანსფერის თანხას დაბლა დაწევს, **ვიტორ როკე** იქნება. ის 30 მილიონ ევროდ არის შეფასებული. ასეთ შემთხვევაში, დიოკერეშის შეძენა დაახლოებით 60 მილიონ ევროდ იქნება შესაძლებელი.

გვერდი მოამზადა
**გიორგი თვალიამ**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი — ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| შეფილდი-უენსდი | 1:0 |
| ჰალი-ვესტ ბრომვიჩი | 1:2 |
| ბარნლი-სუონსი | 1:0 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ჩიტადელა-ჩეზენა | 0:2 |
| იუვე სტაბია-სპეცია | 0:3 |
| რეჯანა-კატანძარო | 2:2 |
| სალერნიტანა-ბარი | 0:2 |

**ესპანეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კორდობა-კასტელიონი | 2:2 |
| ბურგოსი-სპორტინგი | 0:2 |
| ფეროლი-რასინგი | 1:2 |
| ალბასეტე-ოვიედო | 2:2 |

**გერმანია — II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-ჰანოვერი | 3:1 |
| კარლსრუე-მუნსტერი | 1:1 |
| შალკე-რეგენსბურგი | 2:0 |

**ნიდერლანდები**

| | |
|---|---|
| ალმერი-ფეიენოორდი | 1:4 |
| ჰერენვეენი-იგლზი | 1:0 |
| ტვენტე-აიაქსი | 2:2 |
| ალკმაარი-ვილემი | 1:2 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სერკლი-ანდერლეხტი | 0:5 |
| გენტი-სტანდარდი | 5:0 |
| უნიონი-გენკი | 4:0 |
| ბეერსხოტი-ბრიუგე | 2:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ესტრელა-ნასიონალი | 2:0 |
| სანტა კლარა-გიმარაეში | 1:0 |
| ბრაგა-სპორტინგი | 2:4 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| კილმარნოკი-სელტიკი | 0:2 |
| რეინჯერსი-ჰართსი | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალტახი-ლინცერი | 1:2 |
| ლინცი-ზალცბურგი | 2:0 |
| რაპიდი-კლაგენფიურტი | 2:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ლუნგბიუ-ოლბორგი | 2:2 |
| სილკებორგი-რანდერსი | 1:0 |
| ვიბორგი-მიდტიულანდი | 1:0 |
| ორჰუსი-კოპენჰაგენი | 1:1 |
| ბრონდბიუ-ნორდსიელანდი | 1:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ჰამკამი-რუსენბორგი | 0:2 |
| ჰაუგესუნდი-ტრომსიო | 2:0 |
| კრისტიანსუნდი-ვიკინგი | 0:1 |
| სანდეფიორდი-ოდ გრენლანდი | 1:0 |
| სარპსბორგი-მიოლდე | 2:2 |
| სტრიომსგოდსეტი-ოსლო | 1:0 |
| ბოდო გლიმტი-ფრედრიკსტადი | 2:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ჰალმსტადი | 5:1 |
| იურგორდენი-ნორჩოპინგი | 3:1 |
| გაის-სირიუსი | 2:1 |
| კალმარი-ჰაკენი | 1:0 |
| მალმიო-ბრომაპიოკარნა | 2:1 |
| მიალბიუ-გიოტებორგი | 1:0 |
| ვარნამო-ელფსბორგი | 0:0 |
| ვასტერასი-ჰამარბიუ | 1:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| სიონი-ლუცერნი | 4:2 |
| გრასჰოპერსი-სტ. გალენი | 1:2 |
| იანგ ბოიზი-ლუგანო | 2:1 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გიოზთეფე-ქონია | 2:0 |
| გალათასარაი-სამსუნი | 3:2 |
| ბაშაქშეჰირი-ბეშიქთაში | 0:0 |
| ფენერბახჩე-შივასი | 4:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| სტალი-პუშჩა | 2:0 |
| იაგელონია-რაკოვი | 2:2 |
| ლეხი-ლეგია | 5:2 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ვერესი-რუხი | 2:0 |
| შახტარი-ზორია | 3:1 |
| დინამო-პოლისია | 2:1 |



# მბაპე ისევ არ გამოიძახეს

## კილიანს აღარ უნდა დეშამის ხელმძღვანელობით თამაში

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დიდიე დეშამმა** გამოაცხადა შემადგენლობა ერთა ლიგის უახლოესი ორი მატჩისთვის. მთავარი სიახლე ის არის, რომ **კილიან მბაპე** ისევ არ არის გამოძახებული ეროვნულ გუნდში.

შეგახსენებთ, რომ „რეალის" ფორვარდს არ უთამაშია ნაკრებში ოქტომბრის მატჩებში. ამ პერიოდში მან მოასწრო სტოკჰოლმის ღამის კლუბში სტუმრობა და სექს-სკანდალში მოხვედრა.

*„მე მქონდა მასთან რამდენიმე დისკუსია. გავიაზრე ეს საუბრები და მივიღე გადაწყვეტილება. ვფიქრობ, ასე უკეთესი იქნება.*

*არ ვაპირებ კამათს. შემიძლია ორი რამ გითხრათ: კილიანს უნდოდა ჩამოსვლა, და ეს არ არის არასპორტული პრობლემები. ეს არის ერთჯერადი არჩევანი ორი მომავალი მატჩისთვის, რომელიც წინ გველოდება"*, - განაცხადა დეშამმა.

ამის შემდეგ, გამოცემა Get French Football News-მა ჟურნალისტ **რომენ მოლინაზე** დაყრდნობით დაწერა, რომ მბაპეს არ უნდა ნაკრებში დეშამის ხელმძღვანელობით თამაში.

ირწმუნებიან, რომ ფეხბურთელი წაეჩხუბა დიდიე დეშამს. მოლინამ უარყო მწვრთნელის სიტყვები და დაწერა, რომ თავად მბაპემ თქვა უარი შეერთებოდა ნაკრებს. როგორც ჩანს, კილიანი არ ითამაშებს დეშამის ხელმძღვანელობით, სანამ რაიმე არ შეიცვლება.

მბაპეს გარეშე საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - ლუკა შევალიე (ლილი), მაიკ მენიანი (მილანი, იტალია), ბრის სამბა (ლანსი);

**მცველები** - ჟონათან კლოსი (ნიცა), ლუკა დინი (ასტონ ვილა, ინგლისი), უესლი ფოფანა (ჩელსი, ინგლისი), ტეო ერნანდესი (მილანი, იტალია), იბრაჰიმა კონატე (ლივერპული, ინგლისი), ჟიულ კუნდე (ბარსელონა, ესპანეთი), ვილიამ სალიბა (არსენალი, ინგლისი), დაიო უპამეკანო (ბაიერნი, გერმანია);

**ნახევარმცველები** - ედუარდო კამავინგა (რეალი), მატეო გენდუზი (ლაციო, იტალია), ნ'გოლო კანტე (ალ-იტიჰადი, საუდის არაბეთი), მანუ კონე (რომა, იტალია), ადრიენ რაბიო (იუვენტუსი), უორენ ზაირ-ემერი (პარი სენ-ჟერმენი);

**თავდამსხმელები** - ბრედლი ბარკოლა (პარი სენ-ჟერმენი), უსმან დემბელე (პარი სენ-ჟერმენი), რანდალ კოლო მუანი (პარი სენ-ჟერმენი), კრისტოფერ ნკუნკუ (ჩელსი), მარკუს ტურამი (ინტერი, იტალია), მაიკლ ოლისე (ბაიერნი, გერმანია).

საფრანგეთის ნაკრები 14 და 17 ნოემბერს შეხვდება ისრაელსა და იტალიას.

# ნეიმარი 4-6 კვირას გამოტოვებს

## ალ-ჰილალი ბრაზილიელთან კონტრაქტის გაწყვეტას აპირებს

ბრაზილიელი ფორვარდი **ნეიმარი** ახალი ტრავმის გამო, მინიმუმ ერთ თვეს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ „ალ-ჰილალის" თავდამსხმელმა ბარძაყის კუნთი დაიზიანა აზიის ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ესტეგლალის" წინააღმდეგ.

„ალ-ჰილალის" პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ ნეიმარს ბარძაყის უკანა კუნთის ტრავმა აქვს. ვარაუდობენ, რომ ბრაზილიელის აღდგენისთვის 4-6 კვირა იქნება საჭირო.

აქედან გამომდინარე, „ალ-ჰილალი" მოლაპარაკებებს გეგმავს ნეიმართან 2025 წლის იანვარში კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის შესახებ, - იტყობინება ბრაზილიური ვებგვერდი UOL.

კლუბი უკმაყოფილოა ნეიმარის ხშირი ტრავმიანობით და შეიძლება მას თანამშრომლობის ვადაზე ადრე დასრულება შესთავაზოს. ასეთ შემთხვევაში, „ალ-ჰილალს" ბრაზილიელის სანაცვლოდ ლეგიონერის შეძენა შეეძლება. იტყობინებიან, რომ საუდის არაბეთის ჩემპიონატის ლიდერის დატოვების შემთხვევაში, ნეიმარი ბრაზილიაში დაბრუნდება.



შეგახსენებთ, რომ ნეიმარმა წელიწადზე მეტი გამოტოვა მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო. 21 ოქტომბერს ის მოედანს დაუბრუნდა, ორ მატჩში 34 წუთი ითამაშა და ისევ ტრავმა მიიღო. ახლა მას ბარძაყის კუნთის დაზიანების გამო, დაახლოებით ორი კვირის გამოტოვება მოუწევს.

# მოახლოვდა ერთა ლიგის ბოლო ორი ტური და გრანდებმა შემადგენლობები დაასახელეს...

### ესპანეთი

მადრიდის „რეალის" ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერ მიიღო გამოძახება ესპანეთის ნაკრებში ერთა ლიგის ნოემბრის მატჩებისთვის.

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლუის დე ფუენტემ** პირველად იხმო ეროვნულ გუნდში სამი ფეხბურთელი: **აიტორ პარედესი** (ბილბაო), **მარკ კასადო** (ბარსელონა) და **სამუ ომოროდიონი** (პორტუ).

**მეკარეები** - დევიდ რაია (არსენალი, ინგლისი), ალექს რემირო (სოსიედადი), რობერტ სანჩესი (ჩელსი, ინგლისი);

**მცველები** - ოსკარ მინგესა (სელტა), დანი ვივიანი (ბილბაო), აიმერიკ ლაპორტი (ალ-ნასრი, საუდის არაბეთი), პაუ ტორესი (ასტონ ვილა, ინგლისი), მარკ კუკურელია (ჩელსი, ინგლისი), ალექს გრიმალდო (ლევერკუზენი, გერმანია), პედრო პორო (ტოტენჰემი, ინგლისი), აიტორ პარედესი (ბილბაო);

**ნახევარმცველები** - მარტინ სუბიმენდი (სოსიედადი), მიკელ მერინო (არსენალი, ინგლისი), ფაბიან რუისი (პარი სენ-ჟერმენი, საფრანგეთი), პედრი (ბარსელონა), ალექს ბაენა (ვილირეალი), დანი ოლმო (ბარსელონა), მარკ კასადო (ბარსელონა);

**თავდამსხმელები** - ალვარო მორატა (მილანი, ესპანეთი), ლამინ იამალი (ბარსელონა), ნიკო უილიამსი (ბილბაო), იერემი პინო (ვილიარეალი), მიკელ ოიარსაბალი (სოსიედადი), აიოსე პერესი (ვილიარეალი), სამუ ომოროდიონი (პორტუ, პორტუგალია), ბრაიან სარაგოსა (ოსასუნა).

ესპანეთის ნაკრები 15 ნოემბერს სტუმრად ითამაშებს დანიასთან და 18 ნოემბერს შინ შვეიცარიასთან.

### პორტუგალია

გუნდში ერთი დებიუტანტია - „ლაციოს" მცველი **ნუნუ ტავარეში**, რომელზეც უფლებები ეკუთვნის ლონდონის „არსენალს".

სიაში მოხვდა „ალ-ნასრის" 39 წლის ფორვარდი **კრიშტიანო რონალდო**.

**მეკარეები** - დიოგო კოშტა (პორტუ), რუი სილვა (ბეტისი, ესპანეთი), ჟოზე სა (ვულვერჰემპტონი, ინგლისი);

**მცველები** - დიოგო დალოტი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ჟოაო კანსელო (ალ-ჰილალი, საუდის არაბეთი), ნელსონ სემედუ (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ნუნუ მენდეში (პარი სენ-ჟერმენი, საფრანგეთი), ნუნუ ტავარეში (ლაციო, ინგლისი), ტომას არაუჟო (ჩელსი, ინგლისი), ანტონიო სილვა (ბენფიკა), რენატო ვეიგა (ჩელსი, ინგლისი), ტიაგო ჯალო (პორტუ);

**ნახევარმცველები** - ჟოაო პალინია (ბაიერნი, გერმანია), ჟოაო ნევეში (პარი სენ-ჟერმენი, საფრანგეთი), ოტავიო (ალ-ნასრი, საუდის არაბეთი), ვიტინია (პარი სენ-ჟერმენი, საფრანგეთი), მატეუშ ნუნიეში (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), პედრო გონსალვეში (სპორტინგი), ბერნარდო სილვა (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ბრუნო ფერნანდეში (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);

**ფორვარდები** - ჟოაო ფელიქსი (ჩელსი, ინგლისი), პედრო ნეტო (ჩელსი, ინგლისი), ფრანსისკო ტრინკაო (სპორტინგი), ფრანსისკო კონსეისაო (იუვენტუსი, იტალია), რაფაელ ლეაო (მილანი, იტალია), კრიშტიანო რონალდო (ალ-ნასრი, საუდის არაბეთი).

15 ნოემბერს პორტუგალია შინ ითამაშებს პოლონეთის წინააღმდეგ, 18 ნოემბერს კი სტუმრად შეხვდება ხორვატიას. მეოთხედფინალში გასასვლელად რობერტო მარტინესის გუნდს ერთი ქულა ეყოფა.

### იტალია

გამოძახებულ ფეხბურთელებს შორის სამი დებიუტანტია: მცველები **პიეტრო კომუცო** (ფიორენტინა) და **ნიკოლო სავონა** (იუვენტუსი), და ნახევარმცველი **ნიკოლო როველა** (ლაციო).

**მეკარეები** - ჯანლუიჯი დონარუმა (პარი სენ-ჟერმენი, საფრანგეთი), გულიელმო ვიკარიო (ტოტენჰემი, ინგლისი);

**მცველები** - ალესანდრო ბასტონი (ინტერი), ალესანდრო ბუონჯორნო (ნაპოლი), ანდრეა კამბიაზო (იუვენტუსი), პიეტრო კომუცო (ფიორენტინა), ჯოვანი დი ლორენცო (ნაპოლი), ფედერიკო დიმარკო (ინტერი), ფედერიკო გატი (იუვენტუსი), ქელებ ოკოლი (ლესტერი, ინგლისი), ნიკოლო სავონა (იუვენტუსი), დესტინი უდოჯი (ტოტენჰემი, ინგლისი);

**ნახევარმცველები** - ნიკოლო ბარელა (ინტერი), დავიდე ფრატეზი (ინტერი), ნიკოლო პისილი (რომა), სამუელე რიჩი (ტორინო), ნიკოლო როველა (ლაციო), სანდრო ტონალი (ნიუკასლი, ინგლისი);

**ფორვარდები** - მოიზე კინი (ფიორენტინა), დანიელ მალდინი (მონცა), ჯაკომო რასპადორი (ნაპოლი), მატეო რეტეგი (ატალანტა).

იტალიის ნაკრები, რომელიც 10 ქულით ლიდერობს A ლიგის მეორე ჯგუფს, 14 ნოემბერს ბელგიაში ითამაშებს, 17 ნოემბერს საფრანგეთს მილანში უმასპინძლებს.

### გერმანია

**მეკარეები** - ოლივერ ბაუმანი (ჰოფენჰაიმი), ალექსანდრ ნიუბელი (შტუტგარტი), სტეფან ორტეგა მორენო (მანჩესტერ სიტი, ინგლისი);

**მცველები** - რობინ გოზენსი (ფიორენტინა, იტალია), ბენჟამინ ჰენრიხსი (ლაიპციგი), იოზუა კიმიხი (ბაიერნი), რობინ კოხი (აინტრახტი), მაქსიმილიან მიტელშტედტი (შტუტგარტი), ანტონიო რუდიგერი (რეალი, ესპანეთი), ნიკო შლოტერბეკი (დორტმუნდი), ჯონათან ტა (ლევერკუზენი);

**ნახევარმცველები** - რობერტ ანდრიხი (ლევერკუზენი), იულიან ბრანდტი (დორტმუნდი), კრის ფიურიხი (შტუტგარტი), პასკალ გროსი (დორტმუნდი), ჯამალ მუსიალა (ბაიერნი), ფელიქს ნმეჩა (დორტმუნდი), ანჯელო შტილერი (შტუტგარტი), ფლორიან ვირტცი (ლევერკუზენი);

**თავდამსხმელები** - ტიმ კლაინდინსტი (გლადბახი), სერჟ გნაბრი (ბაიერნი), კაი ჰავერცი (არსენალი, ინგლისი), დენის უნდავი (შტუტგარტი).

გერმანიის ნაკრები 16 ნოემბერი ბოსნიას უმასპინძლებს, 19 ნოემბერს კი უნგრეთს ესტუმრება.

### ინგლისი

**მეკარეები** - ჯორდან პიკფორდი (ევერტონი), დინ ჰენდერსონი (კრისტალ პალასი), აარონ რემსდეილი (საუთჰემპტონი)

**მცველები** - ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი (ლივერპული), ლევი კოლვილი (ჩელსი), მარკ გუეჰი (კრისტალ პალასი), ლუის ჰოლი (ნიუკასლი), ტეილორ ჰარვუდ-ბელისი (საუთჰემპტონი), ეზრი კონსა (ასტონ ვილა), კაილ უოკერი, რიკო ლუისი (ორივე - მანჩესტერ სიტი)

**ნახევარმცველები** - ჯუდ ბელინგემი (რეალი, ესპანეთი), ფილ ფოდენი (მანჩესტერ სიტი), კონორ გალაჰერი (ატლეტიკო, ესპანეთი), მორგან გიბს-უაიტი (ნოტინგემი), ეინჯელ გომესი (ლილი, საფრანგეთი), კერტის ჯონსი (ლივერპული), კოულ პალმერი (ჩელსი), დეკლან რაისი (არსენალი);

**ფორვარდები** - ენტონი გორდონი (ნიუკასლი), ჯეკ გრილიში (მანჩესტერ სიტი), ჰარი კეინი (ბაიერნი, გერმანია), ნონი მადუეკე (ჩელსი), ბუკაიო საკა (არსენალი), ოლი უოტკინსი (ასტონ ვილა), დომინიკ სოლანკე (ტოტენჰემი).

ინგლისის ნაკრები, რომელიც B ლიგაში თამაშობს, 14 და 17 ნოემბერს საბერძნეთსა და ირლანდიას შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**გიორგი თვალიამ**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ორშაბათობით

2 009882 639269

კოლორ ჯგუფი
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**
*საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში*
***238 84 44; 599 55 48 97***

მთავარი რედაქტორი **პაატა გელაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-18), პაატა გელაშვილი (2018-დან)**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53.* *ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55

ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია).** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს გამომცემლობა „ლელო", 205262062. სს ბანკი „თიბისი ბანკი" TBCBGE22 ა/ა: GE74TB7793336020100002**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებგვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 577 99 16 51; ადგილზე მიტანა უფასოა!**